ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 182 (12 557) 5 აგვისტო სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

Beijing 2008
ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 3 დღე





ნაკრების ახალი მწვრთნელი 15 ვიდეოკასეტას გაშიფრავს
ეროვნული ნაკრები »»» 2

საფრანგეთის პრეზიდენტის შვილი ჩემი ფანია
ინტერვიუ გრეგორი კუპესთან »»» 8-9

# კუპერს ნაკრებში მდგომარეობის გამოსწორება მოვთხოვეთ




# ფაჩულია მენარმეობას სწავლობს

## საკალათბურთო მოედნიდან უნივერსიტეტის მერხამდე



ზაზა ფაჩულია და კვენტინ რიჩარდსონი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ექვსი მოთამაშე ჩიკაგოს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამას გადის. მათ შორის, „ატლანტას" ცენტრი **ზაზა ფაჩულიაცაა**. ქართველთან ერთად მერხებს უსხედან **კვენტინ რიჩარდსონი** („ნიუ იორკი"), **მასეო ბასტონი**, **ჯეფ ფოსტერი** (ორივე - „ინდიანა"), **ადრიან გრიფინი** („ოკლაჰომა") და თავისუფალი აგენტი **ოსტინ კროშირი**. სწავლას მონყურებული ექვსეული ამ პროგრამის წყალობით მეწარმეობას შეისწავლის.

*„ერთი შეხედვით მოსაწყენად ჟღერს, მაგრამ სინამდვილეში აქ სწავლა ძალიან საინტერესოა. სპეციალურ ცოდნას ვიძენთ, რომელიც მომავალში საკალათბურთო მოედანზე გამომუშავებული ფულის რაციონალურად ხარჯვაში დაგვეხმარება"*, - ამბობს ზაზა ფაჩულია.

კალათბურთელები სხვადასხვა საგანში ისმენენ ლექციებს. ეს არის სავაჭრო მოლაპარაკებები, საკუთარი ბრენდის აგება და ა. შ.

გია თვალაბეიშვილი

# რეალი თუ ჰოლანდიის ნაკრები?

## სამეფო კლუბის ჰოლანდიურ ლეგიონს მეხუთე ფეხბურთელი დაემატა

ვან დერ ვაარტი 15 მილიონად გაიყიდა და ოფიციალურად გახდა სანტიაგო ბერნაბეუს ბინადარი

### უკანასკნელ საათს

„რეალის" თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა. 32 წლის ფეხბურთელმა აღიარა, რომ აღარ ჰყოფნის ძალა კლუბში და ნაკრებში ერთდროულად სათამაშოდ.

ვან ნისტელროის „ნარინჯისფერებში" დებიუტი 1998 წელს ჰქონდა. იქიდან მოყოლებული, ნაკრებში 64 მატჩი ჩაატარა და 33 გოლი გაიტანა




# დიდ ცირკში ბაზარი გაიხსნა

## რა ტრანსფერებს ველოდოთ უახლოეს პერიოდში?

»»» 13



ინტერვიუ გოგიტა გოგუასთან

# 30-კაციან სიაშიც რომ არ შეგიყვანენ, წყენაზე ლაპარაკი ზედმეტია

# NO COMMENT



გოგიტა გოგუა (№14)

პლასტიკური, ჯანმაგარი, შეუპოვარი, ნამდვილი მეომარი, ორივე ფეხით კარგად მოთამაშე, სხარტი და უნივერსალური გოგიტა გოგუა საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ფეხბურთელი უნდა იყოს, თუმცა ჩვენი უპირველესი გუნდის ბოლო მატჩებში მას აღარ იძახებდნენ. ნაკრების დროებითმა მწვრთნელმა პეტერ სეგრტმაც ის მაისში ესტონეთ-პორტუგალიასთან ამხანაგური თამაშებისთვის არ გამოიძახა.

დაახლოებით ნლინახევრის ნინ გოგუა თავის წერილში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და ნაკრების მაშინდელ თავკაც კლაუს ტოპმიოლერს მწვავედ აკრიტიკებდა და მძიმე ბრალდებებსაც უყენებდა.

ვინ იყო მართალი ამ დაპირისპირებაში, ღმერთმა იცის, მაგრამ გაუმართლებელია, ამის გამო კარგი ფეხბურთელი ნაკრების მიღმა დარჩეს.

გოგუა რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია. ასე რომ არ იყოს, რუსი ჟურნალისტები მას მაღალ შეფასებებს არ მისცემდნენ. წინა ტურის „ამკარი" - „ნალჩიკის" მატჩში (0:0) ყველაზე მაღალი შეფასება გოგუამ დაიმსახურა.

მას ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში გუშინ დავუკავშირდით...

**- „ამკარი" თქვენთან თამაშამდე მეორე ადგილზე იყო, როგორ შეატყვე, მეტოქე ოდნავ მაინც არ ალგემატებოდათ კლასში?**

- ამ თამაშით თუ ვიმსჯელებთ, გუნდებს შორის სხვაობა არ ყოფილა. საერთოდაც, რუსულ პრემიერლიგაში დონე თანაბრდება. საგოლე მომენტი „ამკარზე" მეტი გვქონდა.

**- რუსული წყაროები იუწყებიან, გოგუა შეტევაში ერთობ აქტიური გახლდათო. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თუ ნაკრებში გულშემატკივარი ჩამშლელ ფეხბურთელად გიცნობდა, რუსეთში კი სხვა ფუნქცია გაკისრია.**

- მასეა, უკვე მეორე სეზონია, „ნალჩიკში" მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ვთამაშობ. ზონის გადაკეტვაც მევალება, თუმცა უფრო შემტევი ვარ.

**- როგორ ფიქრობ, შენთვის ეს პოზიცია უფრო შესაფერისია თუ, მაგალითად, საყრდენი ნახევარმცველობა?**

- მარცხენა გარემარბის პოზიციაზე თამაშით კმაყოფილი ვარ. კლუბში თუ ნაკრებში სხვა პოზიციაზე რომ გადამიყვანონ, საქმეს თავს გავართმევ, თუმცა ყველაზე კომფორტული ჩემთვის შეტევის მარცხენა ფლანგზე თამაშია.

**- თექვსმეტგუნდა პრემიერლიგაში „ნალჩიკი" მეათე ადგილზეა, თუმცა ცხრილში სიმჭიდროვეა, მეხუთე ადგილზე მყოფ „ლოკომოტივს" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებით. ხუთეულში მოხვედრა და უეფას თასის საგზურის მოპოვება „ნალჩიკის" ძალებს აღემატება?**

- „ნალჩიკის" ამოცანაც ხუთეულში მოხვედრაა, თუმცა ჩვენი ბიუჯეტითა და ადამიანური რესურსით რამდენად მოვახერხებთ ამას, არ ვიცი. ის კი ყველამ იცის, ნალჩიკში რომ ჩამოვლენ, რა წინააღმდეგობას წააწყდებიან.

**- ბიუჯეტის გათვალისწინებით „ნალჩიკის" მეათე ადგილი დადებითად უნდა შეფასდეს?**

- ამ პოზიციაზე დარჩენაც არ იქნება ურიგო შედეგი. ახლა უკან ისეთი გუნდები ჩამოვიტოვეთ, ჩვენზე მნიშვნელოვნად მეტი ბიუჯეტი რომ აქვთ.

**- საუკეთესო ფეხბურთს რომელი რუსული გუნდი თამაშობს?**

- ჩემი აზრით, მოსკოვის „დინამო", რომელიც ახლა მეორე ადგილზეა.

**- მიგაჩნია, რომ ჩემპიონობის საუკეთესო შანსი „დინამოს" აქვს? პირველ ადგილზე მყოფ ყაზანის „რუბინზე" რას იტყოდი, სადაც დავით კვირკველია და ლაშა სალუქვაძე თამაშობენ?**

- ჩემპიონობის საუკეთესო შანსი ალბათ „ზენიტს" აქვს. მიუხედავად იმისა, რომ „ზენიტი" ამ დროისთვის მე-7 ადგილზეა, დარწმუნებული ვარ, ეს გუნდი აკრეფს და ჩემპიონობისთვის სერიოზულად იბრძოლებს. რაც შეეხება „რუბინს", არა მგონია, პირველობა დიდი ხნით შეინარჩუნოს.

**- „ზენიტთან" მიმდინარე სეზონში გამარჯვება მოახერხეთ...**

- 4:3 მოვიგეთ, საინტერესო თამაში იყო. რუსულ პრემიერლიგაში ახლა ძნელია მატჩის შედეგის გამოცნობა. სხვათა შორის, ამ სეზონში ცსკა-საც მოვუგეთ, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა.

**- შარშან თებერვალში შოტლანდიურ „ჰართსში" აპირებდი გადასვლას. ამ ეტაპზე აღარ ფიქრობ ევროპაში წასვლაზე?**

- „ნალჩიკთან" ორწლიანი კონტრაქტი მაქვს. რუსეთის ბევრად უფრო მდიდარი კლუბები მიწვევენ, მაგრამ ჯერ წასვლას არ ვჩქარობ - ამ პოზიციაზე თამაშითა და მწვრთნელის ასეთი ნდობით კმაყოფილი ვარ, ახალ გუნდში ყველაფერ ამის მოპოვება ადვილი არ იქნება.

**- გოგიტა გოგუას ნაკლად ის მიაჩნდათ, ზედმეტად ხისტი და აგრესიულია, სულ ჯარიმის ზღვარზე თამაშობს და ბევრ ყვითელ-წითელ ბარათს იღებსო...**

- კარგა ხანია ასე აღარ არის. შემტევი ვარ. ხანდახან მაინც მიწევს ბურთისართმევისთვის ბრძოლა, მაგრამ უფრო შეტევაზე ვფიქრობ და იმდენი ძალა აღარ მრჩება, დაცვაშიც ბევრი ვიმუშაო. მოკლედ, გაცილებით იშვიათად ვჯარიმდები.

**- ნაკრებში რომ აღარ გიწვევენ, ამაზე რას იტყოდი?**

- მე კი არა, ალეკო ამისულაშვილი რამდენჯერმე მოხვდა ტურის სიმბოლურში, მაგრამ თითქმის ერთი წელია, ნაკრებიდან მისით არავინ დაინტერესებულა. სირაძეც აღარ მიიწვიეს ნაკრებში, არადა რუსული პრემიერლიგის გუნდში სამი ქართველი სტაბილურად რომ თამაშობს, ალბათ, რაღაცას ნიშნავს. მერწმუნეთ, „ნალჩიკი" სერიოზული გუნდია. ნაკრებში გამოუძახებლობაზე კი რაღა უნდა ვთქვა?! 30-კაციან სიაშიც კი რომ არ შეგიყვანენ, წყენაზე ლაპარაკი ზედმეტია - ეს ფაქტი უკომენტაროდ უნდა დატოვო.

**- ნაკრებს უკვე ახალი მწვრთნელი ჰყავს...**

- არა მგონია, ექტორ კუპერი კალაძის, კობიაშვილისა და კიდევ ერთი-ორი ქართველი ფეხბურთელის გარდა ვინმეს კარგად იცნობდეს. ახალ მწვრთნელსაც ეყოლება ისეთი ხალხი, ვინც მას რეკომენდაციას მისცემს ნაკრების სხვა ფეხბურთელებზე. ვფიქრობ, ახალი მწვრთნელი შანსს ყველას მისცემს.

დავით თავართქილაძე

# 15x90=1350 წუთი

## დრო და სამოქმედო სივრცე კუპერის განკარგულებაში

საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი **ექტორ რაულ კუპერი** თბილისში რამდენიმე დღეში ჩამოვა - ხუთშაბათს ან პარასკევს.

კუპერს თბილისში მოუწევს კონტრაქტის გაფორმება, თუმც ეს უკვე ფორმალობაა - არგენტინელი მწვრთნელი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია პირობებზე უკვე შეთანხმებულები არიან.

უფრო მნიშვნელოვანი ის არის, თუ რა შემადგენლობას მოუყრის თავს კუპერი 20 აგვისტოს უელსთან ამხანაგური მატჩისთვის. წესითა და რიგით, შემადგენლობა თამაშამდე ორი კვირით ადრე უნდა დასახელდეს.

კუპერი თბილისში 30 ივლისს ჩამოვიდა და ერთდღიანი ვიზიტის შემდეგ უკან გაბრუნებულს ფედერაციამ საქართველოს ნაკრების ბოლო თხუთმეტი მატჩის ვიდეოჩანაწერი გაატანა.

თხუთმეტი თამაში და კიდევ რეკომენდაციები ამა თუ იმ ფეხბურთელზე - ასეთი საბაზისო მონაცემებით მოუწევს არგენტინელს საუელსო შემადგენლობის დადგენა.

დავით თავართქილაძე



ექტორ რაულ კუპერი




მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური დავით მაისურაძე, ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე. ნომრის მორიგე რედაქტორი შალვა ბიბილაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დიმიტრი რამიშვილთან

# როგორ გადაიკვეთა სახელმწიფო პოლიტიკა საფეხბურთო მოხელეთა ინტერესებთან

## დიმიტრი რამიშვილი: კუპერი საქართველოს სხვებზე უკეთ წარმოადგენს

**რატომ ემხრობა თერთმეტგუნდიან ჩემპიონატს, რატომ მოსწონს რაულ ექტორ კუპერი და რატომ მიაჩნია საჭიროდ კლუბების სოლიდარობა - ამ და სხვა თემებზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი „ლელოს“ ვრცლად ესაუბრა.**

**- ბატონო დიმიტრი, მალე დაიწყება ჩემპიონატი, რომლის მგავსი ფორმატით არც ერთ ქვეყანაში არც ერთი პირველობა არ გამართულა და ალბათ, მისი ორგანიზებაც რთული იქნება - 11-გუნდიანი ჩემპიონატი სამ წრედ.**

- იდეალური არც 12-გუნდიანი ჩემპიონატის სამ წრედ ჩატარება იქნებოდა, რადგან ყველა გუნდი თანაბარ ვითარებაში ვერ აღმოჩნდებოდა. ეს კი, რა დასამალია, ჩვენც გვაღელვებდა და კლუბებსაც.

მოხდა სამწუხარო პრეცედენტი, უმაღლეს ლიგას „ამერი“ გამოაკლდა, რამაც თითოეულ ჩვენგანს გული დასწყვიტა და დავდექით ფაქტის წინაშე, ლიგაში თერთმეტი გუნდი დარჩა.

ჩვენდა გასაკვირად, ასეთ რთულ ვითარებაში ლიცენზირების სამსახურის თანამშრომელმა ბაქარ ჟორდანიამ და ჩვენი საშეჯიბრო სამსახურის ხელმძღვანელმა ნოდარ კაკულიამ ისეთი გამოსავალი გამონახეს, რაც უპრეცედენტოა. ერთკვირიანი მუშაობის შემდეგ შეადგინეს კალენდრის ისეთი ვარიანტი, როდესაც სამწრიან ჩემპიონატში ყველა გუნდი თანაბარ ვითარებაში იქნება. ეს იქნება მთელი მსოფლიოსთვის პრეცედენტი.

**- კი მაგრამ, ზოგადად თერთმეტგუნდიანი ჩემპიონატია მიუღებელი.**

- გეთანხმებით, მაგრამ ამ შემთხვევაში გუნდები უფრო თანაბარ მდგომარეობაში არიან, ვიდრე თორმეტგუნდიან, სამწრიან ჩემპიონატში.

ზოგადად, რა თქმა უნდა, არც დღევანდელი ვარიანტია მისაღები. თუმცა, 11-გუნდიანი ჩემპიონატია ირლანდიასა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში.

**- „ამერის“ პირველ ლიგაში დაქვეითებამ ჩემპიონატსაც ბევრი დააკლო და თქვენი გეგმებიც ალბათ, გვარიანად არია.**

- ჩემპიონატს დააკლდა ლამაზი, ძლიერი, გამართული გუნდი. ალმასკომზე „ამერის“ პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ ამის შესახებ გულწრფელად ისაუბრა. მერწმუნეთ, „ამერი“ არ დაიშლებოდა, მოთამაშეებს მეტი მოთმინება რომ გამოეჩინათ. ჩეხეთში გაყიდული დიმიტრი ტატანაშვილის სატრანსფერო თანხა კლუბის ანგარიშზე უნდა დამჯდარიყო, მაგრამ ფეხბურთელები ორი დღით ადრე გაიფიცნენ და წასვლა გადაწყვიტეს.

ჩვენ ვისაუბრეთ, რომ ეს პროცესი უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ. კლუბს შეეძლო, მოთამაშეები არ გაეშვა, თბილისის „დინამომ“ „ამერის“ ხელმძღვანელებს სოლიდარობა გამოუცხადა და მისი ფეხბურთელები არ მიიღო. ასევე მოიქცა რამდენიმე გუნდი, მაგრამ ზოგიერთმა კლუბმა ამერელები მიიწვია.

ვფიქრობ, ეს პროცესი თვითდინებაზე არ უნდა მივუშვათ და კლუბებმა ერთმანეთის ინტერესები უნდა გაითვალისწინონ. თუკი პატარა პრობლემებზეც მოთამაშეები კლუბიდან გაიქცევიან, დღევანდელ საქართველოში გუნდი აღარ დარჩება.

**- „ამერის“ მოთამაშეები ხომ სამი თვის დავალიანების გასტუმრებას ითხოვდნენ?**

- მერე მათ უთხრეს, რომ თანხას აუცილებლად გაუსტუმრებდნენ და ეს იყო მთავარი. ვფიქრობ, მათ ჯერ კლუბთან უნდა გაერკვიათ ურთიერთობა. ასე მოხდა „ლევანტეშიც“, სადაც წლის დასაწყისში ფინანსური პრობლემა შეიქმნა, მაგრამ მთელი გუნდი კი არ გაიქცა, ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებით ყველა პრობლემა მოაგვარა.

ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ დღევანდელ პირობებში, ჩვენს ფეხბურთში “ამერის” მსგავსი პრეცედენტები დამღუპველია.

**- 2009-10 წლების ჩემპიონტში 10 გუნდი ითამაშებს თუ 12?**

- 12-გუნდიანი პირველობა არის გარდამავალი ეტაპი 10-გუნდიანზე გადასასვლელად. სამწუხაროდ, საქართველო მზად არაა 16-გუნდიანი პირველობისთვის, საამისოდ არც ფინანსებია და არც მატერიალური რესურსი, რაც “ამერის” მაგალითზე გამოჩნდა.

გაისად კი, შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ისევ 11 გუნდი ითამაშებს. მერე ვნახოთ. მე პირადად ოთხი წრე და ათი გუნდი ყველაზე მეტად მხიბლავს. თუმცა დღეს საამისო პირობებიც არაა.

**- რას გულისხმობთ?**

- ეს მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას. ამის შემდეგ 10-გუნდიან პირველობაზე გადასვლა შესაძლებელი გახდება.

**- სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება, რატომღაც, ძალიან გაიწელა და როდისღა განხორციელდება?**

- 2009 წლისთვის პროგრამის ის ნაწილი დასრულდება, რომლის მიხედვითაც, ინფრასტრუქტურის განვითარება-რეაბილიტაცია იგეგმება. მაშინ მინიმუმ ევროსტანდარტების შესაფერისი 10 სტადიონი და მოედანი გვექნება. ეს კი იმის გარანტია იქნება, ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩავატაროთ.

ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, კლუბებზე 3 მილიონი ლარი გადანაწილდება, რაც პირველობის დონის გაზრდას და მის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს.

**- რომელ 3 მილიონ ლარს გულისხმობთ? სახელმწიფოსგან გამოყოფილი 2 მილიონი ლარის ამბავი ცნობილია, მილიონს კიდევ საიდან ელით?**

- წესით, მედიაკომპანია „კოლხიდამ“, სეზონის ბოლოს მილიონი ლარი უნდა ჩაგვირიცხოს. 3 მილიონი ლარი კი, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, მართლაც დიდი თანხა იქნება.

**- თანხის გადანაწილების ორი ვარიანტი იყო, ან მთლიანად ჩემპიონატზე დაიხარჯებოდა, ან ლიგის თასის გათამაშებასაც მოხმარდებოდა. საბოლოოდ, რა გადაწყვეტილება მიიღეთ?**

- მთავარია, ფული იყოს და როგორღაც გავანაწილებთ. ლიგის თასზე განაწილებას სერიოზულად ვფიქრობთ და ვნახოთ.

**- დაბოლოს, იმის შესახებ უნდა გკითხოთ, რამაც პირველად გამოიწვია კამათი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებსა და ნაკრების წევრებში - ნაკრების მთავარ მწვრთნელად არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი დაინიშნა. როგორც იქნა, განსხვავებული მოსაზრება გამოითქვა, ფედერაციის პრეზიდენტი ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტი ცაავა, ნაკრების კაპიტანი კალაძე და ხიზანიშვილი სეგრტისკენ იხრებოდნენ. სამი ვიცე-პრეზიდენტი კი კუპერისკენ იყავით.**

- მე გამოვდივარ ჩვენი ფეხბურთის ინტერესებიდან. მიმაჩნია, რომ ეროვნულ ნაკრებს შეუძლია, ადგილობრივი ფეხბურთის განვითარებას გაასწროს და მის პროგრესსაც სტიმული მისცეს. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტისა და ლიგის პრეზიდენტის გადასახედიდან, მოვლენებს სწორედ ამ კუთხით აღვიქვამ და გადაწყვეტილებებსაც ამის გათვალისწინებით ვიღებდი.

კუპერის დანიშვნას მართლაც უძღოდა აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი იყო - როდესაც სახელმწიფო თანახმაა ცნობილ სპეციალისტში დიდი თანხა გადაიხადოს, რატომ უნდა გვეთქვა კუპერზე უარი და მასზე უსახელო მწვრთნელი დაგვენიშნა?

ჩვენ სახელმწიფოს პოზიცია და ინტერესი უნდა გავითვალისწინოთ. მისთვის მნიშვნელოვანია გაიგივდეს წარმატებულ მოვლენებთან, ღირსეულ და ავტორიტეტულ პიროვნებებთან, მსოფლიოსთვის საყურადღებო ფაქტებთან და ა.შ. აგერ, იურმალაში საქართველო ღირსეულად გამოაჩინეს, ფეხბურთში კი მსოფლიოში სახელგანთქმული მწვრთნელის ჩამოყვანის საშუალება გაჩნდა და ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს და ჩვენი პოზიცია იდენტური გახლდათ.

სისულელეა, თუკი ვინმე ფიქრობს, რომ სულერთია მსოფლიო არენაზე ჩვენს ქვეყანას ვინ წარადგენს. დიდ პატივს ვცემ პეტარ სეგრტს, მაგრამ ექტორ კუპერი სულ სხვა სახელია და აბსოლუტურად სხვა წონას სძენს საქართველოს.

ეს იყო ერთი ფაქტორი, რის გამოც კუპერს მხარი დავუჭირე. მეორე იყო მისი პიროვნული თვისებები. ის არაა ტოპმიოლერივით რბილი, საკმაოდ მკაცრია, დისციპლინის მოყვარული, ცოტა უხეშიც. მიმაჩნია, რომ ნაკრებს ასეთი მკაცრი მწვრთნელი სჭირდება.

მესამე ფაქტორი ის იყო, რომ კუპერი დაცვითი ფეხბურთის მიმდევარია და დღევანდელ ვითარებაში ესეც არგენტინელის პლუსად ჩავთვალე. ჩვენ დაცვასა და ნახევარდაცვაში უფრო ძლიერი მოთამაშეები გვყავს, პრობლემა უფრო წინა ხაზშია. ჩემი გადასახედიდან, ნაკრების წინსვლა დაცვისა და ნახევარდაცვის გაძლიერებითაა შესაძლებელი.

მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ არგენტინელი თანახმაა, იცხოვროს საქართველოში და აქაური ფეხბურთი კარგად შეისწავლოს.

**- მის თანაშემწედ ვინ დაინიშნება?**

- მან ქართველი ასისტენტის დანიშვნაზე პრინციპული თანხმობა განაცხადა. ჯერ კონკრეტული კანდიდატურა არ დაუსახელებია, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა.

**- ასისტენტის რანგში ვის კანდიდატურას განიხილავთ?**

- პირადად მე შოთა არველაძის მომხრე ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ის უნდა იყოს ჩვენი ნაკრების მომავალი მთავარი მწვრთნელი.

დროა, მწვრთნელის პრობლემა გადავჭრათ. სხვაგვარად კი ამას ვერ მოვახერხებთ, თუკი კუპერთან და საერთოდ, ნაკრების მთავარ მწვრთნელებთან ქართველი არ იმუშავებს.

მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრები წარმატებას კვალიფიციური ქართველის ხელში უფრო მიაღწევს. შოთას ასეთი პერსპექტივა გააჩნია. ჯერ ერთი, გონიერი კაცია, მეორეც „ალკმაარში“ ვან გაალთან მუშაობს, იქ კი შემთხვევით კაცს არ დანიშნავდნენ.

ასევე მსურს, რომ კახა ცხადაძეს, გიორგი დევდარიანსა და სხვა ნიჭიერ სპეციალისტებსაც ძლიერ კლუბებში სტაჟირებაში დავეხმაროთ. ადრე თუ გვიან, ძლიერი ქართველი მწვრთნელი ხომ უნდა გავზარდოთ.

**- მართალია, თითქოს კუპერი წლიურად 1.2 მილიონ დოლარს მიიღებს?**

- ჩემი აზრით, ეს არც არის მნიშვნელოვანი. მთავარი ხელისუფლების სწორი მიდგომაა - მას სურს, რომ ნაკრებს სახელიანი მწვრთნელი ჰყავდეს და ამაში თანხას არ იშურებს. თანაც, გაითვალისწინეთ, რომ ეს თანხა სხვა პროექტების დაფინანსებას არ შეეხება.

**- გამორიცხავთ, რომ კუპერის შემთხვევაში „ტოპმიოლერი“ არ განმეორდება?**

- ჩვენ არგენტინელს გარკვეული მოთხოვნები წავუყენეთ - ნაკრებში მდგომარეობა უნდა გამოასწოროს, მოთამაშეთა ბრძოლისუნარიანობა აამაღლოს და გუნდი ბრძოლის ჟინით აანთოს, თორემ უცებ ვარსკვლავების მოწყვეტას ვერავინ მოსთხოვს. კუპერზე ბევრ საინტერესო ინფორმაციას გავეცანი და მისი ხასიათის შესწავლის შემდეგ ჩავთვალე, რომ ძველი ამბები არ განმეორდება.

**- კონტრაქტი როდის გაფორმდება?**

- ჩათვალეთ, რომ კონტრაქტი უკვე გაფორმებულია. რასაც ჰქვია, ხელი დავარტყით და დანარჩენი უკვე ფორმალობაა - მალე ჩამოვა და იურიდიულ მხარესაც მოვაგვარებთ.

მერაბ მამულაშვილი



დიმიტრი რამიშვილი

CHAMPIONS LEAGUE

უეფას ჩემპიონთა ლიგის
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

6 აგვისტო, ოთხშაბათი. 20:00 საათი

დინამო (თბილისი) VS პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

ბილეთის ფასი: 5, 10 და 15 ლარი

ბილეთები გაიყიდება სამშაბათიდან ეროვნული სტადიონის სალაროებში

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის “დინამო” (თბილისი)-“პანათინაიკოსი” (ათენი) საპასუხო მატჩზე აკრედიტაციის მსურველმა ჟურნალისტებმა უნდა მოგვმართონ სამშაბათს, 5 აგვისტოს, 19-დან 20 საათამდე ეროვნულ სტადიონზე.**

ს. კ. “დინამო თბილისის” პრესცენტრი

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების აკრედიტაციისთვის სპორტულმა ჟურნალისტებმა უნდა მიმართონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურს პარასკევის, 8 აგვისტოს ჩათვლით.**

სფფ-ის პრესცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაშლილი ტრანსფერი

# იაშვილის მინსკი არ გამოვიდა



2006-07 წლების სეზონში ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელსა და მეგოლეს, **სანდრო იაშვილს** მინსკის "დინამომ" თავისთან უხმო. იაშვილი რამდენიმე დღის განმავლობაში ბელარუსის „დინამოში" ვარჯიშობდა. ამაზე ბელარუსულმა ვებგვერდებმაც დაწერეს და ისიც გვაცნობეს, იაშვილის ტრანსფერის საკითხი 4 აგვისტომდე გადაწყდებაო. გუშინ კი გავიგეთ, რომ ფეხბურთელის ტრანსფერი არ გამოვიდა.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# ღვინიანიძე დაბრუნდა

**მათე ღვინიანიძემ** "მიუნხენ 1860"-ისა და სტამბოლის "გალათასარაის" ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. შეგახსენებთ, ახალგაზრდა ქართველმა მცველმა გასული წლის ბოლოს მენისკის ოპერაცია გაიკეთა და წლეულს ერთი შეხვედრაც კი არ ჩაუტარებია.

თურქთა წინააღმდეგ მათემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. დაკისრებულ ფუნქციებს მან თავი ნორმალურად გაართვა და შესვენების შემდეგ ამერიკელი **გრეგ ბერჰალტერით** შეცვალეს. მატჩი უგოლო ფრით დასრულდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



მათე ღვინიანიძე

ფეხბურთელი ახალ ამპლუაში. ინტერვიუ ზაზა კობესაშვილთან

# მესხთა მოთამაშე-მწვრთნელი



ზაზა კობესაშვილი

**23 აგვისტოს მეოცე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. დღეისათვის მოქმედ ფეხბურთელთა შორის თითოოროლა დარჩა ისეთი, რომელსაც პირველ ეროვნულ ჩემპიონატშიც აქვს ნათამაშები. ერთ-ერთი ასეთი ფეხბურთელი „მესხეთის" მცველი ზაზა კობესაშვილია. ახალციხელთა ასაკოვანი და გამოცდილ ფეხბურთელს, ზაზა კობესაშვილს რამდენიმე კითხვით მივმართეთ. საუბარი კი თასის პირველ ეტაპზე ფოთის „კოლხეთთან" საშინაო მატჩით დავიწყეთ.**

- მეტოქე ფოთის „კოლხეთი" კი დავჯაბნეთ, მაგრამ მხოლოდ 1:0 მოვიგეთ. ვინც თამაში ნახა, ყველა დამეთანხმება, რომ კიდევ 4-5 გოლი მაინც უნდა გაგვეტანა. ამ თამაშში აშკარად გამოჩნდა, რომ საგოლე მომენტების რეალიზაციაში ბევრი გვაქვს სამუშაო.

სხვათა შორის, „კოლხეთმა" კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ფოთელებმა უმაღლეს ლიგაში ნათამაშები ფეხბურთელები დაიმატეს ზუგდიდიდან და სხვა ქალაქის გუნდებიდან. ჩემი აზრით, ეს „კოლხეთი" „გაგრასაც" სჯობს და „ბორჯომსაც".

**- „მესხეთის" კონტინგენტი შეიცვალა. ახლანდელ შემადგენლობაზე რა აზრისა ხარ?**

- კარგი ფეხბურთელები დაგვემატნენ. გონჩაროვი, მემარნიშვილი, გოჩაშვილი, ჟღენტი, ვაშაკიძე... ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა.

**- უკვე მოთამაშე-მწვრთნელი ხარ...**

- დიახ, კლუბთან ერთი წლით გავაგრძელე კონტრაქტი. კლუბის ხელმძღვანელობამ შემომთავაზა, რომ ნელ-ნელა მწვრთნელის პროფესიას დავეუფლო. ვისაუბრეთ და გადაწყდა, რომ მოთამაშე-მწვრთნელი გავხდები. გუნდის მთავარი მწვრთნელი კობა თედიაშვილია, მისი თანაშემწე ზიგმუნდ ზიგბერშტეინი და მეორე ასისტენტი მე გახლავართ...

**- ბუნებრივია, მოთამაშის კარიერის დასრულებაზეც ფიქრობ. ამ სეზონის გარდა კიდევ რამდენ ხანს შეძლებ თამაშს?**

- პირველი წრის ბოლომდე ვითამაშებ, ზამთარში კი მწვრთნელობის ლიცენზია მინდა ავიღო. სწავლა არ მეთაკილება, პირიქით, მონდომებული ვარ და მსურს, ამ პროფესიას კარგად დავეუფლო.

**- პირველ ეროვნულ ჩემპიონატშიც გითამაშია და არაერთი გუნდის ღირსებას იცავდი. სჯობს, თვალი გადავავლოთ შენს კარიერას...**

- 1989-96 წლებში ბორჯომის გუნდში ვთამაშობდი, 1996-98-ში „სამტრედიაში", ჩემთან ერთად თამაშობდნენ ძმები გიგიაძეები, მეკარე ჭანტურია, ზაზა ჯანაშია... „სამტრედიიდან" „ბორჯომში" დავბრუნდი, 2000-06 წლებში ცხინვალის „სპარტაკში" გამოვდიოდი, მას მერე „მესხეთში" ვასპარეზობ.

**- დღემდე ყველა ეროვნულ ჩემპიონატში გითამაშია. იქნებ შეადარო ეროვნული პირველობის უწინდელი და ახლანდელი დონე...**

- სამწუხაროდ; დონე იკლებს. ამ ბოლო ხანს დაძაბულობა საგრძნობლად კი გაიზარდა, მაგრამ კლასში უკუსვლა ჯერ არ შეჩერებულა. რეგრესის შეჩერება და პროგრესის დაწყება საკლუბო ფეხბურთში ინვესტიციების მოზიდვით, მოედნების გაკეთებით, ეროვნული ჩემპიონატიდან ფეხბურთელთა მიგრაციის შემცირებით, ბავშვთა ფეხბურთის მიხედვით შეიძლება.

**დავით ცაბაძე**

საქართველოს თასი. მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

# ორი უმაღლესლიგელი უკვე თამაშგარეშია



| აღმოსავლეთი ზონა | |
|---|---|
| ჰერეთი-ოლიმპი | 0:2 (0:5) |
| კახეთი-ამერი | 0:2 (1:2) |
| ნორჩი დინამოელი-სიონი | 0:7 (0:4) |
| დუშეთი-ლოკომოტივი | 3:2 (0:8) |
| ჩიხურა-მერანი თბ. | 4:0 (0:1) |
| **დღეს** | |
| თბილისი -გაგრა (4:2) | |
| **დასავლეთი ზონა** | |
| ბაია-მგლები | 0:0 (5:1) |
| სამტრედია-ბორჯომი | 1:1 (1:0) |
| სპარტაკი-ოზურგეთი | 6:0 (5:0) |
| ტორპედო 2008-ჭიათურა | 0:3 (1:1) |
| გურია-მეშახტე | 6:1 (4:1) |
| კოლხეთი ხ.-მერანი მარტვ. | 3:1 (0:4) |
| **დღეს** | |
| კოლხეთი ფ.-მესხეთი (0:1) | |

*ფრჩხილებში მითითებულია პირველი მატჩების ანგარიში*

დღევანდელი ორი მატჩიც და საქართველოს თასის ყველა მერვედფინალისტის ვინაობა გვეცოდინება. გუშინდელ შეხვედრებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა, რამდენიმე გუნდს მომდევნო ეტაპის საგზური უკვე დაბევებული ჰქონდა, საერთო ჯამში, მოვლენები ლოგიკურად განვითარდა.

არასახარბიელოდ დასრულებული პირველი მატჩების შემდეგ, მერვედფინალში მაინც გააღწიეს საჩხერის "ჩიხურამ" და ქუთაისის "ტორპედო 2008"-მ. თელავის "კახეთმა" საკუთარ კედლებში შანსი ვერ გამოიყენა და პირველლიგელმა "ამერმა" მეორე თამაში უფრო დიდი სხვაობით მოიგო. ხობში "კოლხეთმა" ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ სასწაული ვერ მოახდინა და ოთხბურთიანი ჩამორჩენა ვერ აღმოფხვრა. "სიონისა" და "სპარტაკის" სოლიდური გამარჯვება გაკვირვებას არ იწვევს, ლანჩხუთის "გურია" კი, როგორც ჩანს, ახალი სეზონისთვის სერიოზულადაა მომზადებული. ზუგდიდურ დერბიში ყველაფერი რამდენიმე დღის წინ გადაწყდა - "ბაია" და "მგლები" ამჯერად უგოლოდ გაიყარნენ. "მგლების" გარდა, უმაღლესი ლიგის კიდევ ერთმა ბინადარმა ვერ გააღწია მომდევნო რაუნდში. შინ განცდილი მარცხის შემდეგ, "ბორჯომი" სამტრედიაში მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

დღეს "გაგრა" შეეცდება, მერვედფინალს მიღმა დარჩენილი მესამე უმაღლესლიგელად არ იქცეს, მაგრამ ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდება. ფოთში დიდი ბრძოლა ელის ახალციხის "მესხეთსაც".

"დინამო", "ვიტ ჯორჯია" და "ზესტაფონი" მერვედფინალში ავტომატურად დაუშვეს. წილისყრა 6 აგვისტოს გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ღია სახალისო ფეხბურთი

გუშინ საქართველოში „ღია სახალისო ფეხბურთის" ფესტივალი დაიწყო, რომელიც ხუთ დღეს გასტანს. მოგეხსენებათ, „ღია სახალისო ფეხბურთის" პარტნიორი თავად უეფაა. „ოფენ ფან ფუტბოლის" თბილისის ოფისი კი საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში ხელმძღვანელობს აღნიშნულ ღონისძიებებს.

„ღია სახალისო ფეხბურთის" პროგრამა უკვე რამდენიმე წელია, მუშაობს. თუმცა ცენტრალურთან რეგიონულ ოფისს კონტრაქტის ვადა ამოეწურა, მაგრამ ხელშეკრულება, სავარაუდოდ, კიდევ სამი წლით გაგრძელდება.

მანამდე კი ამ ღონისძიებების საქართველოში ჩატარებისთვის საჭირო თანხა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოყო. ჩვენი ინფორმაციით, ეს თანხა ათი ათას ევროზე მეტია.

გუშინ **თენგიზ სულაქველიძის** საერთაშორისო საფეხბურთო აკადემიის კომპლექსში, 8-14 წლის ასაკის ორასი ბავშვი შეიკრიბა. იქვე იყვნენ დანიის ცენტრალური ოფისიდან ჩამოსული სტუმრები. **მოუნს ლუპიდსენი** დანიაში ორჯერ იყო მინისტრი - ჯერ ფინანსთა, მერე კი საგარეო საქმეთა. ამჯერად დანიის პარლამენტის წევრია. ის მეუღლე **მეთსე ჰოლმთან** ერთად გვეწვია. ის ჟურნალისტია დანიის ტელევიზიაში და მეუღლის დარად პარალელურად „ოფენ ფან ფუტბოლშიცაა" ჩართული. სტუმართაგან მესამე **იოჰან ვილმუცი** კი „ღია სახალისო ფეხბურთის" დანიის ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

*„საქართველოში პირველად ვიმყოფები. ბუნებრივია, იცით ჩვენი ვიზიტის მიზანი. ყველაფერი ჩინებულადაა ორგანიზებული. ქართველებმა იცით საქმის კეთება. ჩვენი მიზანია, ბავშვები გავახაროთ, ისინი ჯანმრთელები იყვნენ და სპორტულად ცხოვრობდნენ. ერთი სიტყვით, ნანახით აღფრთოვანებული ვართ და ბუნებრივია, ცენტრალურ ოფისში ამას არ დავმალავთ. შესაბამისად აქაურ ოფისს კონტრაქტი გაუგრძელდება",* - „ლელოსთან" საუბარში განაცხადა მოუნს ლუპიდსენმა.

ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი **ვალერი ჩოლარია** პროექტის რეგიონულ ბიუროს ხელმძღვანელობს. კომენტარი მასაც ვთხოვეთ:

*„მოხარული ვარ, რომ ჩვენი გარჯა დაფასდა და როგორც სტუმრებმა გვითხრეს, ჩვენი პროგრამა და კონტრაქტი გაგრძელდება. დღეს აქ 200 ბავშვია, საერთოდ კი საქართველოში უკვე „ღია სახალისო ფეხბურთის" 12 სკოლაა. ყველა ეს ინვენტარი სკოლებს დარჩებათ. ამ 12 სკოლიდან ექვსმა დღეს დაიწყო ეს ღონისძიება, დანარჩენი ექვსი კი 11 აგვისტოს დაიწყებს. ჩვენი სკოლებია თენგიზ სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია", „მთვარის გლობუსი", 35-ე სკოლა, ასევე გარდაბანში, ონში, ახალციხეში, ქობულეთსა და ტყიბულში...*

*საქართველოს შემდეგ კი სომხეთში, აზერბაიჯანში და მოლდოვაში გაიმართება მსგავსი ღონისძიებები",* - აღნიშნა ვალერი ჩოლარიამ.

*„4 წლის წინ მსგავსი ღონისძიება ჩვენ და „ოლიმპიკმა" ერთობლივად ჩავატარეთ. ამჯერად კი პირველად ვატარებთ დამოუკიდებლად. სულ 200 ბავშვია, აქედან 16-16 სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაა ჩამოსული, 20 მიუსაფარ ბავშვთა სახლიდან. ინსტრუქტორები მე, თენგიზ კაცია და მაცი კვარაცხელია ვართ... ბავშვები გახარებულები არიან და ჩვენც ეს გვახარებს",* - გვითხრა გუშინდელი ღონისძიების ერთ-ერთმა ინსტრუქტორმა **თენგიზ სულაქველიძე უმცროსმა.**

**დავით ცაბაძე**



ვალერი ჩოლარია (მარცხნივ) ბავშვებთან და დანიელ სტუმრებთან

ქალთა ფეხბურთი

# პირველი ბათუმია

გუშინ ქობულეთში დასრულდა პირველი ეროვნული საკლუბო ჩემპიონატი ქალ ფეხბურთელთა შორის. ფინალამდე მე-3 ადგილისთვის მატჩი გაიმართა - ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდები წარდგნენ ერთმანეთის წინაშე. თბილისის „დინამომ" „ქობულეთი" დიდი ანგარიშით, 7:0 დაამარცხა.

ფინალში კი ჯგუფის პირველადგილოსნები „ბათუმი" და ხაშურის „ივერია" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აჭარლებმა 2:0 მოიგეს.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი **კესო გაბელია** (ბათუმი) გახდა, მეკარე - **ქრისტინა შადობა** (ბათუმი), მცველი - **თეონა თოდაძე** (ივერია), ნახევარმცველი (ბათუმი), თავდამსხმელი - **ხატია ჭყონია** (ქობულეთი).

ტურნირის ბომბარდირები 9-9 გოლით გაბელია და **თაკო კვალიაშვილი** (დინამო) გახდნენ. ტურნირის აღმოჩენა **ნინო კარიკაშვილი** (დინამო) შეიქნა, „მის ელეგანტის" პრიზი **მერი მეხრიშვილს** (ბათუმი) ერგო.

**დავით ცაბაძე**

# ბაქიმ ნეფთჩის საკონტროლო მოუგო

ორი ბაქოური გუნდი „ნეფთჩი" და „ბაქი" ერთმანეთს საკონტროლო შეხვედრაში დაუპირისპირდა. „ბაქიმ" 4:2 იმარჯვა. გამარჯვებულთაგან ერთ-ერთი (მესამე) გოლი **ამირან მუჯირმა** გაიტანა, დამარცხებულთაგან კი **გიორგი ჭელიძემ**. შეგახსენებთ, რომ „ბაქისა" და „ნეფთჩიში" ორ-ორი ქართველი ლეგიონერია – მუჯირთან **ალექსანდრე გოგობერიშვილი** თამაშობს, ხოლო გიორგი ჭელიძე **გიორგი ადამიას** თანაგუნდელია. აზერბაიჯანის ჩემპიონატი 9 აგვისტოს **კახი ცხადაძის** „სტანდარდისა" და „ნეფთჩის" მატჩით გაიხსნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქართველი ფეხბურთელები ოლიმპიადაზე


სლავა მეტრეველი (მარცხნივ)

## 1952 წელი

...მიზეზთა გამო, საბჭოთა სპორტსმენები 1952 წლამდე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას არ იღებდნენ. და აი, ჰელსინკის ოლიმპიადაზე, სხვა სახეობის წარმომადგენლებთან ერთად, ფეხბურთელებიც გაემგზავრნენ. საბჭოთა კავშირის ნაკრები ძირითადად ერთი გუნდის - ცდსა-ს (დღევანდელი ცსკა-ს წინამორბედი) ბაზაზე დაკომპლექტდა; მწვრთნელიც არმიელთა გუნდიდან იყო - **ბორის არკადიევი**, ვინც ნაკრებში სხვა მოსკოველი ფეხბურთელებიც (**იგორ ნეტო, კონსტანტინ ბესკოვი, ვასილი ტროფიმოვი**) გამოიძახა. ლენინგრადის „ზენიტის“ მაშინდელ მეკარეს **ლეონიდ ივანოვს** თუ არ ჩავთვლით, ეს, ფაქტობრივად, მოსკოვის ნაკრები იყო... პლუს ოთხი ქართველი ფეხბურთელი: მეკარე - **ვლადიმერ მარღანია**, ნახევარმცველი - **გიორგი ანთაძე** და თავდამსხმელები - **ავთანდილ ღოღობერიძე** და **ავთანდილ ჭკუასელი**.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ოლიმპიადებზე სადებიუტო შეხვედრა ბულგარეთთან გამართა და დამატებით დროში შეძლო გამარჯვების მოპოვება. ქართველებიდან მხოლოდ ღოღობერიძემ ითამაშა, თუმცა, მომდევნო მატჩში თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტნის ნაცვლად ძირითადში ბესკოვი გამოჩნდა. ის შეხვედრა მართლაც უნიკალური სცენარით წარიმართა: ძირითადი დროის დასრულებამდე 15 წუთით ადრე იუგოსლავიის ნაკრები 5:1-ს უგებდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს და საბოლოოდ მატჩი... 5:5 მორჩა. გამარჯვებული ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა და ორი დღის მერე გადათამაშება დაინიშნა. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა - ბესკოვის ნაცვლად ძირითადში ავთანდილ ჭკუასელი გამოჩნდა. სამწუხაროდ, ის შეხვედრა იუგოსლავიამ მოიგო და მერე ფინალშიც გავიდა, სადაც უნგრეთთან დამარცხდა. უნგრეთის ნაკრებში კი ის ფეხბურთელები თამაშობდნენ, ორი წლის მერე მსოფლიო ჩემპიონატზე ფურორი რომ მოახდინეს. თუმცა ჩვენ საბჭოთა კავშირის ნაკრებზე გავაგრძელოთ საუბარი. ფეხბურთელების ადრეულ სტადიაზე გამოვარდნას მოსკოვში არნახული გამოხმაურება მოჰყვა. პირველი, რაც გააკეთეს, ცდსა დაშალეს; ამას გარდა, ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს დისკვალიფიკაციის გარდა... რეპრესიებიც შეეხო. როგორც ამბობდნენ, **ლავრენტი ბერიას** უშუალო მითითებით. შერისხულებში ქართველი ფეხბურთელები არ აღმოჩნდნენ და რუსებმა ამის „სამაგიერო“ მერე გადაგვიხადეს. იმაზე აღარაფერს ვიტყვით, ნაკრებში მუშაობისას ბესკოვმა **დავით ყიფიანი** თუ სხვა ქართველი ფეხბურთელი რამდენჯერ უგულებელყო; ყველაზე საშინელება ის იყო, რომ კარგა ხნის მერე (კონკრეტულად, 80-იანი წლების ბოლოს), რუსი ჟურნალისტები ჰელსინკის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ნაკრების ფიასკოს... ქართველებს რომ აბრალებდნენ. თურმე, იუგოსლავიასთან წაგების მიზეზი ავთანდილ ჭკუასელი ყოფილა - რუსული არ იცოდა და პარტნიორები ვერაფერს აგებინებდნენო - ასე წერდა რუსული პრესა...

## 1956 წელი

მელბურნის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა და ოქროს მედლები მოიპოვა. სწორედ ავსტრალიაში ჩატარებულ თამაშებში გაიცნო მსოფლიომ 18 წლის „ამომავალი ვარსკვლავი“ **ედუარდ სტრელცოვი**. სამწუხაროდ, ოლიმპიადის შესარჩევმა და ფინალურმა ტურნირმა უქართველებოდ ჩაიარა. სხვა თუ არა, ავთანდილ ღოღობერიძე უსათუოდ იმსახურებდა ნაკრებში თამაშს.

## 1960 წელი

მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა შესარჩევ ტურნირში ფიასკო განიცადა და რომის ოლიმპიური თამაშების საგზურის გარეშე დარჩა. ეს, მართლაც, დიდი მოულოდნელობა იყო, მით უმეტეს, რომ ქვეჯგუფში მეტოქეებად რუმინეთი და ბულგარეთი ჰყავდა. შესარჩევ ტურნირზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თბილისის „დინამოს“ სამი ფეხბურთელი მონაწილეობდა: ავთანდილ ღოღობერიძე, **ზაურ კალოევი** და **შოთა იამანიძე**. ამათ გარდა ნაკრებში თამაშობდა და უკვე შეუცვლელ ფეხბურთელად ითვლებოდა იმ დროისთვის მოსკოვის „ტორპედოს“ ახალგაზრდა ფორვარდი **სლავა მეტრეველი**.


მურთაზ ხურცილავა

## 1964 წელი

წესითა და რიგით, ტოკიოში ჩატარებულ ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე ერთდროულად რამდენიმე ქართველს უნდა ესპარეზა. თუმცა, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ამჯერად ვერ მოახერხა შესარჩევი ეტაპის დაძლევა. არადა, რომ არა მწვრთნელების უაზრო (იქნებ, პოლიტიკურიც) ექსპერიმენტები, საბჭოთა კავშირის ნაკრები უპრობლემოდ მოხვდებოდა იაპონიაში და იქაც ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნებოდა. მოკლედ, სულ მცირე, ხუთ-ექვს ქართველ ფეხბურთელს ოლიმპიური მედლის მოპოვების შანსი წაართვეს.

შესარჩევი ტურნირის დასაწყისი შთამბეჭდავზე მეტი იყო: ფინეთის ნაკრებს კიევში - 7:0, ხოლო ჰელსინკში - 4:0 მოუგეს. ამ წარმატებაში ლომის წილი ქართველ ფეხბურთელებსაც მიუძღოდათ. **სერგო კოტრიკაძემ** და **მურთაზ ხურცილავამ** ორივე მატჩი უშეცდომოდ ჩაატარეს. მომდევნო ორი შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან იყო და ორივეჯერ ერთნაირი ანგარიში (1:1) დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ამ ორივე მატჩში საბჭოთა კავშირის ნაკრების კარს ქუთაისის „ტორპედოს“ წარმომადგენელი **რამაზ ურუშაძე** იცავდა. და აი, ტოკიოს საგზურის მოსაპოვებლად ნეიტრალურ მოედანზე (ვარშავაში) სსრკ-ისა და გდრ-ის ნაკრებებს შორის გადათამაშება დაინიშნა. საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვიაჩესლავ სოლოვიოვმა** მატჩამდე რამდენიმე უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: ძირითადში ადგილი არ მოეძებნათ იმდროინდელ ლიდერებს - **ანდრეი ბიბას, ვალერი ლობანოვსკის, ოლეგ კოპაევსა** და **ლევ ბურჩალკინს**. თუმცა მთავარი მოულოდნელობა მეკარის საკითხი იყო: წინა ოთხ შეხვედრაში კოტრიკაძისა და ურუშაძის უნაკლო თამაშის მიუხედავად, გერმანელებთან მატჩში ნდობა **ვლადიმერ ლისიცინს** გამოუცხადეს. და ვინ იყო, ლისიცინი? არც მანამდე და არც მერე ამ მეკარეს ღირებული არაფერი გაუკეთებია. ეგ კი არა, იმ წლებში მოსკოვის „სპარტაკში“ **ვლადიმერ მასლაჩენკოს** (დღესაც რომ კომენტატორობს) „ღრმა“ დუბლიორი იყო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოკლედ ვიტყვით: გდრ-ის ნაკრებმა დიდი ანგარიშით მოუგო სსრკ-ის ნაკრებს - 4:1...

## 1968 წელი

საფეხბურთო ოლიმპიური ტურნირების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოულოდნელობა, ალბათ, ის იყო, რომ მექსიკაში საბჭოთა კავშირის ნაკრები ვერ გაემგზავრა. ყოველ შემთხვევაში, თითქმის იმავე შემადგენლობით სსრკ ნაკრები 1968 წელს ლამის ევროპის ჩემპიონი გახდა და ამავე დროს... ოლიმპიადის საგზური ვერ მოიპოვა. ამ დროისთვის ოლიმპიურ ტურნირზე ყველა შეზღუდვა მოხსნილი იყო და ქართველთა არმოძულე ჩინებული მწვრთნელის **მიხეილ იაკუშინის** განკარგულებაში, მართლაც, რჩეულმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი. **ედუარდ სტრელცოვი** (შვიდწლიანი პატიმრობიდან გამოსული), **ვალერი ვორონინი, ალბერტ შესტერნიოვი, იგორ ჩისლენკო, ანატოლი ბიშოვეცი, ედუარდ მალაფეევი, იოჟეფ საბო, ანატოლი ბანიშევსკი** - ვინ გაუშვებდათ, თორემ ევროპის ნებისმიერ გრანდს დაამშვენებდნენ. აღარაფერს ვამბობთ ქართველებზე - მურთაზ ხურცილავას გარეშე ის ნაკრები ხომ წარმოუდგენელი იყო! მართლაც, ლეგენდარულმა ქართველმა მცველმა ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა, პრინციპულ დაპირისპირებაში (მოსკოვში, ჩეხოსლოვაკიასთან) „საფირმო“ დარტყმით გოლიც გაიტანა, მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი მაინც არ გამოდგა. ბოლო შეხვედრაში, ოსტრავაში რომ გაიმართა, საბჭოთა კავშირის ნაკრებს ფრეც აწყობდა, მაგრამ ტრიბუნებიდან წამოსული არნახული აგრესიის და კიდევ ბევრი არასაფეხბურთო ფაქტორის (საბჭოთა ჯარები პრაღაში ხომ ამ დროს შევიდნენ) გამო გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. სხვათა შორის, იმ შესარჩევ ტურნირზე ორი შეხვედრა თბილისის „დინამოს“ მარცხენა მცველმა **გურამ ცხოვრებოვმაც** ჩაატარა. ხოლო ოსტრავის მატჩში საბჭოთა კავშირის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 20 წლის ცენტრფორვარდს **გივი ნოდიას**...

## 1972 წელი

და აი, 16 წლის შესვენების მერე, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა! შესარჩევი ტურნირის ბოლომდე ქართველ ფეხბურთელებს არ უთამაშიათ, მაგრამ ბოლოსწინა შეხვედრაში (ავსტრიასთან) **ვლადიმერ ვერემეევის** ნაცვლად მოედანზე შემოვიდა 21 წლის **მანუჩარ მაჩაიძე**, ვისთვისაც სადებიუტო შეხვედრა იყო. ქვეჯგუფის ბოლო მატჩი კი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პარიზში, „პარკ დე პრენსზე“ ჩაატარა და 3:1 მოიგო! ამ შეხვედრაში ანგარიში მანუჩარ მაჩაიძემ გახსნა, მეორე ტაიმში კი 19 წლის დებიუტანტმა **ოლეგ ბლოხინმა** „დუბლი“ შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ფრანგების დაცვა ვერაფრით უმკლავდებოდა მეტოქის ფორვარდებს: ბლოხინი მარცხნიდან უტევდა, გივი ნოდია - ცენტრიდან, ხოლო 19 წლის **ვლადიმერ გუცაევი** - მარჯვნიდან!

ფინალურ ტურნირზე, გერმანიამ რომ უმასპინძლა, საბჭოთა კავშირის ნაკრები გამოკვეთილი ფავორიტის რანგში ჩავიდა. მით უმეტეს, ოლიმპიადაზე უძლიერესი შემადგენლობა გაემგზავრა - რამდენიმე ხნით ადრე ევროპის ვიცე-ჩემპიონები რომ გახდნენ. ანუ, ძალიან დიდი იყო იმის ალბათობა, რომ მურთაზ ხურცილავასა და **რევაზ ძოძუაშვილს** ევროპის ჩემპიონატის „ვერცხლისთვის“ ოლიმპიური „ოქრო“ მიემატებინათ. ყველაფერი აქეთკენაც მიდიოდა, სანამ ნახევარფინალური ჯგუფის გადამწყვეტ მატჩში პოლონეთთან არ დამარცხდნენ. საბოლოოდ, პოლონელები ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ და სწორედ მაშინ გაიცნო მსოფლიო საფეხბურთო სამყარომ: **ლუბანსკი, დეინა, გორგონი, შარმახი, გადოხა**; რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ნაკრებს, სამშობლოში ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მესამე ადგილისთვის შეხვედრაში საყაიმო ანგარიში (2:2) დაფიქსირდა, მაგრამ ყოველგვარი დამატებითი დროის, პენალტებისა თუ გადათამაშების ნაცვლად... ორივე გუნდს ბრინჯაოს მედლები გადაეცა. ასე რომ, რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავაც ოლიმპიადის პრიზიორები გახდნენ, თანაც ამ შეხვედრაში ხურცილავამ შორეული და უძლიერესი დარტყმით ეფექტური გოლიც გაიტანა.

## 1976 წელი

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა უპრობლემოდ დაძლია შესარჩევი ეტაპი. აღსანიშნავია, რომ ნაკრების მწვრთნელი კონსტანტინ ბესკოვი იყო და საბაზო გუნდიც, რა თქმა უნდა, მოსკოვის „სპარტაკი“ გახლდათ. თუმცა, ნაკრები სხვა გუნდების ფეხბურთელებითაც (**ვასილის ხაძიპანაგისი, ვიქტორ ზვიაგინცევი, ვლადიმერ სახაროვი, ალექსანდრ მაქსიმენკოვი**) იყო გაძლიერებული. თითქმის ყველა მატჩისთვის გამოძახებულთა შორის სამი ქართველი ფეხბურთელიც იყო: ვლადიმერ გუცაევი, მანუჩარ მაჩაიძე და **დავით ყიფიანი**. სამწუხაროდ, ბესკოვმა არც იმ ჯერზე უღალატა „ტრადიციას“ და ქართველებს დიდად არ სწყალობდა: გუცაევს თამაშის საშუალება არ მისცემია, ხოლო მაჩაიძემ და ყიფიანმა ორორი მატჩი ჩაატარეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩი, როცა სსრკ ნაკრებმა მოსკოვში ნორვეგია გაანადგურა (4:0). მატჩის დასრულებამდე, ალბათ, ოციოდე წუთი რჩებოდა, დავით ყიფიანი შეცვლაზე რომ შემოვიდა; თუმცა ეს დროც „ეყო“, რომ „დუბლი“ შეესრულებინა!

ოლიმპიადის ფინალური ტურნირი კანადაში ტარდებოდა და საბჭოთა კავშირის ნაკრები იქ უკვე ახალ მწვრთნელთან (ვალერი ლობანოვსკი) და ასევე ახალ საბაზო გუნდთან (კიევის „დინამო“) ერთად გაემგზავრა. ფაქტობრივად, ეს იყო 1975 წლის ევროპის თასების მფლობელთა თასისა და სუპერთასის მომგები გუნდის შემადგენლობა პლუს რამდენიმე ფეხბურთელი სხვა გუნდებიდან - **ვლადიმერ ასტაპოვსკი, ვლადიმერ ფიოდოროვი, ალექსანდრ მინაევი** და... დავით ყიფიანი. რამდენი დრო გავიდა მას მერე და ვერავის აუხსნია, თუ რა მოხდა კანადაში. ყოველ შემთხვევაში, ოლიმპიადის დაწყებამდეც და მას მერეც ყიფიანი ბრწყინვალე


დავით ყიფიანი

ფორმაში იყო, მაგრამ ლობანოვსკიმ საერთოდ შანსი არ მისცა. ეგ კი არა, განაცხადში მყოფი 17 ფეხბურთელიდან კანადაში მხოლოდ ყიფიანსა და სათადარიგო მეკარეს არ უთამაშიათ...

საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კანადაში წინა ოლიმპიადის მიღწევა გაიმეორა და კვლავაც ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა.

**გია ტუხაშვილი**

გაგრძელება მომდევნო ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხაელ ბალაკი

ინტერვიუ მიხაელ ბალაკთან

# მინდა, კარიერა ჩელსიში დავასრულო, მაგრამ არა 33 წლის ასაკში

## ბუნდესკაპიტანი სირაქლემა არ არის...

მოგეხსენებათ, გასულ უქმეებზე მოსკოვმა რკინიგზის თასის გათამაშებას უმასპინძლა. ოთხთა ტურნირში "ჩელსიმ", "მილანმა", "სევილიამ" და მასპინძელმა "ლოკომოტივმა" იასპარეზეს. ჩვენმა გაზეთმა ტურნირის თაობაზე ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდათ. რუსეთის დედაქალაქში ვარსკვლავთა ცვენა იყო. ტურნირზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა უამრავ მათგანთან ისურვეს გასაუბრება. სასურველ რესპონდენტებს შორის მოხვდა მიხაელ ბალაკიც. გერმანიის ნაკრების კაპიტანს "დეილი მეილი" გაესაუბრა. ბალაკი ჟურნალისტს გამოუტყდა, რომ კარიერის დასრულებას ლონდონში აპირებს. მან იმ მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც ისაუბრა, რაც ორიოდე თვის წინ, ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგების შემდეგ დაეუფლა. მოგეხსენებათ, ის ფინალიც მოსკოვში გაიმართა. რუსი ჟურნალისტები "ჩელსის" ფეხბურთელებს გამუდმებით "მანჩესტერ იუნაიტედთან" წაგებულ შეხვედრაზე ეკითხებოდნენ. ბალაკის ინტერვიუდან შეიტყობთ, რომ გერმანელი ვარსკვლავი დიდი ფეხბურთიდან წასვლას პენსიაში გასვლის შემდეგაც არ აპირებს.

**- მიხაელ, ამბობენ, რომ "ჩელსისთან" ხელშეკრულების გაგრძელებას აპირებთ. ცოტა ხნის წინათ კი განაცხადეთ, რომ თქვენი კარიერის დასრულებამდე არც ისე დიდი დრო დარჩა...**

- გინდათ, რომ ამიერიდან ფეხბურთი აღარ ვითამაშო?

**- არა, ეს არ მიგულისხმია, მე მხოლოდ თქვენი ნათქვამი შეგახსენეთ.**

- არასდროს მითქვამს, რომ კარიერის დასრულებას 2010 წელს ვაპირებ. ორი წლის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ "ჩელსისთან" ახლანდელი კონტრაქტი მეწურება.

**- ანუ, მის გაგრძელებას აპირებთ?**

- არ ვიცი, 2010 წელი მალე მოვა და ყველაფერი მაშინ გამოჩნდება.

**- თქვენ ისიც თქვით, რომ თუ კლუბი ახალ კონტრაქტს არ შემოგთავაზებთ, კარიერას მაინც "ჩელსიში" დაასრულებთ. ასეა?**

- დიახ, ასეთი რამე მართლა ვთქვი, თუმცა, იცით რა? ყველაფერი მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელობის ნებაზე არ არის დამოკიდებული. ვნახოთ...

**- როგორ გესახებათ მომავალი სეზონი? თქვენ ეროვნული ნაკრების კაპიტანი ხართ, ამავე დროს, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი. ვეჭვობ, სკამზე ჯდომა არ დაგაკმაყოფილებთ.**

- რა თქმა უნდა.

**- ნაკრებიდან დაბრუნების შემდეგ გუნდთან შეგუება ხომ არ გაგიჭირდათ?**

- გერმანული ფეხბურთი ინგლისურისგან ძალიან განსხვავდება. როცა პირველად ლონდონში ჩამოვედი, სულ სხვა გარემო დამხვდა, სხვა სისწრაფე, განსხვავებული სტილი, ზოგადად სხვა ფეხბურთი. სიახლეს ვარჯიშებზე ვეჩვეოდი. აქაური გამოცდილება ნაკრებში გამომადგა, ისევე, როგორც გერმანული გამოცდილება გამომადგა "ჩელსიში". რაც შეეხება თქვენს კითხვას, წელს გუნდთან შეგუების პრობლემა აღარ მქონია.

**- გასული სეზონი თქვენს კარიერაში ყველა სხვა სეზონისაგან გამორჩეული იყო. როგორ ფიქრობთ, ახლა უფრო ძლიერი ფეხბურთელი ხართ, თუ მაშინ, როდესაც ინგლისში ჩამოხვედით?**

- ვფიქრობ, რომ ახლა. მე გამუდმებით პროგრესზე ვფიქრობ. "ჩელსიში" გადმოსვლამდე, ჯერ "ლევერკუზენში" და მერე "ბაიერნში" რამდენიმე კარგი სეზონი მქონდა. ლონდონში იმიტომ წამოვედი, რომ უფრო მეტისათვის მიმელნია. ჟოზე მოურინიოსთან მუშაობა დიდი გამოწვევა იყო. პრემიერლიგაც ყოველთვის განსაკუთრებულ ტურნირად მიმაჩნდა. 2006 წელს 29 წლის ვიყავი და მივხვდი, რომ თუ გერმანიაში კიდევ ერთ ან ორ სეზონს ჩავატარებდი, კარიერის დასრულებაც იქ მომიწევდა. მე კი ინგლისში თამაში მსურდა.

**- მიხაელ, როგორ გადაიტანეთ ის, რაც ბოლო თვეებში მოხდა? მეორე ადგილი პრემიერლიგაში, წაგება ჩემპიონთა ლიგის ფინალში და წაგება ევროპის ჩემპიონატის ფინალში...**

- გარემოებებიც უნდა გავითვალისწინოთ. გასულ სეზონში პრემიერლიგაში ცუდი სტარტი გვქონდა, მე კი ძალიან დიდი ხანი გამიცდა. როცა 20 წლის ხარ, მომავალს მეტი ოპტიმიზმით უყურებ, მაგრამ როცა 30-31 წლის ხარ, ასეთი ტრავმისას იმაზეც კი ფიქრობ, რომ ფეხბურთი, შეიძლება, ველარასოდეს ითამაშო. მოკლედ, ძალიან მძიმე პერიოდი მქონდა. მერე ჩამორჩენა დავძლიეთ და ლიდერს მივუახლოვდით, მაგრამ იცით, რა? ეს ფეხბურთია. იმის გამო, რაც ლიგის ფინალში შეგვემთხვა, სხვა როგორ უნდა დავადანაშაულოთ? ეს თამაშია.

**- სიმართლე ითქვას, მე კლუბს კი არა, პირადად თქვენს წარუმატებლობებს ვგულისხმობდი. თქვენ წაგებული გაქვთ ჩემპიონთა ლიგის ორი ფინალი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ფინალები და პრემიერლიგის ორგზის ვიცე-ჩემპიონი ხართ...**

- რა შემიძლია, მოგახსენოთ? არაფერი. მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც სირაქლემასავით თავს ქვიშაში ჩარგავს და პრობლემებს დაემალება. ასეთი კოშმარული სეზონი კარიერაში მეორედ მქონდა. 2002 წელს ლიგისა და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალები წავაგე, ახლა კი ისევ ლიგისა და ევროპის ჩემპიონატის ფინალები. რას ვიზამ? მე ძლიერი ადამიანი ვარ და ტირილს არ დავიწყებ.

**- "ჩელსიმ", შეიძლება, კონტრაქტის ამოწურვის შემდეგაც შემოგთავაზოთ სამუშაო. დასთანხმდებით?**

- როგორც გითხარით, მინდა, რომ კარიერა აქ დავასრულო, მაგრამ არა 33 წლის ასაკში. ვნახოთ...

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ვარსკვლავი

# ბექჰემი ამერიკელ მოზარდთა ფავორიტია

ამერიკელმა თინეიჯერებმა **დევიდ ბექჰემი** წლის საუკეთესო მამაკაც სპორტსმენად დაასახელეს. ყოველი სამი გამოკითხული ახალგაზრდიდან ორმა "ლოს ანჯელეს გალაქსის" ვარსკვლავს მისცა ხმა. ბექჰემმა **კობი ბრაიანტი, ტაიგერ ვუდსი** და **ელი მენინგი** დაჩრდილა. ეს უკანასკნელი წლევანდელი სუპერბოულის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს (მენინგის "ჯაიანთსმა" "პეტრიოტსს" 17:14 მოუგო), მაგრამ მოზარდების გული მაინც ვერ მოიგო.

ბექჰემს ჯილდო საგანგებო ცერემონიაზე გადასცეს. ამ ცერემონიას "თინეიჯერთა არჩევანი" (Teen Choice Awards) ჰქვია. ის ტრადიციულად ლოს ანჯელესში იმართება. გამარჯვებულს ოცამდე ნომინაციაში ავლენენ. ამიტომაც დაჯილდოებას ყოველთვის უთვალავი ვარსკვლავი ესწრება. გამონაკლისი არც წლევანდელი ცერემონია ყოფილა. პირდაპირ ტელეტრანსლაციას ოცმა მილიონმა მაყურებელმა ადევნა თვალი.

ბექჰემის დაჯილდოება ჟურნალ Men's Health-ში დევიდის ფოტოების გამოქვეყნებას დაემთხვა. ეს ჟურნალი ამერიკაში ყველაზე დიდი ტირაჟით იბეჭდება. განთქმულმა ფოტოგრაფმა **ენტონი მენდლერმა** ინგლისელი გალაქტიკო 1920-იანი წლების მოდაზე გამოაწყო. Men's Health-ის რედაქცია იუწყება, რომ ბექჰემის ფოტოებმა ჟურნალი სარეკორდო ტირაჟით გაყიდა.

როდესაც ამერიკელებმა 32 წლის ვარსკვლავთან კონტრაქტი გააფორმეს, მათი ამოცანა ის იყო, რომ ახალგაზრდები ევროპული ფეხბურთით დაეინტერესებინათ. თინეიჯერთა გამოკითხვაში ბექჰემის გამარჯვება ბევრ რამეზე მეტყველებს. მიმომხილველების აზრით, ერთი წლის განმავლობაში MLS საგრძნობლად შეიცვალა. ტელევიზიები ამერიკის პირველობით დაინტერესდნენ. ისინი ყველა მატჩს პირდაპირ ეთერში გადასცემენ.

"ლოს ანჯელეს გალაქსის" მატჩებზე დამსწრეთა რიცხვი 25 ათასამდე გაიზარდა. მთლიანად MLS-ში ეს რიცხვი 28 ათასს შეადგენს. MLS-ის მატჩებს უფრო მეტი მაყურებელი ესწრება, ვიდრე "რედინგის", "პორტსმუთის", "ფულჰემის", "ბლექბერნის", "ვიგანისა" და "ბოლტონის" თამაშებს გასულ სეზონში.

ამერიკაში მაისურების გაყიდვა 780 პროცენტით გაიზარდა. არნახულად მოიმატა სეზონური აბონემენტების რეალიზაციამ. 80 პროცენტით მოიმატა MLS-ის ინტერნეტ-ტრეფიკმა. ყველა ამ წარმატებას ერთი ადამიანის სახელს უკავშირებენ. ამ ადამიანს დევიდ ბექჰემი ჰქვია. ის MLS-ის წლის საუკეთესო ფეხბურთელია. მიმდინარე სეზონში, "გალაქსიმ" ყველაზე მეტი გოლი გაიტანა. დევიდის ანგარიშზე ხუთი გოლი და შვიდი საგოლე პასია.


დევიდ ბექჰემი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვან პერსი იუვენტუსში?


რობინ ვან პერსი

გასულ უქმეებზე ლონდონში ემირატსის თასის გათამაშება შედგა. ტურნირს "არსენალის" "ემირატს სთედიუმმა" უმასპინძლა. "მეთოფეების" გარდა, მასში "იუვენტუსმა", "რეალმა" და "ჰამბურგმა" ითამაშეს. ტურნირის მიმოხილვა გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ, ახლა იმ მოლაპარაკებების შესახებ გიამბობთ, რომელიც კლუბებმა თამაშების პარალელურად გამართეს.

"ტუტოსპორტის" მტკიცებით, "იუვენტუსმა" "არსენალს" **რობინ ვან პერსის** ამბები გამოჰკითხა. ვან პერსი ლონდონელების საკვანძო მოთამაშეა. "ბებერი ქალბატონი" მას **პაველ ნედვედის** იდეალურ შემცვლელად მიიჩნევს. ნედვედი პენსიაში ჯერ არ გასულა. რობინს შეუძლია, მომავალი სეზონიც "არსენალში" გაატაროს. გაისად ზაფხულს კი ტურინელები მოლაპარაკებებს წამოიწყებენ. "იუვენტუსს" "მეთოფეებთან" მორიგება სურს - თუ ვან პერსის ტრანსფერზე დააყენებენ, იქნებ "არსენალმა" პირველად ტურინელებს შეატყობინოს. ამას პირველი არჩევანის უფლება ჰქვია. გარიგების შემთხვევაში, "ბებერი ქალბატონი" ლონდონელებს ვალში არ დარჩება. იტალიელი მიმომხილველების მტკიცებით, ჰოლანდიელი თავდამსხმელის შესაძენად 20 მილიონი გირვანქა საკმარისი იქნება. კლუბებს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

## მოურინიოს ცენტრალური მცველი სჭირდება

**ჟოზე მოურინიო** ბარსელონელი **რაფაელ მარკესით** დაინტერესდა. ამ ინფორმაციას "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. წინასასეზონო მატჩებში "ინტერს" რამდენიმე ფეხბურთელი დაუშავდა. შვებულებები გამოიწერეს **მარკო მატერაცციმ, ივან კორდობამ** და **კრისტიან კივუმ**. მოურინიოს დაცვის ხაზს გაძლიერება სჭირდება. მარკესი იდეალური კანდიდატია. "ნერაძურიმ" **მატეო ფერარისა** და **მირელ რადოისაც** დაადგა თვალი, მაგრამ ვერც ერთი გადაიბირა. ახლა მილანურმა გრანდმა ბარსელონისაკენ გაიხედა. "ბარსაში" დიდი საკადრო გადაადგილებებია. გუნდის ახალ თავკაცს **ხოსეპ გუარდიოლას** თავისი ფეხბურთელები მოჰყავს. მარკესი უკვე ასაკოვანი მოთამაშეა. სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, კატალონიელები მას დაუფიქრებლად გაყიდიან. "ინტერი" ერთწლიან საიჯარო ხელშეკრულებაზეც თანახმაა. მარკესის წარმომადგენლები იტალიურ პრესაში დაბეჭდილ ინფორმაციას არ გამოხმაურებიან.

## დროგბას ორი მატჩი გაუცდება

**დიდიე დროგბას** პრემიერლიგის ორი მატჩი გაუცდება. "დეილი მეილის" მტკიცებით, ამ გარემოებამ, შესაძლოა, **რობინიოს** ტრანსფერი დააჩქაროს. გასულ უქმეებზე ბრაზილიელი თავდამსხმელი "რეალის" ხელმძღვანელობას შეხვდა. მან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა და ლონდონში გაყიდვა მოითხოვა. რობინიო 25 მილიონი გირვანქა ღირს. ტრანსფერის შემთხვევაში, მას კვირაში 100 ათას გირვანქას გადაუხდიან.

რაც შეეხება დროგბას, 30 წლის თავდამსხმელს მუხლი აწუხებს, რის გამოც აზიური და მოსკოვური ტურნეები გამოტოვა. გასულ უქმეებზე კლუბმა მას ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი და ხელფასის მომატება შესთავაზა. დიდიე დათანხმდა და სპეკულაციებს მისი მოსალოდნელი აბარგების თაობაზე წერტილი დაუსვა.

## სპარტაკი: ტიტოვის ნაცვლად ტიმოშჩუკი?

მოსკოვის "სპარტაკი" სენსაციურ ტრანსფერს ამზადებს. რუსული სააგენტოების მტკიცებით, სახალხო გუნდი "ზენიტს" დაუკავშირდა და **ანატოლი ტიმოშჩუკის** გაყიდვა შესთავაზა. უკრაინელი ვარსკვლავის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომელიც დაინტერესებულ კლუბებს 10 მილიონ ევროდ ფეხბურთელის შეძენის უფლებას ანიჭებს. "სპარტაკის" გენერალური სპონსორი "ლუკოილი" მზადაა, ეს თანხა გადაიხადოს. მოსკოვური კლუბი, "ზენიტის" დარად, ჩემპიონთა ლიგისათვის ემზადება. მწვრთნელთან კონფლიქტის გამო, გუნდმა კარისაკენ მიუთითა ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველს, **ეგორ ტიტოვს**. ტიმოშჩუკმა სწორედ ის უნდა შეცვალოს. მოსალოდნელი გარიგების თაობაზე ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა

# სპალეტი: ახალი მოთამაშეები გვჭირდება

## ბაპტიშტას ჯალოროსიმდე დღეებს უთვლიანო. რამდენად რეალურია სუასოს შანსი?



ლუჩანო სპალეტი

კვირას, "რომამ" ამხანაგური მატჩი გამართა "მონაკოსთან" და უგოლო ფრეს დასჯერდა. პირველი ტაიმი მონეგასკების უპირატესობით წარიმართა და ფორვარდმა **პინომ** რომაელებს უამრავი თავსატეხიც გაუჩინა. "ჯალოროსი" მხოლოდ მეორე ნახევარში დაემსგავსა გუნდს, თუმც **დე როსისა** და **ვუჩინიჩის** მომენტების გარდა ვერაფერს გამორჩა.

ვიცე-ჩემპიონმა მზადება ორი კვირის წინათ დაიწყო და ჯერჯერობით, სასურველი ფორმისგან ძალზე შორსაა. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი პრობლემა, რაც **ლუჩანო სპალეტის** აღელვებს. მწვრთნელი აცხადებს, რომ ახალი ფეხბურთელების გარეშე, გუნდს დასახული მიზნებისთვის ბრძოლა გაუჭირდება. მიზანი კი სკუდეტოა, თან იმ პირობებში, როცა კონკურენტები აშკარად მოძლიერდნენ. მეტიც, "რომამ" თავისი ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა **ამანტინო მანსინი** "ინტერს" დაუთმო, **ლუდოვიკ ჟიული** "პარი სენ-ჟერმენში" გადავიდა. ფანები კლუბის სატრანსფერო პოლიტიკით უკმაყოფილონი არიან. ჯერჯერობით, "რომა" ნორვეგიელი **ჯონ არნე რიისეს** შეძენით თუ მოიწონებს თავს.

მოკლედ, სპალეტი ახალ მოთამაშეებს ითხოვს. გუშინ ის "გაძეტა დელო სპორტს" ესაუბრა. ცოტა არ იყოს, უცნაურია, როცა "ჯალოროსის" მწვრთნელი აცხადებს, რომ მის ხელთ ისევ ის გუნდია, რაც გასულ სეზონში იყო:

*"ჩვენ ისევ ის გუნდი გვყავს. შესაბამისად, დაგვრჩა შარშანდელი ხარისხიც და შემართებაც, რაც სამწლიანი ერთობლივი მუშაობის ნაყოფია. მაგრამ არის დეფიციტური პოზიციებიც. ამიტომაც გვჭირდება მოთამაშეები, რომ ეს დეფიციტი, როგორც მინიმუმ, არ გაიზარდოს. ფორვარდი? დიახ, აუცილებელია ფორვარდი, რათა გვქონდეს იმის თქმის უფლება, რომ გუნდი უკვე დაკომპლექტებულია. ჯერ არ ვიცით, როგორი იქნება ტადეის მდგომარეობა, თუ ისიც დაგვაკლდა, სიძნელეებიც გვექნება".*

ცნობილი ამბავია, რომ "რომა" **ფლორან მალუდათი** და **ჟულიო ბაპტიშტათია** დაინტერესებული. მალუდას **ლუიშ ფელიპე სკოლარისთან** პრობლემები თითქოს არ აქვს. ფრანგმა გარემარბმა მოსკოვის ტურნირზე ნორმალურად ითამაშა. მაგრამ ჯერ გარკვევით არ ჩანს, ენდობა თუ არა ახალი მწვრთნელი მალუდას. შესაძლოა, სკოლარი ჯერ სიტუაციას აკვირდება. ამ ეტაპზე, ბაპტიშტას გაშვებას არ აპირებს **ბერნდ შუსტერიც**. სპალეტი კი სასურველი მოთამაშისთვის აუცილებელ მონაცემებს აკონკრეტებს:

*"ჩვენ გვინდა ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელი, რომელიც გარე ფორვარდის პოზიციაზე ითამაშებს. ყველას მოსწონს დავიდ სილვა, მაგრამ ის ძალიან ძვირია. პოდოლსკიც ბრწყინვალე მოთამაშეა, მაგრამ ვშიშობ, ჩვენს სტილს ვერ მოერგება. აი, მალუდა და ბაპტიშტა კი ნამდვილად კარგი არჩევანი იქნებოდა, თუმც მათი ტრანსფერი მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული".*

ამასობაში, **დავიდ სუასოს** აგენტი **ჯოვანი ბრანკინი** ირწმუნება, რომ მის კლიენტს "რომაში" გადასვლის შანსი გაუჩნდა. ჰონდურასელს "ნერაძურიში" მყარი მომავალი არ აქვს. გეხსომებათ, შარშან ამ დროს, სუასოს გულისთვის "ინტერმა" და "მილანმა " კინაღამ დაჭამეს ერთმანეთი. **მასიმო მორატი** ბედნიერი იყო, რომ **სილვიო ბერლუსკონის** "უმნიშვნელოვანესი" ტრანსფერი ცხვირწინ ააცალა. მაგრამ სუასომ სეზონი ჩააგდო. მან კონკურენციას ვერ გაუძლო. "რომაში" კი პირიქით, ფორვარდების დეფიციტია და შანსი გაცილებით მეტი აქვს. აგენტი არც იმაშია დარწმუნებული, რომ **ჟოზე მოურინიოს** სუასო არ სჭირდება.

*"ამ მომენტისთვის, დავიდს "ინტერთან" კონტრაქტი აქვს და ის ამ დოკუმენტს პატივს სცემს. წესით, "ნერაძურიში" მან კიდევ სამი წელიწადი უნდა გაატაროს. მაგრამ, ნამდვილად არ გამოვრიცხავ სუასოს "რომაში" გადასვლას, იმისდა მიუხედავადაც, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე "ინტერი", შეიძლება, რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვოს. ვესაუბრე ჩემს კლიენტს და იცით, ჯერჯერობით, ვერ ვატყობ, რომ ის მზადაა, დატოვოს "ნერაძური". არც მოურინიოა თითქოს მისდამი ნეგატიურად განწყობილი... თუმც დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. 31 აგვისტომდე ყველაფერი შეიძლება მოხდეს", -* აცხადებს ბრანკინი.

და აი, გუშინ ცნობილი გახდა, რომ ბაპტიშტასთან დაკავშირებით ვითარება "რომასთვის" სასარგებლოდ იცვლება. მას შემდეგ, რაც "რეალმა" **რაფაელ ვან დერ ვაარტი** დაიბევა, ბრაზილიელი ფორვარდის წასვლა დღეების საკითხიაო, დარწმუნებულია იტალიური მედია. თან, თუ **კრისტიანო რონალდოც** "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგდა, ბაპტიშტას იქ ნამდვილად აღარავინ გააჩერებს. ერთი სიტყვით, სპალეტი მადრიდიდან კარგ ამბებს უნდა ელოდოს...



ცენტრში ჟულიო ბაპტიშტა

ინტერვიუ ფრანჩესკო ტოტისთან

# ნამდვილი რომა ჯერ არ ჩამოყალიბებულა

**სერია A-ს გრანდებს შორის, "რომამ" ახალი სეზონისთვის მზადება ყველაზე გვიან დაიწყო. თუმცა ფრანჩესკო ტოტი, რომელიც მუხლის ოპერაციის შემდეგ აღდგენით პროცესს გადის, ვარჯიშს თანაგუნდელებზე ადრე შეუდგა. გასულ შაბათს "ჯალოროსიმ" მის გარეშე ითამაშა პირველი ტესტ-მატჩი და "სტიაუასთან" 1:3 წააგო. მაგრამ ტოტის ახლა ყველაზე მეტად კლუბის სატრანსფერო საქმეები აღელვებს. "რომას" კაპიტანმა აზრები "კორიერე დელო სპორტს" გაუზიარა...**

**- ბუქარესტის პუბლიკამ თბილი დახვედრა მოგიწყოთ. რა შთაბეჭდილება მოახდინა ამან თქვენზე?**

- როცა კარგად გხვდებიან, ყოველთვის სასიამოვნოა. მეც ძალიან მესიამოვნა... იტალიაში ხშირად სრულიად საპირისპირო სურათს ვაწყდებით. თუმცა ამას უკვე მივეჩვიე. ჩვენთან ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია.

**- მოგეწონათ "რომა"?**

- კარგი ვარჯიში იყო. მოდით, შედეგს ყურადღებას ნუ მივაქცევთ. ესესაა გუნდი წვრთნას შეუდგა და ვთვლი, რომ ამის გათვალისწინებით, ბიჭებმა საკმაოდ ნორმალურად ითამაშეს იმ გუნდის წინააღმდეგ, რომელმაც სეზონისთვის მზადება გაცილებით ადრე დაიწყო. ძალიან გამახარა ვუჩინიჩის მიერ საჯარიმო დარტყმით გატანილმა გოლმა. მე მას ვურჩიე, რომ სტანდარტულებზე ბევრი იმუშაოს. კარგია, რომ დამიჯერა.

**- ამჯერად "რომასთვის" ჩემპიონატის სტარტი გაცილებით ადვილი იქნება, ვიდრე გასულ სეზონში იყო...**

- მართალი ხართ, წილისყრისას ბედმა გაგვიღიმა. რთული შეხვედრები მოგვიანებით გვექნება და იმედია, იმ დროისთვის ოპტიმალურ ფორმაშიც ვიქნებით. თუმცა, საბოლოოდ, ყველა გუნდმა ერთი და იმავე რაოდენობის მატჩი უნდა ჩაატაროს და მე თუ მკითხავთ, კალენდარს მაინცდამაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. შარშან მართლაც მძიმე სტარტი იყო, რთული გრაფიკი გვქონდა, მაგრამ ხომ ნახეთ, სეზონის ბოლოს სკუდეტოსთან ერთ ნაბიჯში ვიყავით.

**- რომაული დერბის საპასუხო მატჩი 11 აპრილისთვისაა დაგეგმილი. ამ დღეს, 1999 წელს, ზდენეკ ზემანის "რომამ" "ლაციოს" 3:1 მოუგო...**

- მართლა? ნამდვილად არ მახსოვდა. იცით, ამგვარ დეტალებს ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ თუკი ასეა, კარგი ნიშანი უნდა იყოს.

**- სასტარტო მატჩში "ნაპოლის" მასპინძლობთ...**

- დარწმუნებული ვარ, ლამაზი თამაში იქნება. იმედია, ტიფოზები "ოლიმპიკოს" ბოლომდე შეავსებენ.

**- რას იტყვით იმაზე, ადრიან მუტუს ტრანსფერი რომ ჩაიშალა?**

- გული დამწყდა. არადა, იმედი მქონდა, რომ მუტუ ჩვენთან ითამაშებდა, საქმესაც ასეთი პირი უჩანდა... თავისი მონაცემებით, ადრიანი "რომასთვის" იდეალური ვარიანტი იქნებოდა... ეტყობა, ჩვენი ბედია, რომ ტრანსფერი ვერ შედგა. არ მინდა, ამაში "ჯალოროსის" ხელმძღვანელობა დავადანაშაულო, თუმც ფაქტია, რომ ვიღაც ნამდვილადაა დამნაშავე. რა გაეწყობა... მგონი, ამაზე პოლემიკა აღარ ღირს. რაც მოხდა, მოხდა...

**- ახლა "რომა" იძულებული გახდება, თავდამსხმელის ძიება გააგრძელოს. ასეა?**

- დარწმუნებული ვარ, ორ მოთამაშეს აუცილებლად ვიყიდით. იცოდეთ, ნამდვილი "რომა" ჯერ არ ჩამოყალიბებულა. გვარების დასახელებას ნუ მომთხოვთ. მეშინია, ამ ფეხბურთელებს პრობლემები არ შეექმნათ და ჩვენც არ გაგვიჭირდეს მათი შეძენა... ასე რომ, ცოტა მოითმინეთ.

**- შთაბეჭდილებები მაინც გაგვიზიარეთ სავარაუდო შენაძენებზე. ან თქვენ ხომ არ ურჩევთ კლუბს ამა თუ იმ ფეხბურთელის ყიდვას?**

- არა, არანაირი შთაბეჭდილება და არანაირი რჩევა. "რომას" ხელმძღვანელობამ, მწვრთნელმა ჩემზე კარგად უწყიან, ვინ სჭირდება დღესდღეობით გუნდს და ვიცი, რომ ამ მიმართულებით მუშაობენ კიდეც. კიდევ ერთხელ ვამბობ: ველოდები ორი მაღალი კლასის ფეხბურთელის მოსვლას. ეს არის და ეს. გთხოვთ, ამ თემაზე მეტს ნურაფერს მკითხავთ.

**- თქვენი გამოჯანმრთელების პროცესი როგორღა მიდის?**

- ნორმალურად. ძალიან კმაყოფილი ვარ მზადების პროცესით. როგორც კი პროფესორ მარიანის მოვინახულებ, მერე უკვე შემეძლება იმის თქმაც, თუ როდის გამოვჩნდები მოედანზე. მასთან შეხვედრას აგვისტოს დასაწყისში ვგეგმავ. მაგრამ უფრო მეტი ინფორმაცია თუ გნებავთ, ჩემს ფიზიოთერაპევტ სილიო მუზეს უნდა მიაკითხოთ. მან იცის ყველაფერი, ყველა დეტალი... პროფესორთან ვიზიტის შემდეგ, მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული, თუ როდის ვითამაშებ პირველ მატჩს. გასულ პარასკევს პატარა დისკომფორტი მქონდა, თორემ ისე, როგორც გითხარით, ყველაფერი ნორმის ფარგლებშია. აღდგენით პროცესს ეს ხელს ვერ შეუშლის. მთელი ზაფხულის განმავლობაში დაუღალავად ვმუშაობ, რათა სეზონის სტარტისთვის მაქსიმალურად მზად ვიყო.

**- და მაინც, თქვენი ვარაუდით, როდისთვის შეძლებთ მოედანზე დაბრუნებას?**



- აკი გითხარით, ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. თუმცა, იმედი მაქვს, 5 აგვისტოს ქაიროში "ალ აჰლის" წინააღმდეგ ვითამაშებ, ან თუ არა და, 10 აგვისტოს, ლონდონში, "ტოტენჰემთან" ამხანაგურ შეხვედრაში მაინც შევძლებ მოედანზე გასვლას. მეც ძალიან მინდა, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე რაც შეიძლება მეტ ტესტ-მატჩში მივიღო მონაწილეობა. ფორმაში შესვლა ხომ უნდა მოვასწრო? სერია A-ს დაწყებამდე, 24 აგვისტოს "ინტერთან" სუპერთასის მატჩი გვიწევს და სწორედ ეს იქნება ჩემთვის მთავარი გამოცდა.

**- და ბოლო კითხვა: რით დაასაჩუქრებთ თქვენს ნაგაზს "არიელს", რომელმაც გოგონა ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა?**

- არ ვიცი. მიხარია, რომ მალე ვნახავ ჩემს ორ ლაბრადორს. ძალიან მიყვარს ისინი და მიჭირს მათ გარეშე გაძლება. ჩვენი ოჯახის სრულუფლებიანი წევრები არიან... თან არც ვიცი, მიცნობენ კი? ან სად სცალიათ ჩემთვის? ხალხის გადარჩენით არიან დაკავებულები (იცინის).

გვერდი მოამზადა
გიორგი ბელაშვილმა



ჟოზე მოურინიო

მისი სტილი

# მოურინიო: რანიერი ბებერია და წარუმატებელი

## რის კაკა, რა მესი, იბრა უფრო მაგარია!

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია. ამ ჩვეულებას არ ღალატობს **ჟოზე მოურინიოც**. კოლეგების გაკილვა მისი ჰობია. გახსოვთ მის კინკლაობა **რაფა ბენიტესთან,** სერ **ალექს ფერგიუსონთან** და **არსენ ვენგერთან?** აგერ, იტალიაშიც დაიწყო: მოურინიო კოლეგების წინააღმდეგ.

ჟოზემ მიზანში პირველი **კლაუდიო რანიერი** ამოიღო. "იუვენტუსისა" და "ინტერის" ოდინდელ მტრობაზე ის კარგადაა ინფორმირებული. მოურინიომ ცეცხლზე ნავთი დაასხა და "სინიორას" თავკაცს შეუტია. მანამდე, "ნერაძურის" მწვრთნელმა "იუვეს" დასცინა, ლონდონურ ტურნირში "ჰამბურგთან" მარცხის (0:3) გამო. რანიერის პასუხი ასეთი იყო:

*"მოურინიოსგან განსხვავებით, მე ყოველთვის არ მჭირდება გამარჯვება, რათა დარწმუნებული ვიყო იმ საქმის სისწორეში, რასაც ვაკეთებ. მე შემიძლია გადავიტანო ეს მარცხიც. გასულ სეზონში მხოლოდ რამდენჯერმე წავაგეთ. ჩვენ ყოველთვის ვპოულობდით იმ გზას, რომ წარუმატებლობაზე სწორი და დროული რეაგირება მოგვეხდინა".*

ჟოზე ვალში არ დარჩენილა. თავიდან კი თქვა, იტალიაში იმისთვის ვარ, ვიმუშაო და არა სიტყვებით ვიომოო, მაგრამ აბა, ნახეთ, მერე რას ამბობს: *"მინდა, ჩემს გუნდთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიო და არანაირი სურვილი არ მაქვს, სხვების მუშაობას ვუყურო. რანიერი? ის მართალია, როცა ამბობს, რომ მე საკუთარი თავისადმი მომთხოვნი ვარ, და მე მჭირდება გამარჯვებები, რათა დავრწმუნდე, რომ საქმე კარგად მიდის. ამიტომაც მოვიგე ამდენი ტიტული მოკლე პერიოდში. რანიერის კი იმ ადამიანის მენტალიტეტი აქვს, რომელსაც გამარჯვებები არ სჭირდება. თითქოს, 70 წლის იყოს. მან მოიგო სუპერთასი და რაღაც პატარა ტიტული. ის ძალზე ბებერია იმისთვის, რომ მენტალიტეტი შეიცვალოს. დააკვირდით, ამ ასაკის მწვრთნელს ფასეული წარმატებისთვის არ მიუღწევია".*

შემდეგ, მოურინიომ ისაუბრა **ზლატან იბრაჰიმოვიჩზეც**. ის ფიქრობს, რომ შვედი **კაკაზეც** ძლიერია და **ლიონელ მესიზეც**. როგორც ხედავთ, ჟოზე არც სხვა კლუბის ფეხბურთელებთან დაპირისპირებას ერიდება: *"მესი? კაკა? რონალდინიო? აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ იბრაჰიმოვიჩი განსაკუთრებულია".*

ამასობაში, მოურინიო "მუშაობს" კიდეც და გუნდს "ბაიერნთან" დღევანდელი ამხანაგური მატჩისთვის ამზადებს. პარასკევსა და შაბათს კი "ინტერს" ამსტერდამის ტურნირი ელოდება. იქ მასთან ერთად "აიაქსი" და "სევილიაც" ითამაშებენ.

**გიორგი ბელაშვილი**



კლაუდიო რანიერი

ინტერვიუ გრეგორი კუპესთან

# საფრანგეთის პრეზიდენტის შვილი ჩემი ფანია

## როცა ტელევიზორში ერთს და იმავე დროს ფეხბურთსა და რაგბის აჩვენებენ, გრეგორი რაგბის უყურებს

"ატლეტიკოს" ახალ მეკარე გრეგორი კუპეს ესპანელი ჟურნალისტები საუცხოოდ ახასიათებენ. მათი თქმით, ფრანგი გოლკიპერი გახსნილი და გულღია ადამიანია. პირენეელი კორესპონდენტები კუპეს პროფესიულ ღირსებებსაც არ ივიწყებენ და ხაზს უსვამენ, რომ "ლიონთან" ერთად ზედიზედ რამდენჯერმე გახდა საფრანგეთის ჩემპიონი. ბუნებრივია, ამ კაცის ღირსებაზე ეროვნულ გუნდში ჩატარებული შეხვედრებიც მეტყველებს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გულშემატკივრები და ჟურნალისტები გრეგორის "ატლეტიკოში" გადასვლას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ფრანგი ვეტერანი "როხიბლანკოს" მნიშვნელოვანი გამარჯვებების მოპოვებაში დაეხმარება.

**- ესპანეთში ჩემპიონთა ლიგასა და საფრანგეთის ნაკრებში ჩატარებული შეხვედრების წყალობით გიცნობენ, თუმცა გულწრფელად გეტყვით, რომ გულშემატკივრებს თქვენი უფრო კარგად გაცნობა სურთ...**

- რა თქმა უნდა. ჩემი გაცნობის შესაძლებლობა ყველას მიეცემა. ესპანეთში ყველაფერს თავიდან ვიწყებ. "ლიონში" უდიდესი ავტორიტეტითა და პოპულარობით ვსარგებლობდი, მაგრამ ახლა სრულიად ახალ გუნდში ვარ და მართლაც ყველაფრის ნულიდან დაწყება მომიწევს. პრიმერა დივიზიონი იმდენად მაღალი დონის ტურნირია, აქაურ გულშემატკივრებს საფრანგეთის პირველობის გულდასმით ყურების სურვილი ნამდვილად არ გაუჩნდებათ. ამის გათვალისწინებით, სულაც არ მიკვირს, რომ ქომაგები ჩემს შესაძლებლობებს ბოლომდე არ იცნობენ. არა უშავს, მოვა დრო და კუპეს ესპანეთიც კარგად გაიცნობს. მიხარია, რომ სრულიად ახალ გარემოში მოვხვდი, თითქოს ხელახლა დავიბადე. დარწმუნებული ვარ, შესაძლებლობების გამომჟღავნება არ გამიჭირდება.

**- "ლიონიდან" გუნდში არსებული არასახარბიელო სიტუაციის გამო წამოხვედით?**

- არა, "ლიონის" დატოვებას ჯერ კიდევ გასული სეზონის დაწყებამდე ვგეგმავდი. მინდოდა, კლუბი გამომეცვალა და ახალ თავგადასავლებში გადავშვებულიყავი, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ განხორციელდა. სიმართლე გითხრათ, ბოლო სეზონში წარმოქმნილმა პრობლემებმა "ლიონიდან" წასვლის სურვილი გამიორმაგა. მართალია, საფრანგეთის ჩემპიონატში გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ჩემმა ყოფილმა კლუბმა საკუთარი სახე დაკარგა. მიუხედავად ყველაფრისა, "ლიონმა" არაჩვეულებრივი მოგონებები შემომინახა. არაერთი დაუვიწყარი მატჩი ჩავატარეთ, მე და ჩემი მეგობრები უზომოდ ბედნიერად ვგრძნობდით თავს. მიხარია, რომ საფრანგეთიდან სკანდალის გარეშე წამოვედი. "ატლეტიკოში" თამაშზე უარს ვერ ვიტყოდი. ჩემს ახალ გუნდს მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდად მივიჩნევ.

**- თუ არ ვცდები, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და კატარიდან საკმაოდ საინტერესო წინადადებები გქონდათ. მაინცდამაინც "ატლეტიკო" რატომ აირჩიეთ?**

- თავდაპირველად ანგლოსაქსურ ქვეყანაში წასვლას ვფიქრობდი. მინდოდა, ჩემს შვილებს ინგლისური კარგად ესწავლათ, მაგრამ "ატლეტიკოს" ხელმძღვანელებმა იმდენად კარგი პირობები შემომთავაზეს, უარი ვერ ვუთხარი. თანაც, ისინი ძალიან კულტურულად და თავაზიანად მესაუბრებოდნენ. არაჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობით მოვიხიბლე და ჩემი შვილების ინგლისურის შესწავლა მომავლისთვის გადავდე. სხვათა შორის, "როხიბლანკოსთან" მოლაპარაკების პირველ რაუნდს ჩემი ცოლიც ესწრებოდა. მეუღლე, რა თქმა უნდა, მიზნობრივად წავიყვანე. მაინტერესებდა, შემოთავაზებასა და მადრიდში ცხოვრების პერსპექტივაზე რას ფიქრობდა. უნდა გითხრათ, რომ ჩემი მეუღლე მოხიბლული დარჩა. ამის შემდეგ ბევრი არ მიფიქრია და კონტრაქტს ხელი მოვაწერე.

**- "ატლეტიკომ" თქვენი მოლოდინი გაამართლა?**

- რა თქმა უნდა. ჩემი თანაგუნდელები ძალიან თავაზიანი ბიჭები არიან. "ატლეტიკოში" ისეთი მეგობრული ატმოსფეროა, ძალიან ბევრ ოჯახს შეშურდება. გულწრფელად გეტყვით, რომ არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს. ახლა ყველაფერი შედეგებსა და "ატლეტიკოს" კეთილდღეობაზეა დამოკიდებული. თუ კარგად ვითამაშებ, ბევრად უფრო ბედნიერად ვიგრძნობ თავს.

**- "როხიბლანკოში" ფრანკოფონი სინამა დაგხვდათ. ერთად ახალ გუნდს უფრო კარგად შეეგუებით?**

- დიახ, რა თქმა უნდა. ესპანური არ ვიცი და სინამა რომ არ მეხმარებოდეს, ვერაფერს გავიგებდი. მის გარეშე ვარჯიშებზე დავაგვიანებდი, რადგან მთავარი მწვრთნელი მომდევნო ვარჯიშის დროს ესპანურად აცხადებს ხოლმე. სხვათა შორის, "ატლეტიკოს" ყველა ფეხბურთელი მეხმარება, რომ უფრო კომფორტულად ვიგრძნო თავი. მამშვიდებენ და მამხნევებენ. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მე და ლეო ფრანკო კონკურენტები ვართ, მაგრამ ჩემმა არგენტინელმა კოლეგამ საკუთარი ძმასავით თბილად მიმიღო. მისი ადამიანობით გაოგნებული დავრჩი. გული დამწყდა, რომ ბავშვობიდან არ ვმეგობრობთ. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა კარგ ადამიანს გაიცნობ.

**- დარწმუნებული ხართ, რომ ლეო ფრანკოს და თქვენ ჯანსაღი კონკურენცია გექნებათ?**

- აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ ბოლომდე დავიხარჯო და "ატლეტიკოს" მაქსიმალურად დავეხმარო. ჩვენ შორის საუკეთესოს მწვრთნელი აარჩევს. რაც არ უნდა მოხდეს, ლეო ფრანკოს პრობლემებს არ შევუქმნი. პირიქით, ეჭვი არ მეპარება, რომ ერთმანეთს დავეხმარებით.

**- "ლიონთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში სისტემატურად გადიოდით, მაგრამ ტიტულს ერთხელაც ვერ დაეუფლეთ. როგორ ფიქრობთ, "ატლეტიკოსთან" ერთად ამ სიმაღლის დაპყრობა უფრო იოლი იქნება?**

- სიმართლე გითხრათ, ჩემი მთავარი ამოცანა ესპანური ფეხბურთის კარგად გაცნობა და პრიმერა დივიზიონთან შეგუებაა. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე წინასწარ საუბარი არ მსურს. ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა გადავლახოთ. "შალკე" ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეა. ჩვენი ძალისხმევა სწორედ ამ გუნდის დამარცხებისკენ უნდა იყოს მიმართული. დანარჩენს კი დრო გამოაჩენს.

**- ჩემპიონთა ლიგაზე საუბარი ცხრა წლის წინანდელი ამბის გახსენებით დავიწყოთ. თუ გახსოვთ, მაშინ რივალდოს დაუჯერებელი დარტყმა აუღეთ.**

- როგორ არ მახსოვს, ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ეპიზოდი იყო. ეს სიგიჟე გახლდათ და სხვა არაფერი. მცველის შეცდომის გამო, ბურთი ძელს მოხვდა, რივალდომ დამატებაზე დაარტყა, ერთი შეხედვით, შანსი არ მქონდა, მაგრამ მაინც მოვიგერიე. ეს ყველაფერი ულამაზეს "კამპ ნოუზე" მოხდა. იმ ეპიზოდით დღემდე ვამაყობ. იმედია, პრიმერა დივიზიონშიც შევძლებ მკვდარი ბურთების მოგერიებას.

**- მადრიდი როგორ მოგეწონათ?**

- სიცოცხლით სავსე ულამაზესი ქალაქია. დილით, როგორც კი გაიღვიძებ ლურჯ ცას დაინახავ. ამაზე დიდი შთაბეჭდილება რა უნდა იყოს? ძალიან მიყვარს კორიდა, მადრიდში კორიდის უდიდესი მოედანია და რა თქმა უნდა, იქ მისვლის შანსს ხელიდან არ გავუშვებ. მადრიდში მუსიკალურ კომედიებზე სიარულის შესაძლებლობაც ხშირად მექნება. ესპანეთის დედაქალაქი პატარა ბავშვებსაც უამრავ შესაძლებლობას აძლევს. დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილები აქ ბედნიერად იცხოვრებენ. მოკლედ, მადრიდის ბოლომდე შესაცნობად ორი წელი მაქვს.

**- ცნობილია, რომ რაგბის დიდი გულშემატკივარი ხართ. გასულ წელს შაბალს მაისურაც კი გაუცვალეთ...**

- შაბალთან მაშინდელი შეხვედრა არასოდეს დამავიწყდება. ძალიან ბედნიერი ვიყავი. რაგბი მართლაც უზომოდ მიყვარს. იმედი მქონდა, რომ გასულ მუნდიალზე საფრანგეთი ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ ფრანგებმა დიდი იმედგაცრუება ვიგემეთ. არადა, ახალ ზელანდიას მოვუგეთ. ეს ნამდვილი სასწაული იყო. როცა ტელევიზორში ფეხბურთსა და რაგბის აჩვენებენ, მე რაგბის ვუყურებ.

**- ბავშვობაში მორაგბეობაზე ოცნებობდით?**

- არა, თუმცა მეკარე ნაწილობრივ მორაგბის ფუნქციასაც ასრულებს. მე ხაზს ვიცავ და ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ბურთმა ეს ხაზი არ გადაკვეთოს.

**- საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ თქვა, რომ თქვენ მისი საყვარელი ფეხბურთელი ხართ...**

- სარკოზის სპორტი ძალიან უყვარს, განსაკუთრებით ფეხბურთი. საპრეზიდენტო კამპანიისას ლიონში ჩამოვიდა და ყველას დასანახად პატივისცემის ნიშნად ხელი ჩამოვართვი. მუსიე ნიკოლამ ძალიან სასიამოვნო რამ მითხრა, კერძოდ ის, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის შვილი ჩემი ფანია...

**ილია ნიკოლაიშვილი**





დევიდ ბენტლი და ხუანდე რამოსი

ტოტენჰემი

# რამოსს ვილია გაახსენდა

## ბენტლის დებიუტი და ბენტის 10 გოლი, მამლების სატრანსფერო ხარჯი 100 მილიონს გასცდება

"ტოტენჰემმა" სეზონის პირველი ტიტული მოიპოვა. მან როტერდამის ტურნირი მოიგო. გადამწყვეტ მატჩში ლონდონელებმა დორტმუნდის "ბორუსია" დაამარცხეს, 3:0. **დარენ ბენტი** საუკეთესო მოთამაშე გახდა. ის გამორჩეული ფიგურაა. ბენტმა წინასასეზონო მატჩებში უკვე 10 გოლს მოუყარა თავი.

შეგახსენებთ, ეს ბიჭი ერთი წლის წინ, "ჩარლტონიდან" გადაიყვანეს. "ტოტენჰემმა" თანაქალაქელებს უპრეცედენტოდ დიდი თანხა, 16.5 მილიონი გირვანქა გადაუხადა. ბენტს მთელი წლის განმავლობაში კაპიკის საქმე არ გაუკეთებია. ის მეოთხე თავდამსხმელი იყო. დარენზე წინ **რობი კინს, დიმიტარ ბერბატოვსა** და **ჯერმეინ დეფოს** აყენებდნენ. დეფო "პორტსმუთში" გაემგზავრა, კინი - "ლივერპულში". "ჩარლტონის" ყოფილ ვარსკვლავს თავის გამოჩენის საშუალება მიეცა. მან ეს შანსი საუცხოოდ გამოიყენა. თუ ასე გააგრძელებს, ბენტი "ტოტენჰემის" ძირითადში უპრობლემოდ მოხვდება.

დარენმა ანგარიში მე-10 წუთზე გახსნა. ის მეურვეს ოსტატურად დაუსხლტა და დორტმუნდელი მეკარე **მარკ ციგლერი** უშანსოდ დატოვა. რვა წუთის შემდეგ, ბენტი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და კარის გასწვრივ, **ჯოვანი დოს სანტოსს** გაუგორა ბურთი. გერმანელმა მცველებმა იყოჩაღეს და პასი ჩაჭრეს. "ტოტენჰემის" შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა **დევიდ ბენტლიმ**. მას ერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა. ბენტლის საჯარიმო დარტყმა ციგლერმა კუთხურზე გადააგდო. შესვენებისას, **ხუანდე რამოსმა** ბენტი ბერბატოვით შეცვალა. ბულგარელმა თავით ვერაფრით გამოიჩინა. დანარჩენი გოლები "ტოტენჰემის" ახალწვეულებმა - დოს სანტოსმა და **ჯეიმი ოჰარამ** გაიტანეს.

"მამლების" ხელმძღვანელობას შემადგენლობის გაძლიერება არ დაუსრულებია. "დეილი მეილის" მტკიცებით, "ტოტენჰემმა" ვალენსიელ თავდამსხმელ **დავიდ ვილიას** დაადგა თვალი. ესპანელი ვარსკვლავი 30 მილიონი გირვანქა ღირს. თუ ბერბატოვი "მანჩესტერ იუნაიტედში" გაიყიდება, რამოსს სურს, რომ მის ადგილზე ვილიამ ითამაშოს. "ვალენსიას" ფული სჭირდება. თუ ლონდონელები სარფიან პირობებს შესთავაზებენ, ფეხბურთელი მათ დარჩება.

ვილიას ტრანსფერის შემთხვევაში, "მამლების" დანახარჯი 100 მილიონ გირვანქას გადააჭარბებს. შეგახსენებთ, სენიორ რამოსმა **ლუკა მოდრიჩი**, დევიდ ბენტლი, **ეურელიო გომესი** და ჯოვანი დოს სანტოსი შეიძინა. ვილიას გარდა, ის **ანდრეი არშავინის** შეძენასაც აპირებს. ამ უკანასკნელმა რობი კინი უნდა შეცვალოს. "ტოტენჰემი" ფეხბურთელებს ყიდის კიდეც. ამ გზით, "მამლებმა" 37 მილიონ გირვანქას მოუყარეს თავი. ბერბატოვის ტრანსფერის შემთხვევაში, სულ ცოტა 25 მილიონს მიიღებენ.

თავდამსხმის გარდა, რამოსს დაცვის ცენტრის გაძლიერებაც სურს. გუნდის კაპიტან **ლედლი კინგს** ქრონიკული ტრავმები აწუხებს. **იუნეს კაბული** სამსახურის შეცვლას აპირებს. "მამლებს" ორი ცენტრალური მცველიღა რჩებათ - **ჯონათან ვუდგეიტი** და **მაიკლ დოსონი**. გუნდს უდროოდ დაუშავდა მარჯვენა მცველი **ალან ჰატონი**. ის აგვისტოს ბოლომდე ვერ ითამაშებს. აქვე შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგის პირველ ტურში, 15 აგვისტოს, "ტოტენჰემი" "მიდლსბროს" შეხვდება.

ვესტ ჰემი

# დაიერი ნოემბერში

"ვესტ ჰემს" საკადრო პრობლემები აქვს. წამყვანი ნახევარმცველი **კირონ დაიერი** ნოემბრამდე ვერ ითამაშებს. დაიერი გასული სეზონის დასაწყისში დაშავდა. "ბრისტოლთან" ლიგის თასის მატჩისას, მან ფეხი მოიტეხა. ექიმები ვარაუდობდნენ, რომ კირონი აგვისტოს შუა რიცხვებისათვის განაახლებდა ვარჯიშს. პროგნოზი არ გამართლდა. დაიერის შვებულება კიდევ სამ თვეს გასტანს. ამ გარემოებამ შესაძლოა, **ფრედი ლიუნგბერგის** მომავალზე იმოქმედოს. შვედი ვეტერანი "ვესტ ჰემიდან" აბარგებას აპირებდა. მისი აგენტები ფეხბურთელისათვის ახალ სამსახურს ეძებდნენ. თუ დაიერი ვერ ითამაშებს, "ვესტ ჰემი" ლიუნგბერგის შენარჩუნებას შეეცდება.

ამასობაში, "ჩაქუჩებმა" დონეცკის "შახტიორისა" და ჩეხეთის ნაკრების მეკარე **იან ლაშტუვკა** გადაიბირეს. მან ლონდონელებთან ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. ლაშტუვკას ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად **რობერტ გრინთან** მოუწევს ბრძოლა. "ვესტ ჰემმა" შარშანდელი მეორე ნომერი **რიჩარდ რაიტი** "იფსვიჩს" გადაულოცა.



კირონ დაიერი

ლაშტუვკა 26 წლისაა. მან 2006-07 წლების სეზონი იჯარით "ფულჰემში" გაატარა. 2007 წელს ლონდონურ კლუბში **ლორი სანჩესი** დაინიშნა. სანჩესმა მეკარეს ხანგრძლივი კონტრაქტი არ გაუფორმა. იანმა დონეცკს მიაშურა, თუმცა ორიოდ თვეში, ისევ იჯარით, ბუნდესლიგის კლუბ "ბოხუმს" მიაშურა. "ვესტ ჰემში" ტრანსფერის ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

რეალი. საპნის სერიის დასასრული

# ვან დერ ვაარტი სამეფო კლუბის საკუთრებაა

## დღეს ხუთწლიან კონტრაქტს მოეწერება ხელი

მადრიდის "რეალისა" და "ჰამბურგის" მესვეურებმა **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ტრანსფერთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს. ესპანური პრესის ინფორმაციით გერმანულმა კლუბმა ჰოლანდიელი ნახევარმცველი 15 მილიონ ევროდ გაყიდა. "დიარიო ასის" მტკიცებით რაფაელი ხვალ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და საღამოს "სანტიაგო ბერნაბეუზე" მისსავე პრეზენტაციაზე მივა. ვან დერ ვაარტის სამეფო კლუბში თამაშს მხოლოდ ავადმყოფობა თუ შეუშლის ხელს. ესპანელები დარწმუნებული არიან, რომ ჰოლანდიელს არაფერი აწუხებს, მაგრამ წესი წესია, ყოველმა ახალწვეულმა სრულფასოვანი სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს. იმ შემთხვევაში, თუ მადრიდელი ექიმები საგანგაშოს ვერაფერს შეამჩნევენ, მხარეები კონტრაქტს ხელს მოაწერენ, ხოლო თუ რაფაელს რაიმე სახის ქრონიკული ტრავმა აწუხებს, მას უმალ "ჰამბურგს" დაუბრუნებენ. ეს ისე, ინფორმაციისთვის, თორემ ვან დერ ვაარტს სერიოზული ტრავმა ნამდვილად არ აქვს...

ჰოლანდიელი ნახევარმცველი 25 წლისაა და ძალიან დიდი ხანია, სამეფო კლუბში თამაშზე ოცნებობს. "ბერნაბეუზე" გადაბარგების ცხოველ სურვილზე ისიც მეტყველებს, რომ რაფაელმა გასული კვირის მიწურულს "ემირატების თასზე" "რეალთან" თამაში არ ისურვა. ექსპერტები ამის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ტრანსფერს ველარაფერი შეუშლიდა ხელს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მხოლოდ ის ითქვა, რომ ესპანურ გრანდს სასურველი ფეხბურთელი 15 მილიონი ევრო დაუჯდა. გარიგების სხვა ფინანსურ დეტალებს არ ახმაურებენ, მაგრამ ამის გამო ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ. თუ ვინმეს აინტერესებს ვან დერ ვაარტი წლიური გასამრჯელოს სახით რამდენს მიიღებს, ცნობისმოყვარეობას ადრე თუ გვიან აუცილებლად დაიკმაყოფილებს. რაფაელი "რეალის" რიგით მეორე შენაძენია. მოგეხსენებათ, წლევანდელი სატრანსფერო ციებ-ცხელება **ესეკიელ გარაის** შეძენით დაიწყო. ნიჭიერი არგენტინელი მცველის სანაცვლოდ სამეფო კლუბმა "რასინგს" 25 მილიონი ევრო გადაუხადა. სასაცილო და კურიოზულია, მაგრამ ამბობენ, რომ გარაი იჯარის წესით ისევ სანტანდერულ გუნდში გააგრძელებს თამაშს.



ვან დერ ვაარტს დავუბრუნდებით და გეტყვით, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველი 1983 წლის 11 თებერვალს დაიბადა. "აიაქსში" დებიუტი მას 19 წლის ასაკში ჰქონდა. "ამსტერდამ არენაზე" რაფაელმა ხუთი წელი გაატარა. 2005 წელს კი ბუნდესლიგაში გადაბარგდა და "ჰამბურგის" მაისურა მოირგო. გერმანულ კლუბში მან 74 შეხვედრა ჩაატარა და 29 გოლი შეაგდო.

უნდა აღინიშნოს, რომ რაფაელს "რეალის" გარდა კიდევ არაერთი კლუბი იწვევდა, მაგრამ მან არჩევანი სწორედ მადრიდულ გრანდზე გააკეთა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტრანსფერით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩება. რაფაელს პრესტიჟული ჯილდოების მოპოვების შესაძლებლობა მიეცემა, სამეფო კლუბი კი ნახევარდაცვაში საგრძნობლად გაძლიერდება. ესპანელი მიმომხილველები სრული სერიოზულობით აცხადებენ, ბერნდ შუსტერს სწორედ ასეთი ტექნიკური და სწრაფი ნახევარმცველი სჭირდებოდაო.

წუხელ, გვიან ღამით, "დიარიო ასის" ვებგვერდზე ვან დერ ვაარტის განცხადება გაჩნდა. აი, რა თქვა "რეალის" ახალწვეულმა: *"თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს. "ჰამბურგი" თანახმაა, გამყიდოს. "რეალი" თავდაპირველად 10 მილიონს იხდიდა, მაგრამ დღეს თანხა 15 მილიონამდე გაზარდა და პრობლემაც მოგვარდა. არაერთხელ მითქვამს, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში მინდა. ოცნების ასრულებამდე არაფერი მიკლია. ერთი სული მაქვს, თეთრ მაისურს როდის ჩავიცვამ და მინდორზე გავალ. გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ვან დერ ვაარტი "რეალის" ისტორიაში კვალს დატოვებს."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარლო ანჩელოტი მოსკოვური პრესკონფერენციის დროს

მილანი

# გალიანი: შეხვედრა ანჩელოტისთან, სასწრაფოდ...

"მილანის" ამაზრზენმა მოსკოვურმა გამოსვლამ კლუბის მესვეურები მეტად ცუდ ხასიათზე დააყენა. შეგახსენებთ, "როსონერიმ" ჯერ 1:0 წააგო "სევილიასთან", მეორე დღეს კი "ჩელსისგან" 5 უპასუხო გოლი გაუშვა. თანაც, საქმე იქამდე მივიდა, რომ ლონდონელებთან მატჩში **კარლო ანჩელოტიმ** ფორვარდებად **მასიმო ამბროზინი** და **ანდრეა პირლო** დააყენა, ხოლო **ჯანლუკა ძამბროტა** და **მარეკ იანკულოვსკი** ნახევარდაცვაში გაამწესა. იტალიაში დაბრუნებისთანავე **ადრიანო გალიანი** სასწრაფოდ მწვრთნელს შეხვდა და უსახური თამაშის გამო ახსნა-განმარტებები მოსთხოვა.

მოთხოვნა მოთხოვნად და, ანჩელოტი ნამდვილად არ არის ერთადერთი დამნაშავე. დავანებოთ თავი იმას, რომ ახალი სეზონისთვის მზადება დიდი ხნის დაწყებული არაა და ელემენტარულად, "მილანი" ვერ იქნება სასურველ ფორმაში. მაგრამ საქმე ისაა, რომ "ლოკომოტივის" გარდა, ამაზე "ჩელსისა" და "სევილიასაც" შეუძლიათ აპელირება. ეგებ, კარლეტოს ყველაზე მეტი საპრეტენზიო სწორედ გალიანისა და ზოგადად, კლუბის ხელმძღვანელობის მიმართ ჰქონდეს. მწვრთნელს არ უნდოდა, რომ **რონალდინიო** და **ალეშანდრე პატო** ოლიმპიადაზე გაეშვა, მაგრამ ეს კლუბის ნება იყო. შესაბამისად, ანჩელოტი ფიქრობს (და მართალიცაა), რომ ამაზე ის არ უნდა იყოს პასუხისმგებელი.

გუშინ, "კორიერე დელო სპორტმა" ისიც კი დაწერა, შესაძლოა, გალიანისთან შეხვედრის დროს კარლეტოს გადაყენებაც გადაწყდესო, მაგრამ ეს უფრო უნიჭო სპეკულაციაა, ვიდრე რეალობა. თუმცა ვიცე-პრეზიდენტის სიტყვები, რომ "მილანის" მოსკოვური ვოიაჟი აბსურდის შოუ იყო, მწვრთნელისთვის დაფიქრებად მაინც უნდა ღირდეს, მით უმეტეს, შარშანდელი უსახური კამპანიის შემდეგ...

გარდა ფორვარდებისა, "როსონერის" მეკარის პრობლემაც აქვს. რონალდინიო და პატო დაბრუნდებიან, **ფილიპო ინძაგიც** როგორმე მორჩება ტრავმას, მაგრამ ეს ვერ გაზრდის **ჟელკო კალაჩის, კრისტიან აბიატისა** და **ნელსონ დიდას** საიმედოობას. ჰოდა, "მილანი" უკვე ზრუნავს ამაზე და გუშინდელი ინფორმაციით, ბრაზილიური "სანტოსიდან" ახალგაზრდა ტალანტის **ფელიპე გარსიას** ტრანსფერსაც გეგმავს. მაგრამ საქმე ისაა, რომ გარსია მხოლოდ 20 წლისაა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ევროპულ ფეხბურთში გამოცდილების არმქონე გოლკიპერს პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში გააყოფინონ თავი. თუ მართლაც ტალანტზეა საუბარი, მაშინ "როსონერის" გათვლა უფრო მომავალზე უნდა ჰქონდეს. მაგრამ დღეს?

## ანჩელოტი პრობლემას მარტივად ხსნის: ასე ყველას მოსდის

**მოსკოვური ტურნირის შემდეგ, კარლო ანჩელოტიმ პრესკონფერენცია გამართა. თავადაც დარწმუნდებით, "მილანის" მწვრთნელს არგუმენტირებული პასუხი არ აქვს...**

**- მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგური მატჩი იყო, 5:0 საგანგაშო მარცხია. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

- რა თქმა უნდა, საწყენია, რაც მოხდა. ჩვენ ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც ვგეგმავდით. სამწუხაროდ, "მილანმა" ვერ აჩვენა თავისი თამაში... მართალია, ეს ხდება სეზონისთვის მზადების რალაც ეტაპზე, მაგრამ ზოგადად გეთანხმებით, შეფასებები მკაცრი უნდა იყოს. მიზეზებში გარკვევაა საჭირო... თუმცა რა მიზეზიც უნდა იყოს, "როსონერის" სახელს ასეთი სასტიკი მარცხი არ ეპატიება.

**- კალაჩმა ხუთი გოლი გაუშვა. რა დაემართა ესოდენ გამოცდილ მეკარეს?**

- იცით, შეიძლება ასეთი რამ მოხდეს. არც ერთი მეკარე, რა დონისაც უნდა იყოს, მსგავსი ფიასკოსგან დაზღვეული არ არის. სწორედ ეს დაემართა კალაჩს. "ჩელსისთან" მთელი გუნდი არეული იყო და მარტო მეკარეზე ნუ გადავტეხთ ჯოხს.

**- რა მდგომარეობაში არიან ტრავმირებული მოთამაშეები? მაგალითად, მალდინი და კაკა...**

- იმედი მაქვს, მალე დაიბრუნებენ ფორმას, თან არა მარტო ისინი, არამედ სხვებიც, რომელთაც ტრავმები თუ სხვა პრობლემები აქვთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ ახლა ის დრო არ არის, როცა გუნდის რეალურ ძალაზე უნდა ვმსჯელობდეთ. მთავარია, ჩემპიონატის სტარტს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ და მჯერა, ასეც იქნება.

**- სატრანსფერო პერიოდის დასრულებამდე ჯერ კიდევ არის დრო. აპირებს "მილანი" ფორვარდის ყიდვას?**

- არა, არა. თავდამსხმელების მხრივ, პრობლემა ნამდვილად არ გვაქვს. სხვა საქმეა, რომ ზოგი ტრავმირებულია, ზოგიც ოლიმპიადაზე ითამაშებს... მიუხედავად ამისა, ახალი მოთამაშის ყიდვა, თუნდაც ფორვარდის, "მილანის" უახლოეს გეგმებში არ შედის.

**- რა იქნება "მილანისთვის" მთავარი ახალ სეზონში: სკუდეტო თუ უეფას თასის მოგება?**

- მე მგონი, თავადაც უნდა ხვდებოდეთ პასუხს. რა თქმა უნდა, ეროვნული ჩემპიონატის მოგება. ეს არის მიზანი, რომელიც "მილანს" ყოველთვის ჰქონდა და ექნება.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ვისგან ელოდებით ყველაზე მწვავე კონკურენციას?**

- როგორც ყოველთვის: "ინტერი", "რომა", "იუვენტუსი". რიგითობას ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

**- თქვენ თქვით, რომ ფორვარდების მხრივ, გუნდს პრობლემა არ აქვს. მაგრამ პალოსკიმ "სევილიასა" და "ჩელსისთან" ერთობ არადამაჯერებლად ითამაშა...**

- ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის მხოლოდ 19 წლისაა. პალოსკი ახლახან დაბრუნდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიდან და არ არის გასაკვირი, რომ გადაღლილი იყო. ჯერჯერობით, მას უჭირს მთელი ძალით თამაში. სტაბილურობა ასაკთან ერთად მოდის.

**გიორგი ბელაშვილი**

ვარსკვლავი

# დუბლინელი

**რაფაელ ბენიტესმა შესანიშნავი ფეხბურთელი შეიძინა. ამიერიდან ფერნანდო ტორესის გვერდით ირლანდიელი რობი კინი ითამაშებს. სხვათა შორის, რობი ირლანდიელთა იმ ბრწყინვალე თაობას ეკუთვნის, რომელმაც 1998 წელს ჯერ 17-წლამდელების ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ, 19-წლამდელების პირველობა. შორეულ 1999 წელს მისი სახელი უკვე მთელ ბრიტანეთში ქუხდა. ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, ვულვერჰემპტონელ ვუნდერკინდზე საუბრობდა. სპეციალისტები მას უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მაშინ "ასტონ ვილას" ჯონ გრეგორი წვრთნიდა. ის ყველაზე მეტად იყო აღფრთოვანებული ირლანდიელის ტალანტით. გრეგორის თვით სერ ალექს ფერგიუსონი შეეპასუხა და თქვა, ამ ბიჭში ნახევარ მილიონ ფუნტსაც არ გადავიხდიდიო... დრომ და კინის კარიერამ დაამტკიცა, რომ ხანდახან ფერგიც ცდება. მას მერე ცხრა წელიწადი გავიდა და ფეხბურთელმა უკვე ხუთი კლუბის გამოცვლა მოასწრო. ყოველი მომდევნო კლუბი რობის ტრანსფერში წინაზე მეტს იხდიდა. დღემდე ამ ფეხბურთელში 58 მილიონი გირვანქა დაიხარჯა, უფრო მეტი, ვიდრე თავის დროზე "რეალმა" ზინედინ ზიდანში გადაიხადა.**

ამ ადამიანის ცხოვრებაში ფეხბურთი დიდი დოზითაა. პატარა **რობი კინი** "სელტიკსა" და "ლივერპულს" ქომაგობდა, თამაშით კი პირველად "კრამლინ იუნაიტედში" ითამაშა და რა თქმა უნდა, უმალ გოლი შეაგდო. ბავშვობაში მისი გოლების რაოდენობაზე ლეგენდები დადიოდა. რობიმ კარიერული წინსვლისთვის სასიცოცხლო ნაბიჯი ადრეულ ასაკში გადადგა. 15 წლისა ის "ვულვერჰემპტონში" ჩაირიცხა. სხვა გზა არც ჰქონდა, რადგან ირლანდიის ჩემპიონატში ვერ გაიზრდებოდა. მას "ლივერპულიდანაც" ჰქონდა შეთავაზება, მაგრამ ამბიციურმა ირლანდიელმა (და რომელი ირლანდიელი არაა ამბიციური?) "ვულვერჰემპტონი" აირჩია - ძირითად შემადგენლობაში უფრო ხშირად რომ ეთამაშა. გათვლა მართებული აღმოჩნდა. გუნდის შოტლანდიელმა დამრიგებელმა **მარკ მაკგიმ** 17 წლის ყმაწვილს ნდობა გამოუცხადა და "ნორვიჩ სიტისთან" ძირითადში დააყენა – დებიუტანტმა ორჯერ გაიტანა.

კინს მაკგის ნაცვლად გუნდში მოსული **კოლინ ლიც** უსიტყვოდ ენდობოდა. 18 წლის რობიმ გუნდის უმთავრესი ბომბარდირის ტიტული მოიპოვა. 39 თამაშში 16 გატანილი გოლი მის ასაკში ფანტასტიკური შედეგი იყო. და სარფიანმა წინადადებებმაც არ დააყოვნა. "ვულვერჰემპტონს" შეძლებული კლუბები 1999 წლის ადრიან გაზაფხულზე, სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე კარგა ხნით ადრე დაუკავშირდნენ. ირლანდიელით აღფრთოვანებულმა **ჯონ გრეგორიმ** "მგლებს" 5.5 მილიონი გირვანქა შესთავაზა, თუმცა ვულვერჰემპტონელები ამ წინადადებით ვერ მოიხიბლნენ და 6 მილიონი მოითხოვეს. ამ დროს ბრძოლაში ჩაება "მიდლსბროც". სანამ ბირმინგემელები და რივერსაიდელები საჭირო თანხას მონახავდნენ, "ქოვენტრიმ" ფული გადაიხადა და მეტოქეებს ფეხბურთელი ცხვირწინ ააცალა.

რობი კინმა პირველსავე ქოვენტრულ სეზონში გაიბრწყინა. **გორდონ სტრაჩანის** თავკაცობითა და თანაგუნდელთა მხარდაჭერით, ირლანდიელმა პრემიერლიგაში 12 გოლი შეაგდო. დღეს ძნელად წარმოსადგენია, რომ პრემიერლიგის ახალგაზრდა ვარსკვლავმა ინგლისი მიატოვოს, მაგრამ 2000 წლის ზაფხულში იტალიის სერია A ჯერ კიდევ უძლიერეს ლიგად ითვლებოდა. "ინტერმა" "ქოვენტრის" ირლანდიელის სანაცვლოდ 13 მილიონი დოლარი შესთავაზა და რობი იტალიაში გაემგზავრა. 20 წლის ყმაწვილი **რონალდოსა** და **ვიერის** კონკურენტი გახდა. არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ კინი ამ კამპანიაში სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა. იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას იტალიელებმა ფეხბურთელი იჯარით "ლიდსში" მიავლინეს. იორკშირშივე გაატარა კინმა 2001–02 წლების სეზონიც, თუმცა ფეხბურთელმა **დევიდ ოლირის** ჩასაძირად განწირულ გემზე მეტი დროის გატარება აღარ მოისურვა. 2002 წლის გაზაფხულზე, ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, თავდამსხმელმა "ტოტენჰემს" მიაშურა.

2002 წლის ზაფხული რობი კინის ცხოვრებაში, შეიძლებოდა, ყველაზე ბრწყინვალე ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, მან ნახა მშვიდი ნავსაყუდელი და რაც მთავარია, მსოფლიო ჩემპიონატი უნდა ეთამაშა. შესარჩევ ციკლში ირლანდია ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. შეგახსენებთ, მათ ჯგუფში ჰოლანდია ჩატოვეს. შეიძლებოდა, მაგრამ მოხდა ძალიან ცუდი ფაქტი - ირლანდიელთა თავკაცი **მიკ მაკარტი** გუნდის კაპიტან **როი კინს** ეჩხუბა. მანჩესტერელმა ვარსკვლავმა მწვრთნელს ვარჯიშის მეთოდები დაუწუნა, რაზეც ადეკვატური პასუხი მიიღო. ფეთქებადმა კაპიტანმა გუნდის თავკაცს ისეთი რამ აკადრა, რის შემდეგაც ადამიანებს შორის ურთიერთობა ძნელად აღდგება ხოლმე. გუნდის ლიდერის ასეთმა საქციელმა ნაკრებზე უარყოფითად იმოქმედა, მაგრამ ირლანდიელებმა ჯგუფური ეტაპი მაინც ძლიერად ჩაატარეს და პლეი ოფში გავიდნენ. მათ აფრიკის ჩემპიონ კამერუნს აჯობეს. თუმცა იღბალმა და ნერვებმა ირლანდიელებს მერვედფინალში უმტყუნა. ესპანეთთან თამაშის ბედი პენალტების სერიაში გადაწყდა. **მეტ ჰოლანდმა, დევიდ კონოლიმ** და **კევინ კილბეინმა** 11-მეტრიანები ვერ გამოიყენეს.

ლონდონში, ახალ გუნდში მისული თავდამსხმელისთვის წითელი ხალიჩა არავის დაუფენია. "მამლების" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ადვილი არ აღმოჩნდა, მაგრამ ჯიუტმა ირლანდიელმა საწადელს მაინც მიაღწია. მასთან კონკურენციის გამო, "ტოტენჰემიდან" წავიდნენ **ჯერმეინ დეფო, აჰმედ ჰოსამ მიდო** და **ფრედერიკ კანუტე**. 2006 წელს "ტოტენჰემმა" ირლანდიელს ბრწყინვალე მეწყვილე უპოვა - ბულგარელი **დიმიტარ ბერბატოვი**. ერთი ასაკის ფორვარდებმა ერთმანეთს მშვენივრად გაუგეს მოედანზეც და მის მიღმაც. წყვილმა ორ წელიწადში 91 გოლი შეაგდო. შეიძლება ითქვას, რომ მათი დუეტი ყველაზე მრისხანე გახლდათ პრემიერლიგაში. მერსისაიდელთა ფანებმა იმედი გამოთქვეს, რომ ასეთ ურთიერთგაგებას კინი **ფერნანდო ტორესთანაც** მიაღწევს. "ენფილდზე" მისი იმედი აქვთ. სხვაგვარად არც ანდობდნენ შვიდნომრიან მაისურს, რომელიც "ლივერპულის" ქარიზმატულ ლიდერებს - **კევინ კიგანს, კენი დალგლიშსა** თუ **პიტერ ბერდსლის** ეცვათ. ბოლო წლებში ამ ნომერმა დაკარგა ბრწყინვალება, რადგან მისი მფლობელები ერთთავად ავადმყოფობდნენ. ასე იყო **ვლადიმირ შმიცერისა** და **ჰარი კიუელის** შემთხვევაში.

რობი კინზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობენ. ის ძალიან თავმდაბალია, არასდროს ცდილობს ვარსკვლავური სტატუსით სარგებლობას და თქვენ წარმოიდგინეთ, არც პაპარაცებს გამოუჭერიათ ისეთ სიტუაციაში, რის გამოც ბოდიშის მოხდა მოუწევდა. 6 წლის განმავლობაში ის მომხიბლავ ცისფერთვალება ირლანდიელ მოდელ **კლოდინ პალმერს** ხვდებოდა. მათი ურთიერთობა სულ ცოტა ხნის წინათ ქორწინებით დაგვირგვინდა. ის **ედგარ დავიდსის** დიდი მეგობარია, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ ვარჯიშზე მუშტი-კრივი გააჩაღეს. რობი ყოფილი კლუბების წინააღმდეგ გატანილ გოლებს არასდროს ზეიმობს. ყველაზე ცუდი, რაც კი შეიძლება გაუხსენონ, ორჯერ საჯაროდ ატეხილი აყალმაყალია - ერთხელ მაშინ, როცა შეიტყო, რომ "ბირმინგემთან" მატჩისას სკამზე სვამდნენ და მეორედ მაშინ, როცა "მანჩესტერ სიტისთან" ნაადრევად გაიყვანეს მინდვრიდან. ამ ინციდენტების გამო ფეხბურთელმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში.

რაც შეეხება რობი კინის ლივერპულურ პერსპექტივას, **რაფა ბენიტესმა** უამრავი ტრანსფერი ვერ გათვალა, განსაკუთრებით თავდამსხმელებში არ უმართლებდა, თუმცა ირლანდიელის ნაადრევად ჩამოწერა სისულელე იქნებოდა. ის ფორმის პიკშია და იქნებ მისი მოსვლის შემდეგ მაინც შეწყდეს "ენფილდზე" თვრამეტწლიანი უშედეგო საჩემპიონო რბოლა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ -კინი მიზნის მისაღწევად თავს არ დაზოგავს.

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



რობი კინი ლივერპულს ეჩვევა

კალათბურთი. კონტაქტები

# აჭარაბეთი ნაკრების სპონსორია


საქართველოს ნაკრები



ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას

გუშინ კომპანია „აჭარა ბეთის" ოფისში ამ ორგანიზაციის თავკაცმა **კობა შავგულიძემ** და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ლაშა ძიძავამ** ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის საფუძველზეც „აჭარაბეთი" 2008 წელს საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი გახდა. ხელმოწერის ცერემონიალს მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** და გუნდის წევრები - **ვლადიმერ ბოისა, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, დავით უგრეხელიძე** და **გიორგი გამყრელიძეც** ესწრებოდნენ.

- მოხარული ვიქნებით, დღევანდელი ჩვენი ნაბიჯი ქართველ კალათბურთელებს წარმატების მიღწევაში თუ დაეხმარება, - აღნიშნა „აჭარაბეთის" მენეჯერმა **გიორგი ხორავამ**. - საერთოდაც, ქართულ სპორტში ინვესტირებამ გლობალური ხასიათი უნდა მიიღოს, მაშინ გამარჯვებები აუცილებლად მოვა.

ლაშა ძიძავა: - ჩვენ განებივრებული არ ვართ სპონსორების მხარდაჭერით, ამიტომ კალათბურთის ფედერაციისა და ნაკრები გუნდის სახელით კომპანია „აჭარაბეთის" ხელმძღვანელებს მადლობა მინდა გადავუხადო. ეს თანადგომა ევროპის ჩემპიონატის მატჩების წინ ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, თანამშრომლობა წარმატებული იქნება. ყველა პაექრობისას მოედანზე მათი ემბლემით გავალთ.

მინდა გითხრათ, რომ უკვე დავიწყეთ ინტენსიური მზადება სასექტემბრო ბატალიებისთვის. ნაკრების წევრებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს. ოცკაციანი გუნდიდან მთავარმა მწვრთნელმა 13 მოთამაშე შეარჩია. ესენი არიან - ვლადიმერ ბოისა, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, **ანატოლი ბოისა**, დავით უგრეხელიძე, **სერგო ათუაშვილი**, გიორგი ცინცაძე, გიორგი გამყრელიძე, **მიხეილ ბერიშვილი, ზვიად ბაბიაშვილი, ტაირონ ელისი, კოტე ტულუში**, ვიქტორ სანიკიძე, **ბესიკ ლეჟავა**. ამ თაობის ნაკრებისთვის ეს პირველი შემთხვევაა, როცა, ორი კალათბურთელის გარდა, ყველა მოთამაშე ადგილზეა. **გიორგი შერმადინი** ამჟამად ევროპის პირველობაზეა და გუნდს 11 აგვისტოს შემოუერთდება, ხოლო 17 აგვისტოს ნაკრები **ზაზა ფაჩულიათი** გაძლიერდება. საგულისხმოა ისიც, რომ 5 აგვისტოს ბატონი **იგორ კოკოშკოვი** 18-წლამდელთა ნაკრების წევრებს - **ნიკა მეტრეველს, თორნიკე შენგელიას, კოკა ტომარაძესა** და **გიორგი შარაბიძეს** გასინჯავს. ვნახოთ, ვინ მოხვდება ძირითად გუნდში, რომელიც 14 აგვისტოს კიევში გაემგზავრება და ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. შემდეგ ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრება გვექნება სტამბოლში, საიდანაც ჩვენი ბიჭები რიგას ეწვევიან და ფრანგებთან, ჩეხებთან და ლატვიელებთან ერთად საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს. ბოლო ორ შეხვედრას ქართველი კალათბურთელები ავსტრიელებთან გამართავენ და 1 სექტემბერს თბილისში დაბრუნდებიან. 5 სექტემბრიდან ევროპის ჩემპიონატში ჩავებმებით.

იგორ კოკოშკოვი: - ვიცოდი, სად მოვდიოდი და რა მოთხოვნები ჰქონდათ ხალხსა და ფედერაციას. რამდენიმე დღეა, თბილისში ვარ. გავიცანი მოთამაშეები, მივიღე საჭირო ინფორმაციები. შევეცდები, ოპტიმალური შემადგენლობა შევკრა, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოგვივა, რადგან რთული ორთაბრძოლები გველის. შედეგის მისაღწევად გუნდური სულისკვეთება უნდა დავამკვიდროთ.

ვიცი, რომ გულშემატკივრები უმაღლეს დივიზიონში გადასვლას ითხოვენ. მეც ისეთი მწვრთნელი ვარ, რომელიც წაგებაზე არასდროს ფიქრობს. 10 წელიწადი NBA-ში ვიმუშავე. იქაც და ბალკანეთშიც კალათბურთის მწყობრი სისტემაა შექმნილი, რომელიც წარმატების გარანტიას იძლევა. მეც იმ სკოლების გაზრდილი ვარ და ვიცი, რა უნდა ვაკეთო. ჩემი მიზანია, ქართველებს ახალი საკალათბურთო სისტემის აწყობაში დავეხმარო და არა B ჯგუფში ოთხი მატჩის მოგების შემდეგ ქუდი დავიხურო და წავიდე.

შეძლებისდაგვარად ასაკობრივ ნაკრებებსაც მივაქცევთ ყურადღებას, რადგან პარალელურად მომავლის გუნდსაც უნდა ჩავუყაროთ საფუძველი. აქცენტს ყოველი მომავალი მატჩის მოგებაზე გადავიტანთ. სერბეთის ნაკრები სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ მიიყვანა გამარჯვებამდე. თქვენ ბრძანეთ, ქომაგები უმაღლეს დივიზიონში გადასვლას ითხოვენო. ჩემი მიზანიც ეს არის.

ვლადიმერ ბოისა: - ყველანი დავიღალეთ ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფით. 27 წლის ვარ. ღმერთმა ნუ ქნას და ახლაც რომ ვერ გავიდეთ A დივიზიონში, 3 წლის შემდეგ უკვე ოცდაათისა ვიქნები და... ახლა ისეთი გუნდი გვყავს, ნამდვილად ვიმსახურებთ უმაღლეს ეშელონში გადასვლას. ვფიქრობ, ასეც იქნება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კომპანია „აჭარაბეთს" თანადგომისთვის მადლობა გადავუხადო.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**
ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

რაგბი. ლეგიონერები

# საფრანგეთის ქართული ლეგიონი ამოქმედდა

რუსეთის სარაგბო ჩემპიონატის სუპერლიგაში მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართა. კრასნოიარსკულ დერბიში „კრასნი იარსა" და „ენისეის" შორის წლეულს პირველად გამარჯვება იარელებს დარჩათ 29:10.

ამ მატჩის პირველი ნახევარი „კრასნი იარმა" 17:3 მოიგო და ჩვიდმეტივე ქულა ქართველების ანგარიშზეა. **თემურ სოხაძემ** და **გიორგი ელიზბარაშვილმა** მეტოქეს თითო ლელო გაუტანეს, ორივეჯერ გარდასახვა სოხაძემ დაარტყა ზუსტად, რასაც კიდევ ერთი საჯარიმოც დაუმატა.

მეორე ტაიმში „ენისეიმ" საქართველოს ნაკრების შუამარბის **დავით კაჭარავას** ლელოს წყალობით ანგარიში შეამცირა 10:17. მაგრამ იარელებმა კიდევ ორი ლელოს გატანა შეძლეს, რომელთაგან სოხაძემ ერთი გარდასახა. ქართველთაგან, ზემოაღნიშნული მორაგბეების გარდა, შეხვედრაში მონაწილეობდნენ **რატი ურუშაძე** (ენისეი) და **არჩილ კოპალეიშვილი** (კრასნი იარი). **გიორგი სანიკიძე** და **გიორგი ლომსაძე** „კრასნი იარის" განაცხადში არ იყვნენ.

სატურნირო მდგომარეობა: 1.სლავა-13 ქულა, 2. ვვა-12, **3. კრასნი იარი-9, 4. ენისეი-9**, 5. პენზა-4, **6. სმენა-3**

საფრანგეთში მოთამაშე ქართველ მორაგბეთა გუნდები ორ კვირაზე მეტია, რაც მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგნენ. გასულ უქმეებზე კი პირველი საწვრთნელი შეხვედრებიც გამართეს.

**გოდერძი შველიძის, გიორგი მჭედლიშვილისა** და **ბექა შეყლაშვილის „მონტობანმა" ირაკლი გიორგაძის „დაქსს"** უმასპინძლა და 32:18 დაამარცხა. ქართველი მორაგბეებიდან თამაშში მონაწილეობა მხოლოდ მონტობანელმა გოდერძი შველიძემ მიიღო.

კიდევ ერთ შეხვედრაში **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი" არმან ვაკერენის ხსოვნის ტურნირზე შოტლანდიურ „გლაზგოსთან" დამარცხდა 21:26. კასტრელების რიგებში „გლობუსამ" მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა.

ქართველ მორაგბეთა გუნდების საწვრთნელი მატჩების განრიგი:

| |
|---|
| **6 აგვისტო** |
| კარკურანი-ტულონი |
| მონპელიე-მონ დე მარსანი |
| **8 აგვისტო** |
| ლიონი-გრენობლი |
| ტულუზი-კოლომიე |
| მონტობანი-ბურგუენი |
| ბრივი-ბორდო |
| აჟენი-ორიაკი |
| დაქსი-ტარბი |
| **9 აგვისტო** |
| აშშ-კლერმონი |
| ალბი-ნარბონი |
| პერპინიანი-კასტრი |
| **13 აგვისტო** |
| ოიონაქსი-ვენეცია |
| ბეზიე-ნარბონი |
| **14 აგვისტო** |
| ბრივი-მონტობანი |
| აჟენი-ტარბი |
| დაქსი-ვოსფსი |
| ტულონი-ტულუზი |
| ლიონი-შალონი |
| ოში-კოლომიე |

ბესიკ ჯანგავაძე


რატი ურუშაძე და თემურ სოხაძე

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვას კვირა

ქალთა რეიტინგში ჩვენი მოწინავე სამეული მესამე ასეულშია. **მაკა ჩახნაშვილი** 139 ქულით მსოფლიოს 212-ე ჩოგანია (+1), **ანა ტატიშვილი** 137 ქულით კლასიფიკაციაში 217-ე ადგილზეა. 9 საფეხურით წაიწია წინ 19 წლის **სოფიო შაფათავამ**, რომელმაც 90 სარეიტინგო ქულა დააგროვა. სოფიო კარიერაში პირველად ამაღლდა კლასიფიკაციაში 282-ე პოზიციამდე.

სხვა ქართველები მსოფლიო რეიტინგში: 488 (+1) **თინათინ ყავლაშვილი** – 34 ქულა; 522 (+36) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 31; 593 (-) **მანანა შაფაქიძე** – 24; 652 (-8) **სალომე დევიძე** – 19; 674 (+21) **სოფიო ქვაცაბაია** – 18; 734 (-6) **ეკა გორგოძე** – 14; 939 (-3) **მაგდა ოქრუაშვილი** – 6; 1021 (-2) **სოფიო მელიქიშვილი** – 4. როგორც ხედავთ, ოქსანა კალაშნიკოვამ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა, 36 ადგილით წაიწია წინ და კარიერის ახალი მიღწევაც აჩვენა. ოქსანამ წყვილთა კლასიფიკაციაშიც წინ წაიწია (+59) ხარკოვის ტურნირის მოგებისთვის და 310-ე პოზიციაზე დამკვიდრდა.

## შაფათავა ფავორიტს შეხვდება

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია, 19 წლის **სოფიო შაფათავა** (281) ძირითად ბადეში ითამაშებს. ქართველი ჩოგბურთელი პირველივე წრეში ერთ-ერთ ფავორიტს, მე-3 ნომრად განთესილ რუს **ეკატერინა ბიჩკოვას** შეხვდება. 23 წლის ბიჩკოვა მსოფლიოს 113-ე ჩოგანია. სოფიო წყვილთა ბადეშიც ითამაშებს, ის და ყირგიზი **ქსენია პალკინა** მე-4 ნომრად განთესილებს, უკრაინელ **კაპშაისა** და ლატვიელ **კუზმინას** გაეჯიბრებიან.

## ლაბაძე ბლანდინის წინააღმდეგ

**ირაკლი ლაბაძე** „ჩელენჯერის" სერი[illegible]ნირებში თამაშობს. სამარყანდში (უზბეკეთი) ლაბაძე რეიტინგით ვერ მოხვდა 35-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში. ქართველი საკვალიფიკაციოში მე-7 ნომრად განთესეს. ირაკლიმ ჯერ უზბეკი **იგორ შელიაკინი** დაამარცხა – 6:0, 6:2. შემდეგ მან ავსტრიელ **ნიკოლას რაიზინგს** სამსეტიან ბრძოლაში აჯობა – 6:7 (3), 6:4, 6:3. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ირაკლი ლაბაძემ მე-3 ნომრად განთესილი ეგვიპტელი **შერიფ საბრი** დაამარცხა – 6:4, 5:7, 6:3. სამარყანდის ტურნირის ძირითად ბადეში ქართველი ჩოგბურთელი ფრანგ **ჟერემი ბლანდინს** შეხვდება. ლაბაძე წყვილთა ბადეშიცაა, სადაც ის რუს **დენის მაცუკევიჩს** შეუამხანაგდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ლაზარე ათასეულშია

ახალ რეიტინგში საქართველოს პირველი ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** 91 ადგილით დაქვეითდა და 543-ე ადგილზეა. სამაგიეროდ, 70 ადგილით წავიდა წინ **ირაკლი ლაბაძე**, რომელიც 711-ე პოზიციაზე გადავიდა. უფრო დიდი ნახტომი გააკეთა პროგრესისკენ 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილმა**, რომელმაც 108 ერთეულით გაიუმჯობესა რეიტინგი, ახლა ლაზარე 990-ე ჩოგანია.

სხვები: 1072 (+49) **ნოდარ ითონიშვილი** – 7 ქულა; 1540 (+82) **გიორგი ჭანტურია** – 1; 1540 (-7) **დემეტრე თაქთაქიშვილი** – 1; 1540 (დ) **ბექა ბუჩუკური** – 1; 1867 (-) **გიორგი ხრიკაძე** – 1. მსოფლიო კლასიფიკაციაში დებიუტი ბექა ბუჩუკურს აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 55 წლისა, ტრაგიკულად დაიღუპა ვეტერანი მოჭიდავე, სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ლ. თედიაშვილის სახელობის ჭიდაობის მთავარი ცენტრის უფროსი მწვრთნელი

**თამაზ თათარაშვილი**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ბენიძე და სანიკიძე სენსაციური გამარჯვებებით იწყებენ!



პაიკიძემ (მარცხნივ) რუსი ბოდნარუკი დაამარცხა

სტამბოლიდან თქვენს ყურადღებას თურქეთის ქალაქ გაზიანთებისკენ გადავიტანთ, სადაც მეტად პრესტიჟული საჭადრაკო ფორუმი იმართება. ეს ქალაქი მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატს მასპინძლობს როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. თავისთავად, მსოფლიო ჩემპიონატი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა და მიუხედავად იმისა, რომ 20-წლამდელები ასპარეზობენ, უდიდესი ინტერესი ახლავს თან. საქმე ის არის, რომ ჭადრაკის გაახალგაზრდავებამ და მოჭადრაკეთა ოსტატობის ზრდამ ძალიან გაართულა მსგავს ტურნირებში გამარჯვება და ამიტომ პრესტიჟმაც იმატა. დამატებითი წამახალისებელი მომენტი კი ის არის, რომ პირველ ადგილზე გასულნი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს ყოველგვარი შერჩევის გარეშე იღებენ.

ტურნირი რომ დიდი პოპულარობით სარგებლობს, მონაწილეთა რაოდენობასა და კვალიფიკაციაზეც კარგად ჩანს - ვაჟთა შორის 118 მონაწილეა, ქალთა შორის - 73. შთამბეჭდავია მაღალრეიტინგიანთა მაჩვენებელიც. ამ კუთხით განსაკუთრებით გამოირჩევიან ძლიერი სქესის წარმომადგენლები: პირველი ნომერია აზერბაიჯანელი **რაუფ მამედოვი**, რომლის რეიტინგიც გვარიანად არის გაცილებული 2600-იან ზღვარს - 2627... მეორეა ებრაელი **მაქსიმ როდშტეინი - 2605**; რუსი **დიმიტრი ანდრეიკინი** მესამეა და მაჩვენებელი 2604 აქვს. მეოთხე ნომერია ჩეხი **ვიქტორ ლაზნიჩკა - 2601**. მეხუთე ნომრად გერმანიის სახელით მოასპარეზე ქართველ **დავით ბარამიძეს** ვხედავთ, რომელსაც 2600-მდე სულ ცოტა უკლია - 2591 ქულა აქვს. ათეულში სხვა ქართველები არ არიან, მაგრამ დანარჩენ ხუთს მაინც წარმოგიდგენთ: 6. **ჩაო ლი** (ჩინ. 2590); 7. **ლუკა ლენიჩი** (სლოვ. 2584); 8. **სერგეი ჟიგალკო** (ბელ. 2583); 9. **ტრინგ სიან ნგუენი** (ვიეტ. 2577); 10. **ლიმ წუანკ ლი** (ვიეტ. 2571).

ქართველთაგან საუკეთესო რეიტინგი **თორნიკე სანიკიძეს** აქვს - 2486, რომელსაც 34-ე პოზიცია უკავია სტარტზე. **დავით ბენიძე** 56-ეა 2389 ქულით, **ნოდარ ლორთქიფანიძე** 2080-ით - 91-ეა.

ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით, 13 ტურად იმართება; შვიდი ტურის შემდეგ ერთი დღით დაისვენებენ. სათამაშო დროდ პირველ 40 სვლაზე 90 წუთია დადგენილი; 40 სვლის შემდეგ ორივე მხარეს 15 წუთი ეძლევა, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

13 ტური საკმაოდ გრძელი დისტანციაა, თუმცა საბოლოო შედეგების ობიექტურობისთვის მისწრებაა – დაბალი კვალიფიკაციის მოჭადრაკეები მაღალ ადგილებს ვერ დაიჭერენ...

დღეისთვის ორი ტურია გასული და სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ქართველთა სტარტი ძალიან კარგია. პირველ ტურში დავით ბენიძე შავებით ხვდებოდა მესამე ნომერ რუს **დიმიტრი ანდრეიკინს**. რუსი თეთრებით თამაშობდა და სიმართლე გითხრათ, ქართველი განწირული გვეგონა, მაგრამ პირიქით კი მოხდა - დათომ შესანიშნავად ითამაშა და დაამარცხა მრისხანე მეტოქე. ცხადია, ქართველის შედეგი სენსაციური იყო, თუმცა დავითი ხომ ნიჭიერი მოჭადრაკეა და უკვე დროა, ასეთი დონის მეტოქეებს ტოლ-სწორად ეპაექროს. მეორე ტურშიც ბენიძეს ძლიერი მეტოქე ჰყავდა - ინდოელი **არუნ პრასად სუბრამანიანი**, რომელიც რეიტინგით ქართველს სჯობია - 2492 ქულა აქვს, დათოს კი - 2389. ამჯერად ვერ მოიგო ჩვენებურმა, მაგრამ ყაიმს კი გამორჩა.

პირველ ტურში შავებით იყოჩაღა **თორნიკე სანიკიძემაც**, თუმცა მეტოქედ დაბალრეიტინგიანი ბოსნიელი **სლავისა ილიჩი** ჰყავდა. სამაგიეროდ, მეორე ტურში ჰყავდა მაღალრეიტინგიანი - ტურნირის უპირველესი ფავორიტი, აზერბაიჯანელი **რაუფ მამედოვი**. თეთრებით თორნიკე იყო და ჩვენდა გასახარად, გამარჯვებულიც გამოვიდა. დიდს არ ვიტყვით, მაგრამ მცირე სენსაციად კი შეიძლება ჩაითვალოს სანიკიძის მოგება. თუმცა აქაც იმავეს გავიმეორებთ, რაც ბენიძის შემთხვევაში ვთქვით - თორნიკეს უკვე მოსდევს ძალა და ცოდნა იმისთვის, რომ დიდოსტატებს მოერიოს; მართალია დიდოსტატის წოდებისთვის საჭირო სამი ბალი კი აქვს ყულაბაში თორნიკეს, მაგრამ რეიტინგი არ უწყობს ხელს, რომ წოდება ოფიციალურად მიენიჭოს. მამედოვთან მოგების მერე, ეჭვი არაა, ამ საქმესაც დაადგამს თავს.

პირველ ტურში შავებით წააგო ნოდარ ლორთქიფანიძემ - 2476 რეიტინგის მფლობელ რუს **რომან ნეჩეპურენკოსთან**. სანაცვლოდ, იყოჩაღა მეორე ტურში და 2328 რეიტინგიან ისლანდიელს, **გუდმუნდარ კიარტანსენს** მოუგო თეთრებით.

გოგონებში პირველმა ტურმა მცირედით დაგვწყვიტა გული: **ნაზი პაიკიძემ** შავებით ვერ აჯობა 2048 რეიტინგის მფლობელ ჩინელ **გოუ ცის** - ყაიმი. **ქეთი წაწალაშვილმა** და **მირანდა მიქაძემ** კი გაიმარჯვეს.

მეორე ტურში წაწალაშვილს ფეხი დაუცდა - პოლონელ **ჰანა ლეკსთან** შავებით წააგო. მირანდა მიქაძემ თეთრებით მეორე გამარჯვება ჩაიწერა აქტივში - ყაზახი **გულისხან ნახბაევა** დაამარცხა. ნაზიმ სასტარტო შეფერხება მშვენიერი მოგებით გამოისყიდა: რუსი **ანასტასია ბოდნარუკი** დაამარცხა, რომელსაც მესამე რეიტინგი აქვს ჩემპიონატზე - 2394. ნაზიმ ამ მოგებით საკმაოდ ხმამაღალი პრეტენზია გამოთქვა საბოლოო წარმატებაზე და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 15 წლისაა, რეალურად შესწევს ძალა, იპირველოს...

შემადგენლობა ქალთა შორისაც სოლიდურია. პირველი ათეული ასე გამოიყურება: 1. **ჰარიკა დრონავალი** (ინდ. 2461); 2. **მარია მუზიჩეკი** (უკრ. 2413); 3. ანასტასია ბოდნარუკი (რუს. 2394); 4. **ეკატერინა ნემცოვა** (ჩეხ. 2372); 5. **საბინა-ფრანსისკა ფოიშორი** (რუმ. 2337); 6. **იონა მაიდანი** (პოლ. 2323); 7. **მარი ან გომესი** (ინდ. 2316); 8. **ზოია სევერიუხინა** (რუს. 2300); 9. **სარა ჰოლტი** (გერ. 2298); 10. **სვამინატჰან სუმია** (ინდ. 2293). ნაზი პაიკიძე მეთხუთმეტეა - 2277; ქეთი წაწალაშვილი - მეთექვსმეტე (2271), მირანდა მიქაძე კი მეცხრამეტე - 2258.

მესამე ტურში ჩვენები ხვდებიან: ქალები: **კუბრა ოზთურქი** (თურ. 2188)-მირანდა მიქაძე; მარი ან გომესი (ინდ. 2316)-პაიკიძე; წაწალაშვილი-**მარია იკონომოპულო** (საბ. 2074). კაცები: სანიკიძე-**ჯურაევ სამრაკულოვი** (უზბ. 2554); **იანკ ვენი** (ჩინ. 2487)-ბენიძე; **ვასიფ დურარბეილი** (აზერ. 2413)-ლორთქიფანიძე.

**ზვიად შათირიშვილი**

# ორი ქართველი მწვერვალზე

სტამბოლის საჭადრაკო ფესტივალზე მეხუთე ტურიც მოილიეს მონაწილეებმა და ინტრიგაც კიდევ მეტად გაიზარდა, - ეკვატორი გადალახულია და ნამდვილი ბრძოლები ახლა იწყება. მოგეხსენებათ, ახალი წესის თანახმად, ორ ჯგუფად - ძლიერებად და სუსტებად გაყოფილებმა, საწყისი ოთხი ტური ცალ-ცალკე ითამაშეს, მეხუთეში კი ერთმანეთში „აირივნენ" და ამის გამო ძლიერი ჯგუფის ლიდერებმა სუსტთა ლიდერები, ანუ რეალურად დაბალი კვალიფიკაციის მეტოქეები მიიღეს მეხუთე ტურში. შედეგიც, რა თქმა უნდა, შესაბამისი იყო: **ლევან ფანცულაიამ**, ვინც ქართველთაგან ერთ-ერთი ლიდერთაგანია, 1702 რეიტინგის მქონე თურქი **მეთე ალბაიარაკი** თეთრებით იოლად მოაშთო; **მერაბ გაგუნაშვილმაც** არ დააყენა კარგი დღე თურქ **გუნ სუმერს** და შავებით დააშამათა. ფანცულაიას და გაგუნაშვილს 5-5 ქულა გაუხდათ, რაც ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ცუდი ის არის, რომ მეექვსე ტურში წილისყრამ ერთმანეთს შეახვედრა, რაც, თავისთავად რომელიმე მათგანის ან ორივეს შეფერხებას გამოიწვევს. თეთრებით გაგუნაშვილია და ვნახოთ, როგორ წარიმართება ბრძოლა.

როგორც გუშინ შევნიშნეთ, მეხუთე ტურში ქართველთა მეტოქეები უკლებლივ თურქები იყვნენ; თანაც არცთუ მაღალი კვალიფიკაციის და ვარაუდი გამოვთქვით, რომ ყველა გაიმარჯვებდა. აქეთკენ მიდიოდა კიდეც საქმე, მაგრამ იქ შევფერხდით, სადაც ყველაზე ნაკლებად ვფიქრობდით: მართალია, **ბელა ხოტენაშვილი** შავებით ხვდებოდა **ოზგენ საჰინს**, მაგრამ 1722 რეიტინგის მქონე თურქი, ყველა შემთხვევაში უნდა დაემარცხებინა. არ ვიცით, რა მოხდა პარტიის დროს, მაგრამ ნახევარი ქულის დათმობა, ბელას მოუწია.

ხუთი ქულა, ანუ მაქსიმალური შედეგი ქართველთა გარდა კიდევ სამ მოჭადრაკეს აქვს: თურქ **სუატ ათალიკს** (2585), აზერბაიჯანელ **გადირ გუსეინოვს** (2643) და სომეხ **არმან პაშიკიანს** (2564). ათალიკი და გუსეინოვი ერთმანეთს ხვდებიან დღეს, პაშიკიანი კი შავებით უკრაინელ **ვალერი ავესკულოვს** დაუპირისპირდება (2541).

სასიამოვნოა, რომ **მაკა ფურცელაძეს** 4.5 ქულა აქვს და ლიდერებს კვალში უდგას. მისი დღევანდელი მეტოქე სომეხი **გეორგ არზუმანიანია**. თეთრები ქართველის არჩევია და, იმედია, საწყის უპირატესობას სასურველში გადაზრდის. 4.5 ქულა აქვს **ვალერიან გაფრინდაშვილსაც**, - მისი მეტოქე მეექვსე ტურში ქართველი ქალბატონი **ნინო ბაციაშვილია** - ნინოსაც 4.5 ქულა აქვს და ქალთა შორის პირველობისთვის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

ლიდერთა ჯგუფიდან ძალიან შორს არც დანარჩენები არიან: **გიორგი ბალათუროვს** 4 ქულა აქვს; ამდენივეთი იწონებენ თავს **ანა გავაშელი** და **თამარ ხმიადაშვილი**; 35 ქულა მოუგროვებიათ ბელა ხოტენაშვილს, **თამარ წერეთელსა** და **თეონა მესხს**; **ნონა დათუაშვილს** ჯერჯერობით სამი ქულა აქვს.

**ზვიად შათირიშვილი**

ჭიდაობა

# კლასიკოსები პეკინში ემზადებიან, ბარგს ჯერაც ელიან



ბეგი დარჩია

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობას ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები 12 აგვისტოდან დაიწყებენ. **ბეგი დარჩიას** გუნდი უკვე ჩინეთის დედაქალაქში იმყოფება, სადაც აკლიმატიზაციას გადის და ტურნირისთვის ემზადება. ჩვენებს ერთი უსიამოვნო სიურპრიზი უკრაინულმა ავიაკომპანიამ შესთავაზა, რომლის მომსახურებითაც ოლიმპიური გუნდის პირველმა ნაკადმა ისარგებლა – მოჭიდავეებს ბარგი არ ჩაჰყვათ ჩინეთში. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად პეკინში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას დავუკავშირდით:

- გუნდი პეკინში აკლიმატიზაციას გადის და ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. ყველაფერი წესრიგშია, ბიჭები თავს მხნედ გრძნობენ, ტრავმები არ გვაწუხებს.

**- შევიტყვეთ, რომ ნაკრებმა ბარგი დაკარგა..**

- დიახ, ასეა – უკრაინული ავიაკომპანიის დაუდევრობის გამო ბარგი დაგვეკარგა, თუმცა ეს მარტო ჩვენს ნაკრებს არ დაემართა. საბედნიეროდ, ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელობამ გუნდს პრობლემა უმალ გადაუწყვიტა – ახალი ეკიპირება შეგვიძინა. ასე რომ, სავარჯიშო პროცესში ამ ინციდენტს ხელი არ შეუშლია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გინესი

# მზადება რეკორდისთვის

ექვსი წლის წინათ ქართველმა პოლიტოლოგმა **ჰენრი კუპრაშვილმა** ძველკოლხური სტილით - სამგან ხელფეხშეკრულმა დარდანელის სრუტე გადაცურა და გინესის წიგნში შევიდა. მას შემდეგ ბატონ ჰენრის მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა, მათ შორისაა თერთმეტი წლის **ჯიმი ბროძელი**, რომელმაც გასულ კვირას სწორედ ძველკოლხური ყაიდით 1 საათში, 50 წუთსა და 47 წამში შვიდიოდე კილომეტრი დაფარა. მის მომზადებაში ჰენრი კუპრაშვილსა და საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს" დირექციას მიუძღვით წვლილი.

ნორჩ მოცურავეს განზრახული აქვს, 30 აგვისტოს, ჟიურის თანდასწრებით, მასწავლებლის მსგავსად, ხელფეხშეკრულმა გადაცუროს დარდანელი და გინესის წიგნში დაიმკვიდროს ადგილი.

**ალექსანდრე კოტორაშვილი**

ავტორის ფოტოები









პლაჟბურთი. მსოფლიო რეიტინგი

# ირმისებური ნახტომი

გასულ უქმეებზე, კლაგენფურტში დასრულებულ მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე პლაჟბურთის ქართულმა წყვილებმა კარიერაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს, რაც უმალ აისახა მათ ადგილებზე მსოფლიოს კლასიფიკაციაში.

ქალთა შორის **საქა-რთველო** მეოთხე ადგილზე გავიდა და რეიტინგში 560 ქულა მიითვალა. რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ 27-ე ადგილიდან 22-ეზე გადაბარგებულიყო. ჩვენს ფრენბურთელებს ახლა 1952 ქულა აქვთ და გერმანული დუეტი **გოლერი-ლუდვიგი** 90 ქულით უსწრებს.

ხუთი საფეხურით წაიწია წინ ვაჟთა შორის **გეორ-გიამაც**. ჩვენმა ფრენბურთელებმა ავსტრიაში 480 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავეს და მე-17 ადგილიდან მე-12 გადავიდნენ. გეორ-გიას ახლა 2825 ქულა აქვს და მე-11 ადგილზე მყოფი ამერიკელები **გიბი** და **როზენტალი** სულ რაღაც 15 ქულით უსწრებენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ფორმულა 1

# ბაზარი იხსნება

## 2009 წლის ჩემპიონატის სავარაუდო ტრანსფერები



**სპეციალისტები** ერთხმად აღნიშნავენ, რომ ტრანსფერების სეზონი უნგრეთის გრანპრის შემდეგ გახურდება. ფორმულა 1-ში დიდი ამბების მოლოდინში არიან, მანამდე კი საინტერესოა, რა სატრანსფერო ვარიანტებს განიხილავენ „დიდი რბოლების" სამყაროში.

**დავიწყოთ იმ გუნდებით, რომლებმაც უკვე გაარკვიეს მომავალი სეზონისთვის საკუთარი შემადგენლობები და შესაბამისად, მათ 2009 წლის აგვისტომდე, ანუ „პილოტების ბაზრის" ახალ პერიოდამდე აღარ შევეხებით.**

### ფერარი

მაშ ასე, პირველი გუნდი, რომელთან დაკავშირებით უკვე დიდი ხანია ყველაფერი გარკვეულია, იტალიური „ფერარი" გახლავთ. მისი სპორტული დირექტორი **სტეფანო დომენიკალი** ჯერ კიდევ წლევანდელი ჩემპიონატის დაწყების წინ ამბობდა (და დღესაც ამბობს), რომ ორი შესანიშნავი პილოტი ჰყავთ, რომლებსაც სკუდერიასთან 2009 წლის ბოლომდე აკავშირებთ კონტრაქტები.

არ დასტურდება ჭორები იმის შესახებ, თითქოს „ფერარიში" **ფერნანდო ალონსო** აპირებდეს გადასვლას. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ნითელ კომბინეზონს 2010 წლამდე ვერ მოირგებს. ხოლო, თუ **კიმი რაიკონენი** იტალიურ საჯინიბოსთან თავისი კონტრაქტის გაგრძელებას გადაწყვეტს, ალონსოსა და „ფერარის" პაემანი მინიმუმ კიდევ ერთი სეზონით, ანუ 2011 წლამდე გადაიდება.

### რედ ბული

**დიტრიხ მატეშიცის** გუნდი პირველი იყო, რომელმაც მომავალი წლის ჩემპიონატისთვის სატრანსფერო საქმეების მოგვარება გადაწყვიტა. გერმანიის გრანპრის დროს, გუნდის პრესსამსახურმა გამოაცხადა, რომ 2009 წელს მეორე საპრიზო პილოტი გერმანელი **სებასტიან ფეტელი** იქნება, რომელიც ფორმულა 1-ის შოტლანდიელ ვეტერანს **დევიდ კულტჰარდს** შეცვლის. რაც შეეხება „რედ ბულის" პირველ საპრიზო პილოტს, ამ სტატუსს ავსტრალიელი **მარკ უებერი** შეინარჩუნებს.

პილოტებთან კონტრაქტები უკვე გაფორმებულია, **ადრიან ნიუი** კი მომავალი სეზონის მანქანისთვის (RB5) იწყებს მუშაობას.

### მაკლარენი

**რონ დენისის** გუნდმაც ყველა საკითხი მოაგვარა. ინგლისელ „მარგალიტს" **ლუის ჰემილტონს** ბრიტანულ-გერმანულ საჯინიბოსთან ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს. რამდენიმე დღის წინ კი, **მარტინ უიტმარშმა** საჯაროდ გამოაცხადა, რომ ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** მინიმუმ ერთი წელი დარჩება ჰემილტონის პარტნიორად.

### BMW-ზაუბერი

ძნელი წარმოსადგენია, რომ გერმანელები **რობერტ კუბიცას** სხვა გუნდში გადასვლის საშუალებას მისცემენ, განსაკუთრებით იმ შედეგების შემდეგ, რაც პოლონელმა პილოტმა სეზონის პირველ ნახევარში აჩვენა და მით უმეტეს იმ პირველი გამარჯვების შემდეგ, რომელიც კუბიცამ კანადის გრანპრიზე მოუტანა „BMW-ზაუბერს". მაგრამ თუ F1.08-ის კონკურენტუნარიანობა დაეცემა, გამორიცხული არ არის, რომ თავად პოლონელი მოინდომებს 2009 წლისთვის უკეთესი ვარიანტების შერჩევას. გასარკვევი ისაა, როდის დაიწყებს კუბიცა გუნდის შეცვლაზე ფიქრს და რომელ საჯინიბოში მოისურვებს გადასვლას.

უფრო რთულია **ნიკ ჰაიდფელდის** მდგომარეობა. ამ სეზონში გერმანელი პილოტი ისე ვერ ბრწყინავს, როგორც მისი პოლონელი თანაგუნდელი. ერთ რბოლას ის მაღალ დონეზე ატარებს, შემდეგში კი, აუცილებლად ჩავარდნა აქვს. ეს არასტაბილურობა ძალიან ანერვიულებს **მარიო ტიისენს** და შეიძლება ისე მოხდეს, რომ მომავალი სეზონისთვის ამ გუნდმა **ნიკო როსბერგთან** გააფორმოს კონტრაქტი.

### ტოიოტა

იაპონურმა საჯინიბომ, შესაძლოა, სერიოზული შეცდომა დაუშვას. ის **კამუია კობაიაშის** დაჰპირდა, რომ გაისად იაპონელი ფორმულა 1-ის საპრიზო პილოტი გახდება. გამოდის, რომ „ტოიოტამ" თავისი ამჟამინდელი შემადგენლობიდან ვიღაც უნდა გაწიროს. მაგრამ ვინ? **იარნო ტრული?** არადა, იტალიელმა ბევრჯერ გადაარჩინა გუნდის ღირსება, თუმცა ისიც გავიხსენოთ, რომ ტრულის სწორედ ამ სეზონის შემდეგ ეწურება იაპონურ საჯინიბოსთან კონტრაქტი. იარნოს მაინც აქვს გუნდში დარჩენის შანსი. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ტოიოტა" კობაიაშის „უილიამსში", **ნიკო როსბერგის** ადგილზე მოაწყობს.

**ტიმო გლოკის** მდგომარეობაც გაურკვეველია. ყოველთვის, როცა მას რბოლის კარგი შედეგით დასრულების საშუალება ეძლევა, ამ შანსს ორივე ხელით ებღაუჭება (ასე მოხდა გასულ უიქ ენდზე უნგრეთში, როცა გლოკმა მეორე ადგილის დაკავება შეძლო). მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი შესაძლებლობა ძალიან იშვიათად უჩნდება. თუმცა ტიმოს ხელში ერთი სერიოზული კოზირი აქვს - მისი კონტრაქტი იაპონურ საჯინიბოსთან ორი წლით არის გაფორმებული. და თუ რაიმე ექსტრაორდინარული არ მოხდა, მომდევნო წელსაც გლოკს TF-109-ის საჭესთან ვიხილავთ.

### რენო

თუ „რენოს" პილოტების ამჟამინდელი კონტრაქტებით ვიმსჯელებთ, მომავალი წლისთვის შემადგენლობაში ცვლილებები არ უნდა მოხდეს, რადგან ხელშეკრულებებს ვადა 2009 წლის ბოლოს გასდის. გასაგებია, რომ **ნელსინიო პიკე** არსად წასვლას არ აპირებს.

სხვა საკითხია ფერნანდო ალონსო. თუ ესპანელი ჩათვლის, რომ მისთვის უფრო მომგებიანი ფრანგულ საჯინიბოში კიდევ ერთი წლით დარჩენა იქნება, ის ამას გააკეთებს. მაგრამ ისე ჩანს, რომ ალონსოს აღარ სჯერა „რენოს" პოტენციალის და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობს - რაც შეიძლება მალე მიუჯდეს „ფერარის" ბოლიდის საჭეს. და თუ მაინც, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდის კიდევ ერთხელ შეცვლას გადაწყვეტს, სავარაუდოდ, მის ადგილს „რენოში" ამჟამინდელი ტესტ-პილოტი **რომენ გროჟანი** დაიკავებს.

### უილიამსი

რაც შეეხება სერ **ფრენკ უილიამსის** გუნდს, ის ბოლომდე თავისუფალი არ არის პილოტების შერჩევაში. წელს, გუნდისთვის ძრავების მიმწოდებელმა - კომპანია „ტოიოტამ" ბრიტანულ საჯინიბოს **კაზუკი ნაკაჯიმას** კანდიდატურა მოახვია თავს. თუმცა „უილიამსს" **ნიკო როსბერგის** სახით, ძალიან ძლიერი პილოტი ჰყავს.

როსბერგს 2009 წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი ფრენკ უილიამსის გუნდთან, მაგრამ გერმანელს იოლად შეუძლია „უილიამსისგან" თავის დაღწევა - თუ გუნდი კონსტრუქტორთა თასის ჩათვლაში საუკეთესო ოთხეულში ვერ შეაღწევს, როსბერგს თავისუფლად შეუძლია სხვა გუნდში გადასვლა. ამიტომაც მომდევნო წელს, ნიკოს სავარაუდოდ სხვა მანქანის საჭესთან ვიხილავთ, მაგალითად, „BMW-ზაუბერში". ხოლო მის შესაცვლელად, „ტოიოტამ" შესაძლოა ისევ გამოუგზავნოს ბრიტანულ გუნდს იაპონელი პილოტი. ეს კამუია კობაიაში იქნება.

### ტორო როსო

საინტერესოა, ფეტელის „რედ ბულში" წასვლის შემდეგ, შეძლებს თუ არა ფრანგი **სებასტიან ბურდე** ლიდერის როლის იტვირთოს **გერჰარდ ბერგერის** გუნდში? უახლოეს პერიოდში სწორედ ამაზე მოუწევს ფიქრი ლეგენდარულ ავსტრიელსა და მის გარემოცვას.

ამერიკულ სერია Champ car-ში დამტკიცდა, რომ ბურდეს ნიჭი ნამდვილად აქვს, მაგრამ ის ვერაფრით ახერხებს ფორმულა 1-ის მანქანით თავის გამოჩენას. ამასთან, დიტრიხ მატეშიცმა ენერგეტიკული სასმელის, „რედ ბულის" საფრანგეთში გაყიდვის უფლება მოიპოვა, ამიტომაც ავსტრიელ მილიარდერს თავისი პროდუქციის რეკლამისთვის მაინცდამაინც აღარ სჭირდება ფრანგი პილოტი.

ბურდეს ადგილის შენარჩუნების მხოლოდ ერთი შანსი აქვს - თუ მის ადგილზე შემცვლელს ვერ მონახავენ. პატარა სკუდერიას ისედაც მოსაძებნი ჰყავს „რედ ბულში" წასული ფეტელის შემცვლელი - ეს კი იოლი საქმე ნამდვილად არ გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ „ტორო როსოში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ **ბუემისა** და **სენას**, თავად ბერგერის აღიარებით, მას ურჩევნია გუნდში ერთი ახალგაზრდა და ერთი გამოცდილი პილოტი ჰყავდეს. ამიტომაც, ბურდეს 2009 წლისთვის ადგილის შენარჩუნების საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს.

### ფორს-ინდია

ინდური გუნდის პრობლემა არა მის პილოტებში, არამედ მეტისმეტად სუსტ მანქანაში უნდა ვეძებოთ. **ჯანკარლო ფიზიკელას** მდიდარი გამოცდილება გააჩნია, რაც მას სასწაულების ჩადენის საშუალებას აძლევდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სასწაული იყო „ჯორდანის" ბოლიდით 2003 წელს მოპოვებული გამარჯვება. რაც შეეხება გერმანელ **ადრიან სუტილს**, ის ისეთივე დონის პილოტად ითვლება, როგორც ჰემილტონი ან როსბერგი. ყველას კარგად ახსოვს მისი გარღვევა მონაკოში, როცა ბოლო ადგილიდან მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა და რომ არა კიმი რაიკონენი, გერმანელი ამ პოზიციას ფინიშამდე შეინარჩუნებდა.

ამ გუნდის ერთადერთი პრობლემა ტესტ-პილოტი **ვიტანტონიო ლიუცია**, რომელსაც დიდი იმედი აქვს, რომ მომავალ სეზონში ფიზიკელას ადგილს დაიკავებს. მაგრამ გუნდის მფლობელსა და გენერალურ მენეჯერს, **ვიჯეი მალიას** ფიზიკელას გაშვების არანაირი სურვილი არ გააჩნია. თურმე ჯანკარლო ძალიან საინტერესო ტექნიკური ინფორმაციით ამარაგებს „ფორს-ინდიას" ინჟინრებს.

### ჰონდა

„ჰონდათი" დავასრულოთ, რომელსაც ასტრონომიული ბიუჯეტი გააჩნია, ყველაზე ძლიერი სპეციალისტი **როს ბრაუნი** ჰყავს და მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ახერხებს რბოლებში რეგულარულად ქულების დაგროვებას. თუმცა თავად როს ბრაუნი არ ცდილობს ამ სეზონზე აქცენტის გაკეთებას, რადგან კარგად იცის, რომ „ჰონდას" მთავარი პრობლემა არაკონკურენტუნარიანი ბოლიდია. ამიტომაც, ბრიტანელი სპეციალისტი მთლიანად ახალი სეზონის მანქანაზეა გადართული.

დიდი ბიუჯეტი, სარბოლო გამოცდილება და კარგად გათვლილი სტრატეგია - კიდევ რა შეიძლება არ ეყოს „ჰონდას" 2009 წელს წარმატების მისაღწევად? პასუხი ძალიან მარტივია - ნიჭიერი პილოტი. **ჯენსონ ბატონი** და **რუბენს ბარიკელო** პროფესიონალები არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ რაღაც არ ჰყოფნით.

**ნიკ ფრაის** ძალიან უნდა ფერნანდო ალონსოს ხელში ჩაგდება, მაგრამ როს ბრაუნი გუნდის შეფს აფრთხილებს, რომ მას არ სჭირდება ეფემერული პილოტი ერთი წლის ვადით. ალონსოსთვის „ჰონდა" მოსაცდელი დარბაზივით იქნება მომავალი ოცნების ასასრულებლად.

**გია თვალაბეიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადა. პეკინი 2008

ცურვა

# მფრინავი ჰოლანდიელი ერთხელ გაცურავს




საქვეყნოდ ცნობილი ჰოლანდიელი მოცურავე, **პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი** პეკინში მხოლოდ ერთ დისციპლინაში გამოვა. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი აქცენტს თავისუფალი სტილით 100 მეტრ დისტანციაზე გააკეთებს და უარს იტყვის თავის მეორე საყვარელ დისციპლინაზე (200 მეტრი თავისუფალი სტილით ცურვა).

შეგახსენებთ, რომ 2000 წელს, სიდნეიში ვან დენ ჰუგენბანდმა ოქროს მედლები მოიგო 100 და 200 მეტრ დისტანციებზე, ოთხი წლის შემდეგ, ათენში იგივე შედეგი აჩვენა 100 მეტრზე, ორასზე კი, ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ჰოლანდიელის ეს გადაწყვეტილება იმით არის გამოწვეული, რომ ამ ორი დისციპლინის ფინალურ გაცურვებს შორის დროის მცირე შუალედია.

*"სიდნეიში ახალგაზრდა ვიყავი, ახლა კი 30 წლის ვარ და ძალები რაციონალურად უნდა გადავანაწილო"*, - ამბობს ვან დენ ჰუგენბანდი.

მოცურავის სიტყვებით, ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდა, რადგან მიაჩნია, რომ 200 მეტრზე თავისუფლად შეუძლია ამერიკელი **მაიკლ ფელპსის** შემდეგ მეორე მივიდეს ფინიშთან და ვერცხლის მედალი მოიპოვოს. მაგრამ ჰოლანდიელის აზრით, 100 მეტრზე უფრო მეტი შანსი აქვს და არ აპირებს ხელიდან გაუშვას ისტორიული რეკორდის დამყარების შესაძლებლობა. საქმე ისაა, რომ თუ ვან დენ ჰუგენბანდი 100-მეტრიან დისტანციას მოიგებს, ის გახდება პირველი მოცურავე ისტორიაში, ვისაც ზედიზედ სამ ოლიმპიადაზე ექნება მოგებული ეს დისციპლინა.

*"უბრალოდ, პეკინში გამგზავრება და 100 მეტრზე გამარჯვება მინდა. მთელ ძალებს ამას მოვახმარ, რათა დავასრულო ეს უნიკალური ტრილოგია"*, - განაცხადა ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა.

კალათბურთი

# ავსტრალია ბოგუტის გარეშე?




ცუდი ამბავი შეემთხვა ოლიმპიადისწინა საერთაშორისო ტურნირში ავსტრალიის ნაკრებს. Diamond Ball-ის თასისთვის ბრძოლაში, არგენტინასთან მატჩის (91:95) მეორე ნახევარში ტრავმა მიიღო "მილუოკი ბაქსის" ცენტრმა **ენდრიუ ბოგუტმა**. ავსტრალიელთა ლიდერი ექიმების დახმარებით გავიდა მოედნიდან და თამაში აღარ გაუგრძელებია.

ბოგუტმა ფეხი დაიზიანა და ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რამდენად სერიოზულია ეს ტრავმა. არსებობს ვარაუდი, რომ ბოგუტმა საერთოდ ველარ შეძლოს ოლიმპიადაზე თამაში. ეს კი მედლის მოპოვებაზე ავსტრალიელთა შანსებს მინიმუმამდე დაიყვანს.

■ ■ ■

ამასობაში, ჩინეთში მყოფმა "დირმ თიმმა" კიდევ ორი ამხანაგური მატჩი გამართა და ისევე როგორც წინა შეხვედრებში, ამჯერადაც გაანადგურა მეტოქეები. ამერიკელთა მსხვერპლი გახდა ლიტვა და ევროპის ჩემპიონი რუსეთი.

**აშშ-ლიტვა 120:84**

**31:15, 25:24, 35:27, 29:18**

**აშშ:** უეიდი (19), დ. ჰოვარდი (17), რედი (16), ჯეიმსი (15+6 პასი), ბრაიანტი (13), ენტონი (11).

**ლიტვა:** კაუკენასი (16), შიშკაუსკასი (11), იავტოკასი (11).

**აშშ-რუსეთი 89:68**

**29:17, 17:14, 24:20, 19:17**

**აშშ:** ბრაიანტი (19), ენტონი (17+7 მოხსნა), უეიდი (16+7 მოხსნა), ჯეიმსი (10), რედი (6).

**რუსეთი:** კირილენკო (18+8 მოხსნა), ჰოლდენი (17+6 მოხსნა).

მძლეოსნობა

# რვა წლის შემდეგ დაკარგული ოქრო

ამ დღეებში, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიური თამაშების ისტორია გადაწერა. კერძოდ, ერთი ცვლილება შევიდა მედალოსანთა სიაში. 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროს მედალი ჩამოართვეს 4x400 მეტრზე ესტაფეტაში ამერიკელ მძლეოსანთა ნაკრებს. ეს გადაწყვეტილება იმით იყო განპირობებული, რომ ოთხი მორბენალიდან ერთ-ერთმა, **ენტონი პეტიგრიუმ** დოპინგის მიღება აღიარა.

მძლეოსანმა ჯერ კიდევ ამა წლის მაისში განაცხადა, რომ 1997-2003 წლებში, ერითროპოეტინსა და ზრდის ჰორმონებს იღებდა. ეს ნივთიერებები კი აკრძალული პრეპარატების სიაშია შეტანილი. ამის გამო, ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტომ 1997 წლიდან მოყოლებული, პეტიგრიუს ყველა შედეგი გააუქმა.

ამ მორბენალის გარდა, ოქროს მედლების გარეშე დარჩნენ ლეგენდარული **მაიკლ ჯონსონი** და ტყუპი ძმები - **ელვინ და კელვინ ჰარისონები**.

ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლის, **ჟიზელ დევისის** განცხადებით,


პეტიგრიუ, ძმები ჰარისონები და ჯონსონი

ჯერ არ განხილულა იმ გარბენში მონაწილეთათვის მედლების გადანაწილების საკითხი. ამერიკის ნაკრების დისკვალიფიკაციის შემდეგ, წესით, ოქროს მედალი ნიგერიის ნაკრებს უნდა გადაეცეს, რომელმაც იმ ესტაფეტაში მეორე ადგილი დაიკავა. ვერცხლი იამაიკას ერგება, ბრინჯაო - ბაჰამის კუნძულის ოთხეულს.

# ბოლტი ორივე სპრინტს გაირბენს

ერთკვირიანი ფიქრის შემდეგ, იამაიკელმა **უსაინ ბოლტმა** პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის საკუთარი გეგმა შეადგინა. როგორც ცნობილია, ამ სპრინტერის საყვარელი დისტანცია 200 მეტრია, თუმცა წელს ბოლტმა არნახულ შედეგს მიაღწია 100 მეტრზე სპრინტში - კერძოდ, 31 მაისს, ამ დისციპლინაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა - დისტანცია 9.72 წამში გაირბინა.

ბოლტმა თავის მწვრთნელთან, **გლენ მილზთან** ერთად გადაწყვიტა პეკინში ორ დისტანციაზე - 100 და 200 მეტრზე სცადოს ძალები. ბუნებრივია, ის იამაიკის ნაკრებთან ერთად, 4x100 მეტრზე ესტაფეტაშიც გამოვა. ამ დისციპლინაში კუნძულელებს დიდი პერსპექტივები აქვთ, ვინაიდან ბოლტის გარდა, ესტაფეტას კიდევ ერთი ფავორიტი სპრინტერი, **ასაფა პაუელიც** გაირბენს.

# მარათონი სხვა ქალაქში?

პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ მძიმე ეკოლოგიური პირობების გამო, მამაკაცების მარათონი შეიძლება სხვა დროს და სხვა ადგილას გადაიტანონ.

მძლეოსნობის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი სტარტი ოლიმპიადის ბოლო დღეს, 24 აგვისტოს არის დაგეგმილი, მაგრამ თუ იმ პერიოდში, პეკინში არასახარბიელო ეკოლოგიური მდგომარეობა იქნება, გარბენს ან სხვა ქალაქში გადაიტანენ, ან ოლიმპიადის დახურვის ცერემონიის შემდეგ ჩაატარებენ.

ორგანიზატორებმა უკვე შეიმუშავეს მარათონის გადატანის სარეზერვო გეგმა. ყველაზე სავარაუდო ვარიანტი მისი სხვა ქალაქში ჩატარებაა. ქალების მარათონი, წინასწარი გეგმის მიხედვით, 17 აგვისტოს გაიმართება.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ლიუ ვენბინი** ირწმუნება, რომ ყველაზე ცუდ ეკოლოგიურ პირობებშიც კი, აბსოლუტურად ყველა შეჯიბრი დახურვის ცერემონიამდე გაიმართება. უფრო ადრე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იუწყებოდა, რომ დაბინძურებული ჰაერის პირობებში, ის შეჯიბრებები, რომლებიც საათზე მეტხანს გრძელდება, შეიძლება სხვაგან გადაიტანონ, მაგრამ ვენბინის აზრით, მოვლენათა ამგვარი განვითარების ალბათობა ძალიან მცირეა.

თავის დროზე, ოლიმპიადის ორგანიზატორების მიმართ სოკ-ის მთავარი მოთხოვნა პეკინში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება იყო. ჩინელებმაც ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგეს. კერძოდ, თამაშების დროს დედაქალაქში დაიხურება ქარხნების დიდი ნაწილი და შეიზღუდება ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

ფარიკაობა

# იტალიამ ლიდერი დაკარგა

მამაკაც რაპირისტთა შორის ოქროს მედლის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, იტალიელი **ანდრეა ბალდინი** პეკინში ვერ მიემგზავრება. 22 წლის სპორტსმენმა დოპინგ-ტესტი ჩააგდო.

ბალდინიმ უკვე დატოვა იტალიის ოლიმპიური ნაკრების რიგები და ახლა, მეორე სინჯის შედეგებს დაელოდება. თუ მეორე დოპინგ-ტესტი უარყოფით შედეგს აჩვენებს, იტალიელს პეკინის თამაშებზე გამგზავრების ნებას დართავენ, თუმცა ქვეყნის ფარიკაობის ფედერაციაში ამის ნაკლები იმედი აქვთ.

იტალიელი 2006 და 2007 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ის დოპინგ-ტესტი, რომელმაც დადებითი შედეგი აჩვენა, წელს, კიევში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჩაატარეს. როგორც იტყობინებიან, ბალდინის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის - ფუროსემიდის კვალი აღმოაჩინეს.

ამ ამბის გამო, გაკვირვებას ვერ მალავს იტალიის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი **ჯორჯო სკარსო**. მისი განცხადებით, ბალდინიმ მთელი ამ სეზონის განმავლობაში ცხრა დოპინგ-ტესტი გაიარა და ყველამ უარყოფითი შედეგი აჩვენა. თუ მოფარიკავეს დისკვალიფიკაციას მისცემენ, მის ადგილს იტალიის ნაკრებში **ანდრეა კასარა** დაიკავებს.

კრივი

# ევანდერის პროგნოზი




ლეგენდარულმა ამერიკელმა მოკრივემ, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ევანდერ ჰოლიფილდმა**, პეკინის ოლიმპიადაზე ამერიკელ მოკრივეთა შანსები შეაფასა. ლოსანჯელესის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი აცხადებს, რომ აშშ-ის ნაკრები ჩინეთში ოქროს სამ მედალს მოიპოვებს.

წინა ორ ოლიმპიადაზე, ამერიკელთა მონაგარმა მხოლოდ ორი ოქრო შეადგინა. სპეციალისტები ასეთ ჩავარდნას იმით ხსნიან, რომ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოკრივეების უმრავლესობა სამოყვარულო კრივიდან პროფესიონალებში გადასვლას ჩქარობს.

ამჯერად, ამერიკელების მთავარი იმედები მძიმეწონოსან **დეონტე უაილდერს** და სამოყვარულო კრივში მსოფლიო ჩემპიონებს - **როშ უორენსა** და **დემეტრიუს ანდრადეს** უკავშირდება.

*"ჩვენი მოკრივეებისგან ოქროს სამ მედალს ველოდები. ეს ძალიან ოპტიმისტური პროგნოზია, მაგრამ მასში დარწმუნებული ვარ. ბოლო დროს, ჩვენმა ბიჭებმა ძალიან მოუმატეს. მოტივაციის ნაკლებობას არ განიცდიან და ისიც კარგად იციან, რომ პეკინში იოლი ცხოვრება არ ელით"*, - ამბობს ჰოლიფილდი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# მიურეის პირველი მასტერსი



ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** კარიერაში პირველ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია. აქამდე, 21 წლის ჩოგბურთელს ATP-ის 5 ტურნირი ჰქონდა მოგებული, მაგრამ აქედან მასტერსის სერიისა არც ერთი ყოფილა.

მიურეის გადამწყვეტ მატჩში **რაფაელ ნადალის** მძლეველი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაუპირისპირდა. მსოფლიოს მესამე ჩოგანი ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ სპორტულ ფორმას. მან ფინალში სეტის წაუგებლად გააღწია და ბევრს ეგონა, რომ "ჯოკერი" ერთი კვირის წინ, მიურეისთან ტორონტოს მასტერსზე წაგებული მეოთხედფინალისთვის რევანშსაც აიღებდა. მაგრამ ახალგაზრდა შოტლანდიელმა ზედიზედ მეორედ მოუგო ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონს.

თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ორივე სეტში ტაი-ბრეიკის ჩატარება გახდა საჭირო. ყველაზე დრამატული მეორე სეტის დასკვნითი ნაწილი იყო. 4:4-ზე მიურეიმ მეტოქის მოწოდებაზე გეიმი მოიგო და ყველას ეგონა, რომ მატჩის ბედი სწორედ აქ გადაწყდა, მაგრამ ენდიმ საკუთარ მოწოდებაზე ოთხი მატჩ-პოინტი გაანიავა, ჯოკოვიჩმა საპასუხო ბრეიკი გაახერხა და მეტოქეებს ტაი-ბრეიკში მოუწიათ ურთიერთობის გარკვევამ. აქ ერთი პირობა თანაბარი თამაში მიდიოდა. შოტლანდიელმა მეტოქე ბოლოს გატეხა, უფრო სწორად, თავად ნოვაკმა ავნო თავის თავს, როცა მეხუთე მატჩ-პოინტზე, შეხვედრაში მეექვსე ორმაგი შეცდომა დაუშვა და მეტოქეს კარგი საჩუქარი გაუკეთა.

ჯოკოვიჩის მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ძალიან ბევრი უნებლიე შეცდომა იყო - სერბმა თავისი უყურადღებობით 54 ქულა აჩუქა მიურეის, რომელსაც ამ გამარჯვებისთვის 420 ათასი დოლარი ერგო.

*"ვგრძნობ, რომ ძალიან მოვუმატე. შარშან ჩემს თამაშში ასეთი დამაჯერებლობა არ იგრძნობოდა, წელს კი სულ სხვაგვარად არის ყველაფერი. რეგულარულად მიწევს ტურის ლიდერებთან ბრძოლა და ამან დიდი გამოცდილება შემძინა"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ მიურეიმ, რომელმაც მართლაც უდიდესი პროგრესი განიცადა და მალე, უფრო დიდ გამარჯვებებზე განაცხადებს პრეტენზიას.

■ ■ ■

მონრეალის ქალთა პირველი კატეგორიის ტურნირი კი რუსი **დინარა საფინას** ტრიუმფით დასრულდა. მან ფინალში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო ტურნირის მთავარ სენსაციას, 19 წლის სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვას**.

საფინამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ზედიზედ მეორე ტურნირზე გაიმარჯვა, მაისიდან მოყოლებული კი 31 შეხვედრაში 28 მოგება დაუგროვდა, მათ შორის არის WTA-ის კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში შემავალ ცხრა ჩოგბურთელზე გამარჯვება (ამ სერიაში შედის დიდი სპორტიდან წასული ბელგიელის, **ჟუსტინ ანენის** დამარცხებაც).

*"ჩემს კარიერაში პირველად, ზედიზედ ორი ტურნირი მოვიგე. ჩვეულებრივ, როცა ერთ ტურნირში ვიმარჯვებდი, შემდეგ კვირას, აუცილებლად პირველივე წრეში ვეთიშებოდი ბრძოლას. როგორც ჩანს, გამოცდილება და დამაჯერებლობა შევიძინე"*, - განაცხადა კმაყოფილმა საფინამ მთავარი პრიზის მიღების შემდეგ.

რუსი წელს მართლაც საუკეთესო სეზონს ატარებს. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში მან როლან გაროსის ფინალშიც ითამაშა, სადაც სერბ **ანა ივანოვიჩთან** წააგო.

ციბულკოვასთან ფინალში, საფინამ ორივე სეტის დასაწყისში მოიპოვა გადამწყვეტი უპირატესობა. პირველ პარტიაში 3:0 დაწინაურდა, მეორეში კი, 4:0-ს იგებდა, როცა პირველი გეიმი მოაგებინა მეტოქეს.

სლოვაკმა თინეიჯერმა მატჩის შემდეგ აღიარა - ეს ჩემი პირველი ფინალი იყო და ძალიან ვნერვიულობდიო. ისე კი, მონრეალის ტურნირი ციბულკოვას ანგარიშზე უნდა ჩაიწეროს. **იანკოვიჩის, დემენტიევასა და პეტროვას** დამარცხების შემდეგ, ის ნებისმიერისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

**გია თვალაბეიშვილი**

### ATP

**სინსინატის მასტერსი**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 615 000 დოლარი

**ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 8)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3) 7:6 (4), 7:6 (5).

### WTA

**Rogers Cup**

მონრეალი (კანადა). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 340 000 დოლარი

**ფინალი**

**დინარა საფინა (რუს, 7)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:2, 6:1.

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6680 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 6455 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 5390 |
| 4(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2795 |
| 5(4). დავიდ ფერერი (ესპ) | 2775 |
| 6(9). ენდი მიურეი (ბრიტ) | 2135 |
| 7(7). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1980 |
| 8(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1955 |
| 9(6). ენდი როდიკი (აშშ) | 1865 |
| 10(10). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1610 |
| 11(11). რიშარ გასკე (საფ) | 1525 |
| 12(12). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1385 |
| 13(14). ჟილ სიმონი (საფ) | 1360 |
| 14(13). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1320 |
| 15(15). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1285 |
| 16(18). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 1265 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1245 |
| 18(22). ივო კარლოვიჩი (ხორ) | 1225 |
| 19(19). ნიკოლას კიფერი (გერ) | 1205 |
| 20(20). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 1185 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 1100 |
| 2(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 744 |
| 3(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 701 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 387 |
| 5(6). ენდი მარეი (ბრიტ) | 380 |
| 6(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 322 |
| 7(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 271 |
| 8(8). ენდი როდიკი (აშშ) | 255 |
| 9(9). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 251 |
| 10(10). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 238 |
| 11(12). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 225 |
| 12(11). ჟილ სიმონი (საფ) | 219 |
| 13(14). იგორ ანდრეევი (რუს) | 200 |
| 13(13). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 200 |
| 15(19). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 192 |
| 16(16). ტომი რობრედო (ესპ) | 187 |
| 17(15). მიხაილ იუჟნი (რუს) | 184 |
| 18(33). ივო კარლოვიჩი (ხორ) | 183 |
| 19(20). პოლ ანრი მატიო (საფ) | 182 |
| 20(17). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 180 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 6 013 074 |
| 2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 511 382 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 3 061 341 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 1 441 606 |
| 5. ენდი მარეი (ბრიტ) | 1 327 465 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 049 268 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 841 062 |
| 8. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 838 781 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 804 081 |
| 10. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 797 506 |
| 11. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 777 107 |
| 12. მიხაილ იუჟნი (რუს) | 759 197 |
| 13. მიხაელ ლოდრა (საფ) | 752 945 |
| 14. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 717 225 |
| 15. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 712 751 |
| 16. იგორ ანდრეევი (რუს) | 701 604 |
| 17. დანიელ ნესტორი (კან) | 700 558 |
| 18. ნენად ზიმუნჯიჩი (სერ) | 698 675 |
| 19. ტომი რობრედო (ესპ) | 669 765 |
| 20. დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 666 563 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3887 |
| 2(2). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3745 |
| 3(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3505 |
| 4(3). მარია შარაპოვა (რუს) | 3256 |
| 5(5). სერენა უილიამსი (აშშ) | 3251 |
| 6(6). ელენა დემენტიევა (რუს) | 2911 |
| 7(8). დინარა საფინა (რუს) | 2892 |
| 8(7). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2496 |
| 9(10). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 2076 |
| 10(9). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2041 |
| 11(11). ვერა ზვონარევა (რუს) | 1977 |
| 12(12). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1812 |
| 13(15). მარიონ ბარტოლი (საფ) | 1685 |
| 14(14). აგნეს შავაი (უნგ) | 1624 |
| 15(16). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1615 |
| 16(13). პატი შნიდერი (შვეიც) | 1562 |
| 17(18). ფლავია პენეტა (იტა) | 1350 |
| 18(17). ნადია პეტროვა (რუს) | 1340 |
| 19(19). ალიზე კორნე (საფ) | 1244 |
| 20(31). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 1204 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2880 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2821 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 2590 |
| 4. მარია შარაპოვა (რუს) | 2515 |
| 5. დინარა საფინა (რუს) | 2428 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუს) | 2052 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1931 |
| 8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1777 |
| 9. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1766 |
| 10. ვერა ზვონარევა (რუს) | 1560 |
| 11. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1148 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1120 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიც) | 1076 |
| 14. ალიზე კორნე (საფ) | 1068 |
| 15. ფლავია პენეტა (იტა) | 1057 |
| 16. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) | 1032 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1015 |
| 18. კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) | 975 |
| 19. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) | 890 |
| 20. ნადია პეტროვა (რუს) | 878 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 534 156 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 2 165 612 |
| 3. ვენუს უილიამსი (აშშ) | 2 114 697 |
| 4. მარია შარაპოვა (რუს) | 1 937 879 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 595 792 |
| 6. დინარა საფინა (რუს) | 1 581 054 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუს) | 1 168 128 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1 115 422 |
| 9. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 842 142 |
| 10. ვერა ზვონარევა (რუს) | 785 956 |
| 11. ჟიე ჟენგი (ჩინ) | 653 578 |
| 12. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 643 087 |
| 13. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) | 608 270 |
| 14. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 546 945 |
| 15. აი სუგიამა (იაპ) | 528 826 |
| 16. შაარ პეერი (ისრ) | 481 854 |
| 17. ნადია პეტროვა (რუს) | 480 083 |
| 18. ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 478 756 |
| 19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 470 125 |
| 20. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 470 023 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კოლჩესტერი-ბილბაო | 1:2 |
| იფსვიჩი-ვესტ ჰემი | 3:5 |
| პიტერბრო-მანჩესტერ იუნ. | 0:2 |
| გიმარაეში-ბენფიკა | 1:2 |
| არისი-ბოლტონი | 1:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტრასბური-მონპელიე | 1:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| სიონდერილი-კოპენჰაგენი | 1:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| მიოლდე-აალესუნდი | 0:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ელფსბორგი-გაის | 1:0 |
| ჰელსინგბორგი-სუნდსვალი | 2:1 |
| კალმარი-აიკ | 3:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ენჩოპინგი-ლანდსკრონა | 0:2 |
| იონჩოპინგი-ატვიდაბერგი | 1:2 |
| ბუნკეფლო-იორგრიტე | 2:3 |
| სირიუსი-დეგერფორსი | 0:0 |
| ვასბი-მიალბიუ | 3:0 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ვოლენი-სტ. გალენი | 1:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-სიგმა | 1:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ტრნავა-მორავცე | გადაიდო |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-კოპერი | 1:2 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| დიორი-დებრეცენი | 0:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ინტერი-ტურკუ | 3:0 |
| კოტკეპე-ჰიკ | 0:1 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ატ. მინეირო-სპორტ რესიფე | 2:1 |
| ატ. პარანაენსე-ბოტაფოგო | 0:3 |
| სანტოსი-კურიტიბა | 1:3 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-კოლო კოლო | 1:0 |
| ანტოფაგასტა-ო'ჰიგინსი | 2:1 |
| კობრესალი-დეპ. ნუბლენსე | 1:0 |

**კოლუმბია**

| | |
|---|---|
| ბუკარამანგა-ატ. ნასიონალი | 1:1 |
| ენვიგადო-ატ. ხუნიორი | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-კუკუტა | 1:0 |
| სანტა ფე-დეპ. პასტო | 0:0 |
| ონსე კალდასი-ამერიკა | 2:0 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ემელეკი-დეპ. ასოგესი | 0:1 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| სან მარტინი-ხუან აურიჩი | 1:0 |
| ხოსე გალვესი-სპ. კრისტალი | 3:2 |
| სესარ ვალეხო-ატ. მინერო | 1:2 |

**მექსიკა**

| | |
|---|---|
| ს. ლაგუნა-პუმასი | 1:1 |

## TV სპორტი

### 5 აგვისტო. სამშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
15:00 ევრო 2008. 1/2 ფინალი. თურქეთი-გერმანია.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
19:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
21:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ევრო 2008. 1/2 ფინალი. რუსეთი-ესპანეთი.
23:25 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
01:10 საფეხბურთო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:50 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:15 კრივი. რინგ-საიდი.
10:30 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
10:55 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. გერმანია-თურქეთი.
12:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლევერკუზენი-შალკე.
14:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ინტერნასიონალი.
16:30 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
16:55 მძლეოსნობა.
17:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. რაფაელ ნადალი-ნიკოლას კიფერი. ტორონტო. კანადა.
20:55 სპორტის სამყარო.
21:20 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
21:45 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
22:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. რუსეთი-ესპანეთი.
00:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლევერკუზენი-შალკე.
01:50 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ინტერნასიონალი.
03:50 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
04:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. რაფაელ ნადალი-ნიკოლას კიფერი. ტორონტო. კანადა.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. პორტუგალია-ბრაზილია. პორტუგალია.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. კვალიფიკაცია. პრაჯელატო. იტალია.
13:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალები. შვეიცარია.
14:30 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. კვალიფიკაცია. პრაჯელატო. იტალია.
17:00 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
19:00 ოლიმპიური ამბები.
19:15 ოლიმპიური ვარსკვლავები.
19:45 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. მონაკო.
21:30 მულტისპორტი.
21:45 ოლიმპიური ამბები.
22:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. კვალიფიკაცია. პრაჯელატო. იტალია.
23:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. HS140. პრაჯელატო. იტალია (LIVE).
00:45 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
01:15 რალი. IRC-ს ახალი სერია. პორტუგალია.
01:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
02:45 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. უნგრეთი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
10:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ქალები. პლეიოფი. ჩინეთი (LIVE).
12:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ქალები. მე-3 ადგილისთვის. ჩინეთი (LIVE).
14:00 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
15:00 ახალი ამბები.
15:30 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ქალები. ფინალი. ჩინეთი (LIVE).
17:30 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ქალები. მე-3 ადგილისთვის. ჩინეთი.
19:00 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. პორტუგალია-ბრაზილია. პორტუგალია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 პარაპლანერიზმი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
21:00 მაუნტინბაიკი. საფრანგეთი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
22:15 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
23:15 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ქალები. ფინალი. ჩინეთი.
00:15 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
01:30 მულტისპორტი.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
05:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ქალი, რომელსაც იტალია უყვარს







როგორც გაირკვა, 25 წლის სლოვაკი ჩოგბურთელი **დანიელა ჰანტუხოვა** ალმერთებს ყველაფერს, რაც იტალიას უკავშირდება ამ დღეებში, ჰანტუხოვამ გადაწყვიტა, უფრო გახსნილი ყოფილიყო თავისი გულშემატკივრების წინაშე და ამიტომაც, ორ იტალიურ ჟურნალში (Panorama და Tennis Italiano) ფოტოსესიის ჩატარებას დათანხმდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰანტუხოვას მწვრთნელი **მარკო პანიჩი** წარმოშობით რომიდანაა. დანიელაც ფეხბურთში "რომასა" და მის ლიდერს **ფრანჩესკო ტოტის** გულშემატკივრობს, უყვარს იტალიელი დიზაინერების შეკერილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ალმერთებს აპენინებზე შოპინგს და ადგილობრივ სამზარეულს, მათ შორის იტალიურ დესერტსა და ტკბილეულს.

რაგბი

# მსოფლიო თასი იაპონიას?

**დღეს, მსოფლიო რაგბი მხოლოდ სამი ერის თასის მატჩებით არ ცხოვრობს. ჩინოვნიკები სერიოზულად ფიქრობენ, როგორ გახადონ სპორტის ეს სახეობა ისეთივე პოპულარული, როგორიც ფეხბურთია. ეკონომიკური გათვლები, ფინანსური მოგებისკენ ლტოლვა, აღმოსავლეთში ექსპანსია და სამხრეთ ნახევარსფეროს საუკეთესო ლიგებიდან წამყვანი მოთამაშეების მასობრივი აბარგება - აი, რა ადარდებთ დღეს რაგბის სამყაროში.**

## შანსი იაპონიას

როცა რაგბის საერთაშორისო კავშირის (IRB) ოფიციალურ ვებგვერდზე ახალი ამბავი დაადეს - 2015 წლის მსოფლიო თასი შესაძლოა იაპონიაში გაიმართოსო, ამან დიდი კამათი გამოიწვია. ამომავალი მზის ქვეყანა უკვე აცხადებდა პრეტენზიას 2011 წლის მსოფლიო თასის მასპინძლობაზე, მაგრამ მაშინ ახალ ზელანდიასთან წააგო ბრძოლა.

ფუნქციონერთა მოტივი ძალიან უბრალოა. ისინი ცდილობენ ბაზრის ახალი სეგმენტის დაპყრობას და აღმოსავლეთში უფრო მეტი გულშემატკივრის შეძენას. მაგრამ იმის ილუზია არავის აქვს, რომ ერთი ხელის მოსმით დაიწყება ამ თამაშის პოპულარიზაცია. *"რაგბი ჩიხშია მოქცეული. საერთაშორისო კავშირმა ერთ კითხვას უნდა უპასუხოს: როგორ უნდა წაადგეს ჩვენი სახეობის პოპულარიზაციას მსოფლიო ჩემპიონატის იაპონიაში ჩატარება?"* - კითხვას სვამს ინგლისური კლუბის "სეილ შარქსის" ბოსი **კვენტინ სმიტი**.

BBC-ის ჟურნალისტი **უილიამ ფილდი** მიიჩნევს, რომ IRB-ის ეს ნაბიჯი - უდიდესი შეცდომაა: *"თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ 2007 წლის მსოფლიო თასის ტელეაუდიტორიის 97 პროცენტი იმ ქვეყნებიდან იყო, სადაც რაგბი ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ სპორტს გლობალიზაცია სჭირდება, ის უფრო საერთაშორისო უნდა გავხადოთ. ამიტომაც, ჩვენი მომავალი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ქვეყანას ვანდობთ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას"*.

ცნობისთვის, საფრანგეთში მსოფლიო თასის თამაშებს 2.25 მილიონი ადამიანი დაესწრო, 4.2 მილიარდმა კი, მატჩები ტელევიზორით ნახა.

მაგრამ კიდევ უფრო დიდი აურზაური და უკმაყოფილება გამოიწვია ავსტრალიურ გაზეთ The Herald-ში დაბეჭდილმა ინფორმაციამ. გამოცემის ცნობით, 2015 წლის მსოფლიო თასის ჩატარებისთვის, IRB ორგანიზატორი



იაპონია ავსტრალიას უნდა გაუთანაბრონ

ქვეყნისგან 200 მილიონ დოლარს მოითხოვს, 2019 წელს კი ეს რიცხვი 250 მილიონამდე გაიზრდება.

მიმომხილველ **გრეგ გროუდენს** მიაჩნია, რომ ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველ უმრავლეს ქვეყანას ასეთი შესაძლებლობები არ გააჩნია: *"აიღეთ ნებისმიერი დიდი შეჯიბრება - მსოფლიო ჩემპიონატში ფეხბურთში ან რომელიმე მსხვილი ტურნირი. იქ მასპინძლობისთვის არავინ არავის ფულს არ უხდის. ბევრ ისეთ ქვეყანას, ვისაც მსოფლიო თასის მასპინძლობაზე უნდა განაცხადის შეტანა, უბრალოდ, არ გააჩნია ამხელა თანხა. ვშიშობ, რომ ეს მოთხოვნა IRB-ის სიხარბით არის გამოწვეული"*.

იაპონელების გარდა, 2015 წლის მსოფლიო თასის მასპინძლობის პრეტენზია აქვთ ინგლისსა და უელსს ერთობლივად, აგრეთვე იტალიას. 2015 და 2019 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყნები მომავალი წლის ივლისში გამოცხადდება.

## ყველანი ჩრდილოეთში

სამხრეთ ნახევარსფეროს თავისი პრობლემები აქვს - აქ იმაზე ფიქრობენ, როგორ აღკვეთონ წამყვანი მოთამაშეების მასობრივი გადასვლა მდიდარ ინგლისურ და ფრანგულ კლუბებში. SANZAR-ის (South Africa, New Zealand and Australian Union) გაერთიანებულმა ხელმძღვანელობამ სუპერ-14-ის ლიგაში პლეი ოფის სტადიის გაფართოების გადაწყვეტილება მიიღო, აგრეთვე თავის რიგებში არგენტინის, აშშ-ისა და იაპონიის მიღების შანსებს განიხილავს. პლეი ოფის გაზრდამ გულშემატკივრების მხრიდან ტურნირისადმი უფრო მეტი დაინტერესება უნდა გამოიწვიოს.

*"ჩვენ გვსურს, სუპერ -14 უფრო მიმზიდველ შეჯიბრებად ვაქციოთ. პირველ რიგში, ამას ჩვენი ვარსკვლავების შენარჩუნებით თუ მივაღწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩრდილოეთის მდიდარი ქვეყნები გადაგვთელავენ. მდგომარეობიდან გამოსვლის ოპტიმალური ვარიანტია მსოფლიოში საუკეთესო საკლუბო ტურნირის შექმნა, რომელშიც უძლიერესი რაგბისტები მიიღებენ მონაწილეობას"*, - მიაჩნია ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის შეფს **სტივ ტიუს**.

ბოლო დროს, ეს ქვეყანა რამდენიმე ვარსკვლავმა დატოვა, მათ შორის ნაკრების ლიდერმა, **დენ კარტერმა**. სამხრეთ აფრიკამ დაკარგა **ვიქტორ მეტფილდი**, **ჯონ სმიტი** და **პერსი მონტგომერი**, რომლებიც საფრანგეთში გადაბარგდნენ. ავსტრალიიდან ირლანდიაში წავიდა **როკი ელსომი**.

სუპერ-14-ში იაპონიისა და ამერიკის ჩართვამ, ამ ქვეყნებიდან დამატებითი ინვესტიციები უნდა მიიზიდოს. გარდა ამისა, სამი ერის თასის გაფართოებაც მთელი მსოფლიოს გულშემატკივრების მხრიდან დამატებით ინტერესს გამოიწვევს. მართალია, არგენტინაში პროფესიული რაგბი არ არსებობს, მაგრამ იქ 2007 წლის მსოფლიო თასის მესამე გუნდი ჰყავთ.

*"ჩვენ რაგბის განვითარების ტემპები უნდა გავზარდოთ. მაგრამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ. SANZAR-ის ხელმძღვანელობამ ხანგრძლივი დისკუსია გამართა, რომელსაც შეიძლება ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეს"*, - ამბობს სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის დირექტორი **ჯონათან სტოუნსი**.

რჩება მხოლოდ მთავარი პრობლემის მოგვარება: როგორ მოახდინონ სამ წამყვან სარაგბო ქვეყანასა და დანარჩენ გუნდებს შორის კლასში სხვაობის ნიველირება.

ფორმულა 1. ინტერვიუ ხუან პაბლო მონტოიასთან

# ფორმულაში ყველანი რობოტები არიან

თავის დროზე, როცა კოლუმბიელი **ხუან პაბლო მონტოია** ფორმულა 1-ში გამოდიოდა, მას პუბლიკის ერთ-ერთ საყვარელ პილოტს უწოდებდნენ.

ის სწრაფი და ნიჭიერი პილოტი იყო. ყოველთვის აშკარად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას რბოლების, გუნდებისა და მეტოქეების მიმართ, რაც ბევრს არ მოსწონდა ხოლმე. მისთვის დამახასიათებელი იყო ის შარმი, რომელიც ნამდვილ ვარსკვლავებს გააჩნიათ. თუმცა მონტოიასთვის ფორმულა 1-ის სამყარო მეტისმეტად სტერილური აღმოჩნდა - მისი კარიერა 2006 წლის ზაფხულში შეწყდა, თანაც ისე, რომ სკანდალი ვერ აიცილა თავიდან.

ხუან პაბლო, რომელიც დღეს ოკეანის გაღმა, ნასკარის სერიაში ასპარეზობს, "უილიამსსა" და "მაკლარენში" გატარებულ წლებს იხსენებს და საინტერესო მოსაზრებებს გვიზიარებს ფორმულა 1-ში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მონტოიას გამონათქვამებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტ დისკომფორტს ის "მაკლარენში" ყოფნისას გრძნობდა: *"საღამოს შეიძლებოდა რონ დენისთან ერთად რესტორანში მშვენივრად გაგეტარებინა დრო, მაგრამ დილით მიხვიდოდი ოფისში, მიესალმებოდი მას და იქ სულ სხვა ადამიანი გხვდებოდა. ფორმულა 1-ში ცდილობენ, ყველანი რობოტებად აქციონ. თუ ძლიერი პიროვნება ხარ, იმ სამყაროში ყოველთვის პრობლემები შეგექმნება. ბევრ ადამიანს, ვინც ფორმულაში მუშაობს, ავიწყდება, რომ ეს მხოლოდ სპორტია და მეტი არაფერი. მაგალითად, "მაკლარენში" ყველაფერს ძალიან სერიოზულად აღიქვამდნენ"*.

კოლუმბიელი ირწმუნება, რომ თავიდანვე კარგად იცოდა, რით დასრულდებოდა "მაკლარენში" ისეთი ნიჭიერი პილოტის გადასვლა, როგორიც **ფერნანდო ალონსოა**: *"ცხადი იყო, რომ გუნდი თავის მომავალს არა ალონსოს, არამედ ლუის ჰემილტონს უკავშირებდა"*.

იმავე "მაკლარენში" ყოფნის დროს, რაღაც მსგავსი მან საკუთარ თავზეც გამოცადა, რადგან მაშინ, **კიმი რაიკონენი** უფრო ახლოს იყო **რონ დენისთან**, ვიდრე მონტოია.

*"რაც შეეხება კიმის, - იხსენებს კოლუმბიელი. - ისიც კი არ ვიცი, კარგი ურთიერთობა მქონდა მასთან თუ არა. ის ხომ ხმას არასოდეს იღებდა. დამეთანხმებით, ძნელია ისეთ ადამიანთან საერთო ენის გამონახვა, ვინც საერთოდ არ ლაპარაკობს"*.

საინტერესოა, რომ მონტოია "უილიამსს" სკანდალით დაშორდა, მიუხედავად ამისა, ბრიტანულ საჯინიბოში გატარებულ წლებს დიდი სითბოთი იხსენებს: *"ყველაზე კარგად "უილიამსში" გატარებული პერიოდი მახსენდება, პირველ რიგში, ეს პატრიკ ჰედის დამსახურებაა. ის ჩემსავით, ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა. საუბრის დასაწყისსას ცდილობდა ზომიერი ყოფილიყო, მაგრამ ბოლოს ველარ ითმენდა და "აფეთქდებოდა" ხოლმე. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილო სანახავი იყო"*.

მონტოია ამჟამინდელი თაობის პილოტებზეც კარგს არაფერს ამბობს: *"ისინი მუდმივად წუწუნებენ. მაგალითად, მონაკოში იმით იყვნენ უკმაყოფილო, რომ გვირაბის გავლისას სარკეებში ვერაფერს ხედავდნენ. მერე რა, გაიფიქრე მე, შენი საქმე ხომ წინ ყურება და ჩქარა სიარულია?!"*

მიუხედავად იმისა, რომ ნასკარში გამოსვლისას მონტოია მხოლოდ რვაჯერ მოხვდა პირველ ათეულში, ხუან პაბლო ამტკიცებს, რომ ამერიკაში თავს კარგად გრძნობს და სულაც არ დარდობს ფორმულა 1-ის დატოვებას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

